"თუ არა და, დაბიძერ!" A2

საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა მთავრობის სხდომაზე A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 9 ოქტომბერი, 2004 წელი. №240 (789)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**საქართველოს ახალი მეგობარი**



საქართველო გულმოდგინედ ცდილობს თავისი "სამეგობრო წრის" გაფართოებას, რათა ევროპულ ოჯახში მტკიცედ დამკვიდრდეს.

A2

### ეკონომიკა

**პარლამენტი ენერგოსტრუქტურების საქმიანობით ინტერესდება**



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ენერგეტიკულ უწყებებს რეკომენდაციებს აძლევს.

A4

### უცხოეთი

**აფეთქებები სინაის ნახევარკუნძულზე**



A5

### საზოგადოება

**ჩვენ ვკრძალავთ ნაღმებს!**



"ჩვენ ვკრძალავთ ნაღმებს"! - ეს არის ცივილიზებული მსოფლიოს ხმა. მაგრამ, სწორედ ამ ცივილიზებულ ქვეყნებში ამზადებენ იმ ნაღმებს, რომლებზეც ესოდენ სტაბილურად ფეთქდებიან სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

A6

### სამართალი

**განსასჯელის უკანონო პატიმრობას მოსამართლის თანამდებობა შეეწირა**

A7

### ამინდი

| | 9/10 | 10/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 21 |
| ქუთაისი | 24 | 20 |
| ბათუმი | 26 | 21 |
| სოხუმი | 24 | 18 |
| ფოთი | 27 | 21 |
| თელავი | 21 | 19 |
| ზუგდიდი | 27 | 20 |
| გორი | 18 | 17 |
| ახმეტა | 20 | 20 |
| ჭიათურა | 20 | 18 |
| გაგრა | 22 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8349 |
| ევრო | 2.2645 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2819 |
| რუბლი | 0.0628 |

# პრეზიდენტი პროფესიას იცვლის



პრეზიდენტი და შსს მინისტრი მკაცრი გამომცდელები აღმოჩნდნენ.

ვახო ბასილიას ფოტო

ვერიკო თევზაძე

*გამომცდელი მიხეილ სააკაშვილი: დავუშვათ, დედა გიკვდება და სასწრაფოდ საჭიროებ ფულს. აიღებ თუ არა ქრთამს?*

*გამოსაცდელი: არა.*

*გამომცდელი სააკაშვილი: დამისაბუთე, მაინც რატომ არ აიღებ?*

*გამოსაცდელი: იმიტომ, რომ ასეთი საქციელით შეიძლება ასობით ადამიანი ჩავარდეს დედაჩემის დღეში...*

*გამომცდელი სააკაშვილი მოსწრებული პასუხით მოხიბლულია. საზოგადოება კი, ალბათ, დაელოდება, რათა დაინახოს, რამდენად შეეფერება გამოსაცდელის სიტყვა და საქმე ერთმანეთს. ვინაიდან ასე შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც ქვეყნისა და მოქალაქის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა... ანუ მოქალაქე იცავს*

გუშინ პოლიციის აკადემიის ყოფილ სასწავლო ცენტრში საპატრულო პოლიციაში ჩარიცხვის მსურველთა გასაუბრება ტარდებოდა. გამომცდელი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი გახლდათ. მას გვერდს უმშვენებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი.

გამოსაცდელთათვის წინასწარ არ იყო ცნობილი ხელისუფლების პირველი პირების ვიზიტი. ისინი გარეგნულ სიმშვიდეს შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდნენ, თუმცა ჟურნალისტებთან საუბრის შედეგად ირკვეოდა, რომ მინი-შოკის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სააკაშვილი და ოქრუაშვილი ერთად "კითხავდნენ" თითო მოქალაქეს, ადეიშვილი - ცალკე, დამოუკიდებლად ასრულებდა გამომცდელის როლს.

**"დავუშვათ, ოქრუაშვილის მოადგილე დააკავეთ ნასვამ მდგომარეობაში და გიხსნით, ვინც არის. როგორ მოიქცევით?"** - შეკითხვას სვამს პრეზიდენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "კიდე კარგი, არ ჩამოვიდა"

**საქართველოს მთავრობის სტუმარი - რუსეთის მეოთხე ხელისუფლება**

*მოლოდინი იმისა, რომ გუშინ პრეზიდენტ სააკაშვილს კახელები რუს სტუმრებთან ერთად ნახავდნენ, ამაო აღმოჩნდა. ქვეყნის პირველი პირის ნაცვლად, რუსული მედიის წარმომადგენლების გამასპინძლება ბადრი პატარკაციშვილს, გოგა ხაინდრავას, გიორგი გაბაშვილს და პეტრე ცისკარიშვილს მოუწიათ.*

რუსული მედიის ორდღიანმა სტუმრობამ საქართველო-რუსეთს შორის საინფორმაციო ომი დროებით შეაჩერა, თუმცა სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა არ გამორიცხავს, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი მედიასაშუალებების წარმომადგენლები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კვლავ კრემლის წნეხში მოექცნენ და საქართველოს მიმართ ძველებურად დაიწყონ წერა. **"ჩვენ არა გვაქვს იმისი ილუზია, რომ მათი ერთი ჩამოსვლით რაღაცას შევცვლით. მაგრამ ვფიქრობთ, ეს კონტაქტები შესაძლებლობებს მოგვცემს, რეალურად დაინახონ ჩვენი დამოკიდებულება და იგრძნონ, რომ საქართველო არც მტრული ქვეყანაა და არც ბინ ლადენების თავშესაფარი,"** - აცხადებს ხაინდრავა.

თავად ჟურნალისტებს კახეთში სტუმრობისას ქართულ კულტურაზე და ტრადიციებზე უხდებოდათ კოლეგებთან საუბარი, უმრავლესობა კი სიტყვაძუნწობდა, თუმცა ამას ისინი თავისებურად ხსნიდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ზვიად რუაძის ფოტო

რუსები კახურ რთველში.

# ფოთი - ტერნეუზენი

**ქართულ-ჰოლანდიური დაძმობილება რულოვსების ოჯახში**

ოთარ ქირია

*იმ დროს, როცა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ნებისმიერი მნიშვნელობის ობიექტებს წარმატებით, ან წარუმატებლად ასაღებს, ფოთის პორტი ახალ კავშირებზე გადის. მართალია, ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე სიტყვა "სტრატეგიულს" არ ცნობს, მას ამ ტერმინის გააზრება შინაარსობრივი თუ ორთოგრაფიული თვალსაზრისით მაინც მოუწევს. ქვეყნის პირველი ქალბატონის, სანდრა ელისაბედ რულოვსის ინიციატივითა და პატრონაჟით ფოთის პორტის დელეგაცია ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს პორტს სტუმრობს. სტუმრობა დაძმობილებითა და კონკრეტული ფინანსური შეთანხმებით სრულდება. ფოთში*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამნისტია

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ბიზნესმენებისთვის შეპირებული საფინანსო ამნისტია გამოაცხადა. მართალია, კანონპროექტი ჯერ კიდევ არ არის მზად, მაგრამ იდეა ისევ ცოცხლობს. პირველი პრეზენტაციიდან რამდენიმე თვის თავზე ამ იდეამ შედარებით კონკრეტული სახეც შეიძინა.*

საქართველოს მთავრობა ფინანსურ ამნისტიას აცხადებს და საქართველოს მოქალაქე ბიზნესმენებს არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების, ფინანსებისა და ქონების ლეგალიზაციის შესაძლებლობას აძლევს. ასეთია გუშინდელი ხმაურიანი განცხადების დედააზრი.

პრეზიდენტის თქმით, ბიზნესის ლეგალიზაციის შესახებ კანონის ამოქმედების დღიდან მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოს მიერ აღარ მოხდება 2004 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შემოწმება, ხოლო სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს აეკრძალებათ ბიზნესმენების მიერ დეკლარირებული ფინანსებისა და ქონების წარმომავლობის შემოწმება. კანონის თანახმად, რომელიც ამჟამად მუშავდება და პარლამენტს 20 ოქტომბრამდე წარედგინება, ბიზნესმენებს საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების წარსადგენად 12 თვის ვადა მიეცემათ (კანონის ძალაში შესვლიდან).

გაგრძელება A4 გვერდზე

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფტ-ბინის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77, იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## "თუ არა და, დაგიჭერ!"

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

ახალი საგადასახადო კოდექსის კანონპროექტის ეფექტურად განხილვის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა საჭიროდ მიიჩნია პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვა, კერძოდ კი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელთა საქმიანობაც უშუალო კავშირშია საგადასახადო სისტემასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან თანამშრომლობითა და "შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს" ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

6 ოქტომბერს "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს თანამშრომლები ფოთში იმყოფებოდნენ. შეხვედრა-დიალოგი ადგილობრივ მეწარმეებთან, ბუღალტრებთან, აუდიტებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა მთლიანობაში დადებითი შეფასება მისცეს ქვეყანაში ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობას, გამოითქვა არსებითი ხასიათის შენიშვნები, რომელიც ძირითადად საგადასახადო შეღავათების მინიმალურ ოდენობასა და გამკაცრებულ ადმინისტრირებას შეეხებოდა. ფოთელ მეწარმეთა განცხადებით, კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ ადმინისტრირების კუთხით იგეგმება. ამ კანონმა, შესაძლოა, მეწარმეს თავად აიძულოს კორუფციის წყაროს მოძიება და შემოსავლების დამალვა. მასპინძლებმა დაუბეგრავი მინიმუმის არარსებობაზე გაამახვილეს ყურადღება და მისი დაშვება საარსებო მინიმუმისთვის გატოლებით ისურვეს. გაუგებარი დარჩა "კეთილსინდისიერი მეწარმის" ცნებაც, იმ მოტივით, რომ სამეწარმეო საქმიანობის დასაწყისში პიროვნება რა კრიტერიუმით შეიძლება იყოს კანონმორჩილი თუ პირიქით, აუხსნელია.

გაჩნდა აზრი, რომ კანონპროექტში, სახელმწიფოსთან შედარებით, გადამხდელის პასუხისმგებლობა დომინირებს. შესაბამისი მაცნეების, ბუკლეტებისა და სხვა ტიპის საინფორმაციო წყაროს მიუწვდომლობა კი ხშირად, თუნდაც ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციის მხრიდან, არაერთ ლაფსუსს იწვევს.

"წაიკითხე, დაემორჩილე, თუ არა და, - დაგიჭერ!" - ასეთი შეფასება მისცეს კანონპროექტს შეხვედრის ფოთელმა მონაწილეებმა.

როგორც ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს წარმომადგენელმა დავით ობოლაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, "ის მოლოდინი, რომელიც ჰქონდა საზოგადოებას ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, ნაკლებად გამართლდა. მაგრამ ეს ჯერ კანონპროექტია და არა უკვე მიღებული დოკუმენტი; სწორედ ამიტომ, გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ პროექტის მაქსიმალურ სრულყოფაში, შევაჯეროთ რეგიონებიდან მიღებული ინფორმაცია და თითოეული შენიშვნა გავაცნოთ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. იმედია, მიიღწევა გადასახადის დამწესებელსა და გადამხდელს, ანუ სახელმწიფოსა და მეწარმეს შორის ბალანსი, რამაც უნდა მოიტანოს ეკონომიკის განვითარებისა და, საერთოდ, ქვეყნის წინსვლისთვის საჭირო შედეგი".

### განცხადება

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით, ბოლო პერიოდში გარდაცვლილი ახალგაზრდების სულის საოხად, დაბა ყაზბეგში უნდა აშენდეს საქართველოს ეკლესიის დამაარსებლის, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საკათედრო ტაძარი.

ასობით და ათასობით შვილგარდაცვლილი მშობლის მხურვალე ლოცვითა და თანადგომით აქ ამ ტაძრის აგება მეტად დიდი ძალის შეწევნა იქნება, როგორც ჩვენგან წასული ახალგაზრდების სულისთვის, ისე სრულიად საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც საქართველოში მცხოვრებს, ასევე მის ფარგლებს გარეთ მყოფთ.

ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრება ჩატარდება საქართველოს საპატრიარქოში, 2004 წლის 22 ოქტომბერს.

თბილისი, ერეკლე II მოედანი №1

საკონტაქტო ტელეფონები: 98 25 99 ან 98 90 89

### მოკლედ

#### აფხაზები დაპირისპირებას უარყოფენ

აფხაზეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობას ვერ ხედავს.

მისი თქმით, აფხაზეთში საერთოდ არ არის მიღებული კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ და არც მისი შემოღების საფუძველი არსებობს.

"ვიღაცას სურს სიტუაციის ხელზე დახვევა და იმის მტკიცება, რომ აფხაზეთში სამოქალაქო ომია მოსალოდნელი, თუმცა მსგავსი არაფერი მოხდება," - განაცხადა აფხაზთა პრემიერმა. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა ყოფილი მაღალჩინოსნის ნოდარ ხაშბას განცხადებით, იგი იმიტომ დათანხმდა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მუშაობას, რომ განვითარებულ პროცესებზე გავლენა მოახდინოს. "რუსეთი ყურადღებით აკვირდება აფხაზეთში არსებულ სიტუაციას და დაინტერესებულია, რომ აქ ნორმალური, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს," - თქვა მან. სოხუმის პრემიერის თქმით, გადაწყვეტილებას - არჩევნების მეორე ტური ჩატარდება, თუ გალის რაიონში დაინიშნება განმეორებითი არჩევნები - უზენაესი სასამართლო მიიღებს. "ყველა საკამათო საკითხი სასამართლოს გზით უნდა გადაწყდეს", - დასძინა მან. **პრაიმ-ნიუსი**

#### თავდაცვის მინისტრის ვიზიტი

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ სპარსეთის ყურეში გაემგზავრა, სადაც კენედის სახელობის ამერიკულ სამხედრო ხომალდზე ანტიტერორისტული კოალიციის წევრი 17 ქვეყნის თავდაცვის უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრა გაიმართება. მინისტრები კოალიციის შემდგომი საქმიანობის თემატიკზე იმსჯელებენ. ღონისძიების ინიციატორია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი. მას ბარამიძე პირისპირ შეხვდება და ქართულ-ამერიკული სამხედრო ურთიერთობების საკითხებს შეათანხმებს. რამსფელდის გარდა, ქართველი მინისტრი მოლაპარაკებებს რუმინელ, ბულგარელ, აზერბაიჯანელ, ესტონელ და ლიტველ კოლეგებთანაც გამართავს. დაგეგმილია ბარამიძის შეხვედრა ბაჰრეინის მეფე ჰამად ბინ ისა ხალიფასა და პრინც სალმან ბინ ჰამად ხალიფასთან. საქართველოს თავდაცვის მინისტრი სპარსეთის ყურედან 11 ოქტომბერს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი.**

#### კონფლიქტის ზონაში ვითარება იძაბება

გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ თამარაშენის მიმართულებით ცხინვალის ეგრეთ წოდებული ტექსტილის დასახლების მხრიდან ცეცხლი გახსნეს. დაიჭრა ერთი ქართველი ჯარისკაცი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. მოგვიანებით, შემთხვევის ადგილზე გავიდნენ ეუთო-ს დამკვირვებლები და ქართული სამშვიდობო ბატალიონის ხელმძღვანელობა. ცხინვალის მხრიდან ცეცხლი მათი მიმართულებითაც გახსნეს, რასაც კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცის დაჭრა მოჰყვა. ისიც ქურთის საავადმყოფოშია მოთავსებული. ოსური მხარე ამ ინფორმაციას უარყოფს. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი ეუთო-ს მისიის დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ ინტენსიური ცეცხლი, რომლის შედეგად ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიჭრა, დღეს ოსური მხრიდან გაიხსნა. ეუთო-ს მისია უკიდურესად არის შეშფოთებული მომხდარის გამო. ქართული მხარე ორ ვერსიაზე მუშაობს. როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი აცხადებს, ან ოსური მხრიდან დესტაბილიზაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი, ან კონფლიქტის ზონაში "სრული ქაოსია და ვერც რუსი სამშვიდობოები და ვერც ცხინვალის ხელისუფლება ვითარებას ვერ აკონტროლებენ". ამ ფაქტის გამო სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლობა და ადგილობრივი მოსახლეობა უკიდურესად არის აღშფოთებული. მოსახლეობა შეშინებულია და არ გამორიცხავს, რომ სნაიპერმა მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით კვლავ გახსნას ცეცხლი. **მედია-ნიუსი, ინტერ-პრესი**

#### დიასამიძე გამგებლებს ესარჩლება

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე შუახევისა და ხულოს რაიონების გამგებლების დაკავებას უკანონოდ მიიჩნევს და ამ ფაქტს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს უკავშირებს. როგორც დიასამიძემ განაცხადა, "ხულოში ხე-ტყე უშუალოდ ვარშალომიძის მითითებით, სკოლების შეკეთების მიზნით იჭრებოდა", ის ფული კი, რომელიც გამგებლების კაბინეტებში სეიფში შენახული აღმოაჩინეს და ვიდეოკადრებზეა დაფიქსირებული, "არის თანხა, რომელსაც აჭარის მთავრობა მებაჟეებს სკოლების შესაკეთებლად, არაოფიციალურად სძალავდა". მისივე მტკიცებით, ლევან ვარშალომიძე უშუალოდ ფლობდა ინფორმაციას აჭარის მთავრობის ამ ქმედების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს ახალი მეგობარი



იური ლობოდინის ფოტო

საქართველოს პარლამენტს ნორვეგიელთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია.

გიორგი ასანიშვილი

საქართველო გულმოდგინედ ცდილობს თავისი "სამეგობრო წრის" გაფართოებას, რათა ევროპულ ოჯახში მტკიცედ დამკვიდრდეს. ერთ-ერთ ახალ საიმედო მოკავშირედ ქვეყნის ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, ნორვეგია ჰყავს შეგულებული. ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან იან პეტერსონთან (იგი, ამავე დროს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეცაა) გუშინ გამართული შეხვედრის დროს, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გამოთქვა სურვილი, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებით სკანდინავიელებიც დაინტერესდნენ.

პირადად იან პეტერსონი ქართველ პოლიტიკოსებს იმიტომაც ეიმედებათ, რომ მან მეტად აქტიური პოზიცია დაიკავა, როდესაც აგვისტოში, სამხრეთ ოსეთში ვითარება უკიდურესად გამწვავდა. ამიტომ, მიხეილ მაჭავარიანს და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს (გუშინდელ შეხვედრაში ისიც მონაწილეობდა) მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ, რომ საპატიო სტუმარი საქართველოს წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემების "ლობისტობაზე" დაეთანხმებინათ.

**"ნორვეგია ნატო-ს წევრი ქვეყანაა, პლუს - რუსეთის მეზობელია და ამდენად, ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობების დიდი გამოცდილება გააჩნია",** - პეტერსონის სამშობლოს მნიშვნელობაზე (საქართველოსთვის) საუბრობს კოტე გაბაშვილი. ქართველი პარლამენტარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისეთი ქვეყნის თანადგომა, როგორიც ნორვეგიაა, საქართველოს იმ ვალდებულებების შესრულებაშიც დაეხმარება, რომელიც ოფიციალურ თბილისს ევროსაბჭოს წინაშე აქვს აღებული.

მიხეილ მაჭავარიანი და კოტე გაბაშვილი იან პეტერსონის "ცდუნებას" ეკონომიკური კუთხითაც ცდილობენ. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ნორვეგიელ დიპლომატს აუწყა, რომ ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს მსხვილი ობიექტების პრივატიზება, მუშავდება ახალი საგადასახადო კოდექსი და სკანდინავიელებისთვის "საქართველოს ეკონომიკის კარი ღიაა". ნორვეგიელებს "ეპატიჟებიან" ისეთ სფეროებში, როგორიც არის გაზმომარაგება და ნავთობის მოპოვება-გადამუშავება.

პეტერსონთან შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას, მიხეილ მაჭავარიანმა ხუთშაბათს სტრასბურგში გამართული საქართველო-რუსეთის პოლიტიკური დებატების შესახებაც გააკეთა კომენტარი.

**"ჩვენმა დელეგაციამ გამოცდა "ხუთიანი პლუსით" ჩააბარა და აჩვენა, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის ინტერესებისთვის საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენება. ევროსაბჭოს ვამცნეთ, რა პრობლემების წინაშე დგას საქართველო და რა საკითხებში გვჭირდება მათი დახმარება,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ.

## სკანდინავიური პერსპექტივა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა იან პეტერსენმა ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს. კერძოდ, საქმე ეხება საქართველოსთვის ნორვეგიის დახმარებას კანონიერების განმტკიცების სფეროში.

**"საქართველო ევროპის რეგიონის ერთობ განსხვავებული წარმომადგენელია, მაგრამ იგი კვალში მისდევს ევროპის დადებით მოვლენებს,"** - ასე ახასიათებს საქართველოს ნორვეგიელი დიპლომატი.

მომავალში ნავარაუდევია ნორვეგია-საქართველოს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ეკონომიკის დარგში. სალომე ზურაბიშვილი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნატო-ს წევრმა ქვეყანამ, ნორვეგიამ, თავის დროზე დიდი დახმარება გაუწია ბალტიისპირეთის ქვეყნებს ნატო-ში გასაწევრიანებლად. ზურაბიშვილი იმედოვნებს, რომ საქართველოსაც შეიძლება იგივე ბედი ეწიოს. საქართველოს საგარეო სამეთა მინისტრის თქმით, ნორვეგია არის ეუთოს-ს სამხედრო დამკვირვებელი და ეს ქვეყანა ამ მხრივაც დაეხმარება საქართველოს კონფლიქტურ ზონებში საზღვრის გაკონტროლებაში.

**"ორივე ქვეყანა - საქართველოც და ნორვეგიაც აუმჯობესებს რუსეთთან ურთიერთობას. ზოგჯერ ორსამ ნაბიჯს წინ ვდგამთ და შემდეგ უკან ვიხევთ... ჩვენ მაინც ვეცდებით დიალოგის გამართვას რუსეთთან. ნორვეგია ამას გააკეთებს, როგორც ევროსაბჭოს წარმომადგენელი,"** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე იან პეტერსენმა.

გუშინვე ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი დახურულ კარს მიღმა პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდა. მათი საუბრის თემა საქართველო-ნორვეგიის მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება იყო.

*24 საათი*

## პარლამენტარები საგადასახადო კოდექსის პროექტის დახვეწას ითხოვენ

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონის კომიტეტის წევრებს საკმაოდ ბევრი შენიშვნა აქვთ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით. თუმცა, მთავარი პრეტენზია, ბუნებრივია, სწორედ იმ სფეროს ეხება, რომელიც ამ კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში შედის. ეს საგადასახადო ტვირთის ცენტრსა და რეგიონს შორის გადანაწილების პრინციპებია.

როგორც კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, ახალი კოდექსის არსებული ვარიანტის მიღების შემთხვევაში, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თვითმმართველობები, რადგან ქონების და საბიუჯეტო შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება, ისედაც მცირე უფლებების მქონე ადგილობრივ თვითმმართველობებს, ფინანსური დამოუკიდებლობის პერსპექტივას უკარგავს.

**"ამ კოდექსით თვითმმართველობები კვლავ ვერ მიიღებენ დამოუკიდებლობას, რადგან მათ არ ექნებათ რეალური ადგილობრივი ბიუჯეტები. ფინანსური პოლიტიკა რეგიონებში რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის განმსაზღვრელია. თუ ადგილობრივ თვითმმართველობას ფინანსები არ ექნება, იგი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს,"** - განაცხადა კომიტეტის წევრმა ბადრი ხატიძემ. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააკეთოს ანალიზი, კოდექსის მიღების შემთხვევაში რამდენად უმჯობესდება ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის ხარისხი. ხატიძემ მოითხოვა, რომ ახალ საგადასახადო კოდექსთან და 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, პარლამენტმა "ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" კანონპროექტიც განიხილოს, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ქვეყანაში ძლიერი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისთვის.

კომიტეტის წევრებს არანაკლებ სერიოზული პრეტენზიები აქვთ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. საქმე ეხება იმ შეღავათებს, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. როგორც კომიტეტის წევრები აცხადებენ, კოდექსის ახალი პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქებს მთიანი რაიონების მოსახლეობას სოციალურ პირობებს.

საკუთარ შენიშვნებს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტი ფინანსთა სამინისტროს წერილობით გაუგზავნის. გუშინ კი აშკარად გამოიკვეთა, რომ კოდექსის არსებულ ვარიანტს ისინი მხარს არ დაუჭერენ. **"კოდექსის პროექტის მიღებას მხარს იმ შემთხვევაში დავუჭერთ, თუ ჩვენი პოზიცია და შენიშვნები გათვალისწინებული იქნება,"** - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ედვარდ სურმანიძემ.

*24 საათი*

## რუსთავში კვლავ დენის პრობლემებია

ბოლო დროს რუსთავში განსაკუთრებულად გაიზარდა ადგილობრივი ენერგოკომპანიის მუშაობით უკმაყოფილო აბონენტთა რიცხვი, რომლებიც, ძირითადად, გადახდის ქვითარზე დაფიქსირებული დავალიანების არარეალურობას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ "გსკ" მათ, ფაქტობრივად, **"აყაჩაღებს და გაცილებით მეტ თანხას სძალავს".**

გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის რუსთავის ფილიალის ორად-ორ უბანზე ყოველდღიურად გრძელი რიგები დგას. ამას ემატება ისიც, რომ ამ დაწესებულების თანამშრომლები გაღიზიანებული აბონენტების მიმართ სრულ დაუდევრობასა და გულგრილობას იჩენენ. "24 საათმა" ერთ-ერთი ასეთი კონკრეტული შემთხვევის თაობაზე გსკ-ს რუსთავის ფილიალის დირექტორს ლაშა ჭილლაძეს აცნობა. **"ამაზე ძალიან მკაცრი რეაგირება იქნება ჩვენი მხრიდან,"** - განაცხადა მან.

ლაშა ჭილლაძე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს უკმაყოფილო აბონენტთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა.

**"ძალიან გაიზარდა ჩვენს სპეციალურ კომისიაში შემოსული განცხადებების რაოდენობა და მათი განხილვა ოპერატიულად ველარ ხერხდება. ეს უფრო ხშირად დაკავშირებულია ახლადდანერგილ პირობითი დარიცხვების სისტემასთან და ბილდინგის პროგრამასთან, რომელიც, ჯერჯერობით, ვერ მიჯნავს, რა შემთხვევაში უნდა წავიდეს პირობითი დარიცხვა და რა შემთხვევაში არა. უკვე შემუშავებულია და წლის ბოლოსთვის დაინერგება ახალი პროგრამა, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს,"** - ამბობს ჭილლაძე.

პირობითი დარიცხვების სისტემამ უარყოფითად იმოქმედა დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებაზეც. გსკ-ს რუსთავის ოფისის მონაცემებით, გასულ თვეში 40 ათასი რუსთაველი აბონენტიდან ელექტროენერგიის საფასური მხოლოდ 4 ათასმა გადაიხადა.

მოსახლეობის უკმაყოფილებას ზრდის ისიც, რომ რუსთავში, რომელსაც აქამდე დენი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდებოდა, უკვე რეგულარული შეზღუდვები დაიწყო. **"ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ძველი ხელისუფლების დროს. რატომ?"** - კითხულობენ რუსთაველები. გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში კი ამაზე პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ და მიზეზად საქართველოს ენერგოსისტემაში მოხშირებულ ავარიებს ასახელებენ.

*მაია მოსიაშვილი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში სარჩელი "პრეზიდენტობის" კიდევ ერთმა კანდიდატმა სერგეი ბაღაფშმა შეიტანა. ბაღაფში მოითხოვს, კანონიერად ჩაითვალოს ცესკოს 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება 3 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ცნობის შესახებ და გამარჯვებულად სწორედ იგი გამოცხადდეს. სარჩელის განხილვა უახლოეს ათ დღეში უნდა მოხდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი**. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ბრძანებულებით, 1 ნოემბრიდან აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემა უნდა დაიწყოს. ამავე ბრძანებულების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების სასწრაფო შემუშავება დაევალათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წევრის ფიქრია ჩიხრაძის აზრით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში სტრასბურგში, ევროსაბჭოს სხდომაზე გამართული დებატები არაფერს შეცვლის. "არ მინდა, რომ გადაჭარბებული წარმოდგენა შეგვექმნას ამ დებატებზე. რუსეთთან ურთიერთობები დაძაბულია და ამაზე მეტად შეუძლებელია, რომ დაიძაბოს. კარგი იქნებოდა, ამ დებატებს რაიმე შედეგი მოჰყოლოდა, მაგალითად - ვერ მოვისმინე, იყო თუ არა აქცენტი გადატანილი რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე საქართველოდან. თუ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ევროსაბჭოს ტრიბუნა ინფორმაციის გატანისთვის უნდა იყოს გამოყენებული, მაშინ ამ ტრიბუნიდან რატომ არავინ მოითხოვს რუსეთის ბაზების გაყვანას?", - აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ტერიტორიული წყლების უკანონო დარღვევისა და კონტრაბანდისთვის დაკავებული ბერძნული ტანკერის ეკიპაჟმა საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ 200 000 ლარის ოდენობის ჯარიმა გადაიხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორგანიზაცია "კმარას" აქტივისტებმა და პარლამენტარებმა - კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს წინ საპროტესტო აქცია გამართეს და კედლებზე ასეთი შინაარსის წარწერები გააკეთეს: "თავისუფლება პოლიტპატიმრებს". ისინი "საქართველოს ერთიანობის კავშირის" აქტივისტის, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ჯუმბერ თავართქილაძის გათავისუფლებას ითხოვდნენ. "ლევან ვარშალომიძის ხელმძღვანელობით სასამართლო ასევე არღვევს საპროცესო ნორმებს, როგორც ამას აკეთებდა ასლან აბაშიძის დროს. რევოლუციას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია იმის გარდა, რომ შეიცვალა გვარები", - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველომ თბილისში აღურიცხავი საქონლის გადატანის აღსაკვეთად რეიდი ჩაატარა. ფინანსური პოლიციის ცნობით, დაკავებულია შპს "სიხარულის" ინდმეწარმე "პაატა ლომსაძის" და სხვა კერძო პირების კუთვნილი "მერსედესის", "გაზ-53"-ის, "ფორდ ტრანზიტის" ტიპის ავტომანქანები, რომლებსაც დიდი რაოდენობით აღურიცხავი სასურსათო და სამრეწველო საქონელი გადაჰქონდათ. აღურიცხავი პროდუქცია ამოღებულია, გადატანილია ტერმინალში და ექსპერტიზა უტარდება, რის შემდეგაც განისაზღვრება ჯარიმის ზუსტი რაოდენობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჭიათურმანგანუმის" ყოფილ მმართველებს - აკაკი გურჯიძესა და როლანდ გოცაძეს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მათ მიმართ აღძრულ საქმეს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. გურჯიძესა და გოცაძეს გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებას ედავება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზესტაფონში ავტომანქანა "ვაზ-2107", რომელსაც მართავდა თბილისელი, 42 წლის ბესარიონ გოგიბერიშვილი, დაეჯახა ავტომანქანა "ვაზ-21013"-ს, რომელსაც მართავდა ხარაგაულის რაიონის სოფელ იგორეთში მცხოვრები, 22 წლის დავით პაქსაშვილი, რის შედეგადაც პირველი ავტომანქანის მძღოლი და მისი მამა, 64 წლის აკაკი გოგიბერიშვილი ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ერთი მგზავრი ჯანმრთელობის დაზიანებით მოთავსებულია საავადმყოფოში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის რაიონში ყაჩაღობა მოხდა. სოფელ სვირში ხუთი ნიღბიანი პირი თავს დაესხა ნოდარ გეწაძის ოჯახს, საიდანაც მათ იარაღის მუქარით ოქროს ნივთები და ელექტროტექნიკა გაიტაცეს. თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსს კუთვნილი ავტომანქანა "ოპელ ვექტრაც" გაიტაცეს, რომელიც სამართალდამცველებმა რაიონის ტერიტორიაზე გუშინ იპოვეს. მომხდართან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ზესტაფონის პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე მალხაზ მაისურაძის კანდიდატურაა წარდგენილი. წარსულში მაისურაძე უშიშროების სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი იყო, ბოლო დროს კი შს სამინისტროს კადრების სამმართველოს ხელმძღვანელობდა. მალხაზ მაისურაძე შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გია გეწაძის ადგილს დაიკავებს, რომელიც გასულ კვირას იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია,
სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "კიდე კარგი, არ ჩამოვიდა"

პირველი გვერდიდან

"ვრემია ნოვოსტეის" კორესპონდენტ ლევ ბრუნს საქართველოში პირველად არ უწევს ყოფნა. მას ჩვენს ქვეყანაში მუშაობა სწორედ იმ დროს მოუხდა, როცა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები გამწვავდა. მიუხედავად ამისა, მას იმ მოკლე ხანში შეძენილი მეგობრები დღემდე არ ავიწყდება და მათთან კვლავინდებურად განაგრძობს ურთიერთობას: **"ქართველები ყველა ერისგან განსხვავდებით. თქვენ ერთმანეთთან კარგი და თბილი ურთიერთობა გაქვთ. მე 1993 წლიდან მომდევს იმედი, რომ რუსეთი და საქართველო ერთმანეთის მიმართ ასე მტრულად არ იქნებიან განწყობილნი და ყველაფერს ბოლო მოეღება,"** - ამბობს ბრუნი.

ქართველი ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ რუსულ მედიას თავისი სირთულეები და სპეციფიკა აქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება მაინც თავისას ცდილობს, რათა საინფორმაციო ველი რუსეთში საქართველოსთვის გაუმჯობესდეს. რადიო "სვაბოდას" ჟურნალისტი არკადი დუბნოვი კი მიიჩნევს, რომ ვერც ერთ ერში ვერ იპოვის ადამიანი მთლად სიკეთეს, თუმცა საქართველოდან იგი სამშობლოში სხვა შთაბეჭდილებით ბრუნდება: **"საქართველო ენით აუწერელი ქვეყანაა. ეს პატარა კუთხე იმსახურებს, რომ იცხოვროს სრულფასოვნად, რადგან აქ ბოროტება წარმოუდგენელია. რაც შეეხება აქაურ სუფრას, სასწაულია, დაუვიწყარია ქართული ღვინო."**



რუსმა ჟურნალისტებმა ჩურჩხელების ამოვლებაც ისწავლეს.

ზვიად რუაძის ფოტო

მხარის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი შეეცადა, სტუმრებისთვის კახური ტრადიციები გაეცნო. მან ჟურნალისტები ჯერ რთველში მიიპატიჟა, შემდეგ ჩურჩხელები ამოავლებინა, ბოლოს კი ზოგიერთს ხინკლებიც მოახვევინა. სტუმარ-მასპინძლობა კი ტრადიციული ქართული სუფრით და მრავალჟამიერით დასრულდა, რამაც რუსი ჟურნალისტები საბოლოოდ აღაფრთოვანა.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ასეთმა კეთილგანწყობამ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს რაღაც იმედი ჩაუსახა - იქნებ როგოზინების და ჟირინოვსკების სამშობლოსთან ინფორმაციული ომი დამთავრდეს, მაგრამ იმ ერთი ზღაპრისა არ იყოს, სიკეთის წილ სიავე არცთუ იშვიათი მოვლენაა.

...სტუმრიანობის დასასრულს ერთმა წინანდლელმა ბრძენკაცმა თავისთვის ჩაილაპარაკა: "პრეზიდენტს აქ რა უნდოდა, კაცო?! კიდე კარგი, არ ჩამოვიდა."

ასეთი სტუმარ-მასპინძლობა კი, როგორც სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აცხადებს, ტრადიციად დამკვიდრდება.

# უმსგავსო არჩევნები

## ვაშჩენკოც კი აღშფოთებულია

*სოხუმში იმყოფება რუს პარლამენტართა ერთი ჯგუფი, დუმის რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის წევრთა შემადგენლობით. ისინი არჩევნების მიმდინარეობას ადევნებენ თვალყურს და პირველი ტურის შედეგებით უკმაყოფილებას გამოთქვავენ. "24 საათთან" სატელეფონო ინტერვიუში პარალმენტის კავკასიის საქმეთა სამუშაო ჯგუფის უფროსი ალექსეი ვაშჩენკო აღშფოთებას ვერ მალავს.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

- სახეზეა არჩევნების არათუ ნორმალურად ორგანიზების, არამედ მისი ჩატარების ყოვლად უმსგავსო ფორმები. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებაში დიდი როლი ითამაშა აფხაზეთში დღეს არსებული ხელისუფლების კრიზისმა. კრიზისის ფონზე სკანდალური მომენტი იყო რუსეთის აშკარა ჩარევა არჩევნებში, რუსული პრესისა და კულტურის მუშაკთა ბინძური პიარი - თითქოს ყველაფერი სპეციალურად გაკეთდა. უკანონო იყო პუტინის მიერ ხაჯიმბას აშკარა მხარდაჭერა. მავნე როლი ითამაშა საქართველომაც. აფხაზეთში სიტუაციის არევაში დიდი თანხები გაიღო სოროსის ფონდმა. მაგალითად, მე მაქვს უტყუარი ცნობები, რომ ზუგდიდში მოსახლეობას 50 დოლარს ურიგებდნენ, რათა აფხაზეთში გადასულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. დიდი როლი ითამაშა კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილმა. არჩევნებზე იყო სრული საკანონმდებლო განუკითხაობა და იურიდიული ქაოსი. ასე რომ, მინდა მოგილოცოთ: რუსეთის, საქართველოსა და დასავლეთის დახმარებით აფხაზეთში არჩევნები ჩაიშალა და რესპუბლიკის პრესტიჟს სერიოზული ზიანი მიადგა. აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებაზე და მის დამოუკიდებლობის ცნობაზე ლაპარაკიც კი არასერიოზულია. ვიმეორებ: ამას დაინტერესებულმა მხარეებმა ერთად მიაღწიეს.

**- თუ აქვთ დამკვირვებლებს პრეტენზიები ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი?**

- კომისიამ საკუთარი იურიდიული სიბეცე აჩვენა. არჩევნების წინ მათი ცნობით 220 ათასი ამომრჩეველი იყო, შემდეგ 160 ათასი, ბოლოს გაირკვა, რომ თურმე 116 ათასი ყოფილა. კაზუსი იყო ისიც, რომ ეს იურიდიული ორგანო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკური განცხადებების კეთებას მოუნდა, რაც აფხაზეთის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

**- პირადად თქვენს ჯგუფს რა მონაცემები აქვს კანდიდატებზე და როგორია თქვენი პროგნოზი?**

- სერგეი ბაღაფშს ამომრჩეველთა 45 პროცენტმა მისცა ხმა, რაულ ხაჯიმბას - 40-მა, სერგეი შამბას - 10-მა პროცენტმა. არჩევნების უკანონო მიმდინარეობაზე მომზადდა დოკუმენტი და მას დღეს გადასცემენ აფახეზთის უზენაეს სასამართლოს. ყველა ექსპერტი ერთსულოვანია იმაში, რომ ხელახალი არჩევნები გალის რაიონში უკანონოა. ბოლო ინფორმაციით პრეზიდენტი არძინბა ითხოვს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არჩევნების ხელახლა ჩატარებას. ჩემი პროგნოზით, ხელახალი არჩევნები, ასე, 4-6 თვეში დაინიშნება. ამასობაში ახალი პრემიერი ნოდარ ხაჟბა ხელისუფლების კრიზისს დაძლევს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. თუ იგი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს, აფხაზეთში ეს დამატებით კრიზისს გამოიწვევს.

**- როგორია საზოგადოებრივი განწყობა?**

- საზოგადოება უკვე რამდენიმე ჯგუფად გაიხლიჩა. ხელახალი არჩევნები ვერ შეაჩერებენ ზრდას უფსკრულისა, რომელიც თანდათან ღრმავდება. ხალხის უკმაყოფილება იზრდება და ბოლოს იგი, ალბათ, "ვარდებით" დასრულდება. ამ ხელისუფლების ხელში კრიზისი გარდაუვალია.

**- ხომ არ არის შეიარაღებული შეტაკების საფრთხე?**

- ეს საფრთხე რეალურია, მაგრამ არც ისე სერიოზული. თუ სისხლი დაიღვრება, ეს მასობრივ შურისძიებას გამოიწვევს. ალბათ, აფხაზებს გონივრულობა ეყოფათ. ჩვენთვის მოულოდნელი იყო აფხაზეთში არჩევნებზე ბინძური ტექნოლოგიების გაჩენა, გვეგონა, რომ აფხაზები საკუთარ კულტურულ ტრადიციებს არ დაარღვევდნენ. ბაღაფშისა და ხაჯიმბას მხარდამჭერებიდან წამოსულმა მავნე პიარმა რესპუბლიკის მომავალი საფრთხის წინაშე დააყენა.

# პრეზიდენტი პროფესიას იცვლის

პირველი გვერდიდან

გამოსაცდელი, ცოტა არ იყოს, გასაჭირშია, მაგრამ პასუხს მაინც პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე იძლევა: **"მაინც დავიცავ კანონს"**. გამომცდელი სააკაშვილი არ ეშვება: **"უცებ ოქრუაშვილმა რომ დაგირეკოს და გიბრძანოს მოადგილის გათავისუფლება?"... "მაინც კანონს დავიცავ"**. სააკაშვილი ბოლომდე იფერებს გამომცდელის როლს: **"მაინტერესებს, როგორი ტექსტით აუხსნი ოქრუაშვილს, რომ კანონს იცავ?"** გამოსაცდელი ყველანაირად ცდილობს თავის დაძვრენას: **"აუ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ კანონს დავიცავ."**

გამომცდელი პრეზიდენტის ძირითადი კითხვები კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და კორუფციას ეხებოდა. **"დარწმუნებული ვარ, რომ მე, ოქრუაშვილი, ადეიშვილი ან ჟვანია საპატრულო პოლიციას არ დავურეკავთ. თუ სხვა დანარჩენები კანონის დარღვევის შემთხვევაში პოლიციელებს შეაწუხებენ, პატრულმა ისინი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაინდოს."** გუშინვე პრეზიდენტმა გაიხსენა ერთ-ერთი დეპუტატის ინციდენტი, რომელიც პატრულმა ვაკეში დააკავა. პრეზიდენტის თქმით, დეპუტატმა 48 ადამიანს დაარეკინა, მაგრამ მაინც არ აპატიეს კანონის დარღვევა. **"საპატრულო პოლიციას მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი. პოლიციელი უაღრესად ზრდილობიანი, მაგრამ ამასთანავე პრინციპული უნდა იყოს,"** - განაცხადა გამომცდელმა და პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

გუშინ პრეზიდენტი რამდენიმე გამოსაცდელით აშკარად კმაყოფილი დარჩა. ასეთი კურიოზული შემთხვევაც მოხდა: ერთ-ერთ გამოსაცდელს, რომელსაც არც კი დაესიზმრებოდა, მიხეილ სასაკაშვილი თუ გამოცდიდა, მონაცემებში ჩაუწერია, რომ ინგლისური იცოდა. სააკშვილთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნა, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა. საბედნიეროდ, ჯერ ჩვენს ქვეყანაში ინგლისურის უცოდინარობაზე უფრო ცუდ ტონად სიცრუე ითვლება...

საპატრულო პოლიციის მსურველთა სიმრავლის გამო გასაუბრება რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. პრეზიდენტის თქმით, სპეციალური მორიგეობა დაწესდება და გასუბრებებს მონაცვლეობით დაესწრებიან შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური პროკურორი და ძალოვანი უწყების სხვა მაღალჩინოსნები.

# საქართველო თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას უერთდება

*მალე საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის რატიფიცირება უნდა მოახდინოს. ქარტია, რომელსაც ევროპის 36 სახელმწიფოა მიერთებული, ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს ეხება, როგორიც არის: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აღიარება დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად; სახელმწიფო საქმეების წარმართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება და ყველაზე ეფექტურად მისი რეალიზაცია სწორედ ადგილობრივ დონეზე; ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება, როგორც ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის აუცილებელი პირობა; მოქალაქეებთან დაახლოებული მმართველობა; ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობა, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების დროს ექნებათ ფართო ავტონომია და აუცილებელი სახსრები; ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ფინანსური დამოუკიდებლობა.*

თამარ მჭედლიშვილი

იმის მიუხედავად, რომ თვითმმართველობის ევროპული ქარტიასთან მიერთების აუცილებლობაზე არავინ დავობს, ფაქტია, რომ ყველა მუხლის მოთხოვნის გათვალისწინება დღესდღეობით ვერ მოხერხდება. ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. თუმცა, როგორც სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, სავალდებულო მუხლებთან მიერთება ჩვენთვის აუცილებელია. მით უფრო, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ ამას ჩვენგან დაჟინებით ითხოვს საერთაშორისო ორგანიზაცია.

"24 საათი" არაერთგზის წერდა იმ პრობლემებზე, რომელიც ქვეყანაში თვითმმართველობის რეალურ განვითარებას უშლის ხელს. ამჟამად მხოლოდ იმას გავიმეორებთ, რომ მათი გადაჭრა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ამავე დროს, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოდელის განსაზღვრამდე, ევროპული ქარტიის მთელი რიგი მოთხოვნების გათვალისწინება შეუძლებელია. ამას აღიარებენ როგორც სახელმწიფო კანცელარიაში, ასევე ქვეყნის საგარეო უწყებასა და პარლამენტშიც. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქართველო მხოლოდ ნაწილობრივ მიუერთდება ქარტიას.

შეგახსენებთ, რომ ამ ქარტიის ხელმოწერა და რატიფიცირება ერთ-ერთი იმ ვალდებულებათაგანია, რომელიც ქვეყანამ ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს აიღო. ეს 2002 წლის 29 მაისს მოხდა. მაშინვე გადაწყდა, რომ ქარტიის რატიფიცირება ქართულ მხარეს ევროსაბჭოში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში უნდა მოეხდინა.

სახელმწიფო მინისტრის ზურაბ მელიქიშვილის თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოს ორგანულ კანონში თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ შეტანილია ცვლილებები და დამატებები, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს, შეუერთდეს ქარტიის სავალდებულო ათ მუხლს და დამატებით ცამეტ მუხლს.

ძირითადი მუხლები ეხება: ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ და სამართლებრივ საფუძველს, ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციას, მისი კომპეტენციის სფეროებს, თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და მათ ამოცანებს, იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც ხდება უფლებამოსილებათა განხორციელება ადგილობრივ დონეზე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსურ სახსრებს, თვითმმართველობის ორგანოების უფლებას გაერთიანებაზე, თვითმმართველობის სამართლებრივ დაცვას.

# ფოთი - ტერნეუზენი

პირველი გვერდიდან

*ოქროს ხანას ელიან.*

ფოთის პორტის ახალი ხელმძღვანელის თემურ მიმინოშვილის განცხადებით, **"პორტი 2004 წელს რეკორდულ მაჩვენებელზე გავა"**. 6 მილიონ ტონიანი ტვირთბრუნვა ქართულ ნავსადგურს მართლაც არ ახსოვს. დღევანდელი მაჩვენებლებით, ფოთის პორტის მიერ გაწეული მომსახურების 60 პროცენტი ტრანზიტულ ტვირთებზე მოდის, დანარჩენი კი ექსპორტ-იმპორტზე. მარკო პოლოსა და "აბრეშუმის გზას" სულ რომ არ ვცნობდეთ, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ფინანსურ წყაროდ სწორედ ტრანზიტი ჩავთვალოთ. შეიძლება ითქვას, რომ ფოთის პორტი საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს. მას აქვს საშუალება, მიიღოს და მოემსახუროს ნავთობს, სხვადასხვა ქიმიურ ტვირთებს, ნაყარ მასალას, ასევე გენერალურ ტვირთებსაც. ყოველ მათგანს ცალკეული და განსაკუთრებული ტექნოლოგიებით აგებული სატვირთო, სასაწყობე და გადამზიდავი პირობები ესაჭიროება. დღეს ფოთის პორტის მთავარი პრობლემებია მმართველობის ფორმა, საკადრო საკითხები და მწირი ფინანსური ინვესტიციები.

მიმინოშვილის ინფორმაციით, პორტი დღეს 420-იდან მხოლოდ 30 ჰექტარ ფართობს იყენებს აქტიურად. 380 ჰექტარი ე.წ. მომავალი განვითარებისათვის არის განკუთვნილი. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, რეორგანიზაციის პროცესი ჯერაც მიმდინარეობს. ოქტომბრის ბოლოს კი ცნობილი გახდება პორტის განვითარებისა და მომავალი საქმიანობის სტრატეგია, სადაც ყურადღება გამახვილდება ყველაზე მნიშვნელოვან - მმართველობის ფორმის - საკითხზეც. ამ საკითხს გვერდი ვერ აუარა სანდრა ელისაბედ რულოვსმაც. საქართველოს პირველი ქალბატონი *"24 საათს"* ესაუბრა:

- ამ თემაზე დიდი ხანია, ვფიქრობ. ჰოლანდია, საპორტო ინდუსტრიის თვალსაზრისით, ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში. ამდენად, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ მოვახერხე ურთიერთშეთანხმების მიღწევა ფოთის პორტისა და "ზეილანდ სიიპორტის" ხელმძღვანელობებს შორის. ეს ჰოლანდიის ის მხარეა, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. როგორც თქვენ პრეზენტაციაზე გაცნობეს, ტერნეუზენისა და ვლისინგენის პორტები რამდენიმე წლის წინათ გაერთიანდა და ჩამოყალიბდა, როგორც "ზეილანდ სიიპორტი". ის მასშტაბებით უფრო მცირეა, ვიდრე როტერდამის პორტი, მაგრამ ევროპაში ერთ-ერთ მზარდ კომპანიად ითვლება. ის, რომ ამ პორტში მუშაობს ზეილანდის პროვინციის დასაქმებულთა 25 პროცენტი, ბევრზე უნდა მეტყველებდეს.

**- რა არის ამ ინიციატივის არსი?**

- დაძმობილება პორტებს შორის და მომავალი განვითარებისა თუ ურთიერთთანამშრომლობის გეგმების დასახვა. ამჟამად, რამდენადაც ვიცი, ჩვენი მთავრობა იხილავს (სანდრა რულოვსი სიტყვას "ჩვენი" იშველიებს მხოლოდ მაშინ, როცა საუბარია საქართველოზე - ო.ქ.) საკითხს ფოთის პორტის მმართველობის თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არ არის, თუმცა მე ვეცადე, ფოთის პორტის ხელმძღვანელობისთვის მიმეცა საშუალება, გაცნობოდა საერთაშორისო გამოცდილებას, შეესწავლა ის მიდგომები, რაც მსოფლიო სტანდარტებით არის მიღებული, მმართველობის ფორმები, განვითარების სტრატეგიები და ა.შ.

**- თქვენი აზრით, უნდა გაიყიდოს თუ არა ფოთის პორტი?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის და მე, როგორც გითხარით, ამაში არ ვერევი. ისე კი მიიმაჩნია, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფო მმართველობაში უნდა დარჩეს, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა მათი, მაგალითად, ბოროტად გამოყენება ან ბლოკირება, რაც ხალხისთვის შეიძლება ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს, ხოლო რეგიონისთვის - საზიანო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საუბარი ეხება სატრანზიტო დერეფანს და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დერეფანზე ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებიც.

"ზეილანდ სიიპორტი", რა თქმა უნდა, მასშტაბებით გაცილებით დიდია, ვიდრე ფოთის პორტი. მას 4400 ჰექტარი ფართობი აქვს ათვისებული და დაახლოებით 200-ის ათვისებას უახლოეს მომავალში აპირებს. მისი ტვირთბრუნვა შეადგენს წლიურად 28 მილიონ ტონას და მასში ათასობით ადამიანია დასაქმებული. **"ამ პორტის გაშენება გასული საუკუნის შუა რიცხვებში დაიწყო ჰოლანდიის ხელისუფლების ინიციატივით, რაც ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ ხალხი ტერნეუზენიდან და ვლისინგენიდან სამუშაოდ ცენტრისკენ, ამსტერდამის ან როტერდამისკენ მიემართებოდა. მოღვაწეობა პორტმა მცირედით დაიწყო და მეოცე საუკუნის დასასრულისთვის უკვე სერიოზულ კომპანიას წარმოადგენდა. განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ტერნეუზენისა და ვლისინგენის პორტების გაერთიანება იყო. ფოთის პორტის შესახებ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გვსმენია. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება დაეკისროს მომავალში ევროპიდან აზიაში ტრანზიტის მოძრაობის თვალსაზრისით. ამდენად, ჩვენ მზად ვართ, გავუზიაროთ მათ ჩვენი გამოცდილება და ვისაუბროთ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებაც,"** - აცხადებს "ზეილანდ სიიპორტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თავმჯდომარის მოადგილე ადემარ ვან ვასი.

მმართველობასთან დაკავშირებით ირკვევა, რომ პორტების 50 პროცენტის მფლობელი ზეილანდის პროვინციის მთავრობაა, დანარჩენი კი მუნიციპალიტეტებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ამ მოდელის გადმოტანა ქართულ რეალობაში დღესდღეობით რთულია, ვინაიდან მუნიციპალიტეტები, განსაკუთრებით ფოთის, სულაც არ ემსახურება ხალხის ინტერესებს. თუმცა, საქართველოს მთავრობისთვის კარგი მაგალითი იქნებოდა საზოგადოებრივი მართვის ამგვარი მექანიზმი და ისიც, თუ როგორ ენდობა მოსახლეობა მუნიციპალიტეტებს. პორტებს ჰყავს მმართველი დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო. ასე ვთქვათ, მთავრობა და პარლამენტი, ან პოზიცია და ოპოზიცია. ასეთ შედარებას იმიტომ ვაკეთებთ, რომ პორტების ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ხშირად ისინი წინააღმდეგობაში მოდიან და სწორედ ასეთი მმართველობით არის შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრებაში ერთდროულად ძლიერი, ეკონომიკურად ეფექტიანი და მომგებიანი კომერციული სტრუქტურის არსებობა. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობა დაქირავებულია, საბჭოს თავმჯდომარეს კი ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევენ, სადაც უშუალოდ მოსახლეობაც იღებს მონაწილეობას.

არანაკლებ მნიშვნელოვნად გვეჩვენა საკუთრების ფორმებთან დაკავშირებული ინფორმაცია. როგორც გაირკვა, დასაწყისისთვის პორტი კუთვნილ მიწებს ყიდდა სხვადასხვა კომპანიებზე, რომლებიც შემდგომში ამ ტერიტორიებზე აყალიბებდნენ სხვადასხვა საპორტო საქმიანობასთან დაკავშირებულ ბიზნესს - იქნებოდა ეს ტერმინალები, უსაფრთხოების სასწავლო ცენტრები, სასაწყობე მეურნეობები, ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები თუ ა.შ. თუმცა, გასული საუკუნის 70-იან წლებში ხელისუფლებამ და პორტის ხელმძღვანელობასმ სტრატეგია შეცვალა და მიწების გაყიდვა შეწყვიტა. დღეს "ზეილანდ სიიპორტი" მიწებს მხოლოდ 60 წლიანი ლიზინგით გასცემს. როგორც პორტების ხელმძღვანელობაში აცხადებენ, აღნიშნული განპირობებულია ერთი გარემოებით - მთავრობამ გადაიფიქრა მიწების გასხვისება კონტროლის გამო. ალბათ, ეს მნიშვნელოვანი მაგალითი იქნება როგორც ფოთის პორტისთვის, ისე მთლიანად საქართველოს ხელისუფლებისათვის.

ერთი სიტყვით, რულოვსების ოჯახში თბილი მიღებისა და რამდენიმე საინტერესო ვიზიტის შემდეგ საპორტო ბიზნესში ჩართულ კომპანიებში, დაძმობილების ცერემონიალი სანდრა რულოვსის მშობლიური ქალაქის ტერნეუზენის მერიაში შედგა. ცნობილი გახდა ისიც, რომ ჰოლანდიის მთავრობამ ფოთის პორტს გამოუყო 15.3 მილიონი ევრო, საიდანაც 9.45 კრედიტია, დანარჩენი კი გრანტი. ამ თანხას საქართველოში ჰოლანდიური კომპანია "ბოსკალისი" დახარჯავს.

ამ ინიციატივას ჰოლანდია-საქართველოს ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს ანიჭებს საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში კოტე ზალდასტანიშვილი, რომელიც ასევე ესწრებოდა დაძმობილების ცერემონიალს. მისი თქმით, **"ამ სფეროში კავშირის დამყარება იქნება წინაპირობა ურთიერთობების სხვა მიმართულებით განვითარებისთვისაც. ჰოლანდია არა მარტო პორტებიათ და ტრანსპორტირებით არის ცნობილი, მისი სავიზიტო ბარათი მსოფლიოში ულამაზესი ყვავილები და ერთ-ერთი ურთულესი საქმიანობა - სასათბურე მეურნეობაა, რაც საქართველოს პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანი იქნება".**

ერთი სიტყვით, საქართველოს პირველი ლედი კმაყოფილია დელეგაციის მუშაობით. მეტიც, აქვე მან მოახერხა მოლაპარაკება ერთ-ერთ უმსხვილეს საპორტო კომპანია "მულტრაშიფთან". შედეგად, თბილისის დამწვრობის ცენტრს გადაერიცხება 5000 ევრო. როგორც პირველი ლედი აცხადებს, თანხა მოხმარდება კონკრეტულ ოჯახებსა და პირებს და მის ხარჯვას პირადად გაუწევს კონტროლს. ხოლო მისი და ზოგადად რულოვსების სტუმართმოყვარეობის, ოჯახური ტრადიციების, სასკოლო ისტორიებისა და სხვა საინტერესო ამბების შესახებ *"24 საათი"* უახ-

# პირველი პილოტური პროგრამა კორპორაციულ მართვაში - შანსი ქართული კომპანიებისათვის

*ქართულ კომპანიებს საკმაოდ შთამბეჭდავი პერსპექტივა გაუჩნდათ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" ფარგლებში შეირჩევა ათი ქართული სააქციო საზოგადოება. მათ საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ ე.წ. პილოტურ პროგრამაში კორპორაციული მართვის კუთხით, ანუ კონსულტაციების, სემინარებისა და ინდივიდუალური ტრენინგების ჩატარებისა და კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით გაუმჯობესდება კომპანიების კორპორაციული მართვა. IFC აღნიშნულ ათ კომპანიას პოტენციური ინვესტორებისა თუ ინვესტიციების მოზიდვაში უშუამდგომლებს.*

ნინო ნარჩემაშვილი

აღსანიშნავია, რომ პილოტურ პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სააქციო საზოგადოებების ფორმით და გააჩნიათ სურვილი, გააუმჯობესონ საკუთარი საწარმოს კორპორაციული მართვა. ამავე დროს პრეტენდენტი კომპანია ორიენტირებული უნდა იყოს ფინანსური რესურსების მოზიდვაზე და მასში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 25 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი თბილისში იმუშავებს, მასში მონაწილეობის შესახებ განაცხადის შეტანა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში განლაგებულ საწარმოს შეუძლია, მათ შორის - დამწყებ კომპანიებსაც.

რაც შეეხება თვითონ პილოტური პროგრამის მნიშვნელობას, მისი შედეგები ადვილად მისახვედრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის საქართველოში რეალურად არ გვხვდება კომპანიები, რომლებიც კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ქართული კომპანიები მხოლოდ კანონმდებლობის ელემენტარულ მოთხოვნებს პასუხობენ, რაც ინვესტორების მოსაზიდად ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ინვესტორს ზუსტად ისევე აინტერესებს კომპანიის კორპორაციული მართვის დონე, როგორც მისი ფინანსური შესაძლებლობები. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში განმარტავენ, რომ პილოტური პროგრამა საქართველოში შექმნის კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის, საერთაშორისო სტანდარტებისა თუ მოთხოვნების დაკმაყოფილების, ინვესტიციების შემოდინებისა და, შესაბამისად, კერძო სექტორის განვითარების საფუძველს.

დაბოლოს, დაინტერესებული კომპანიების საყურადღებოდ: ჯერჯერობით, უცნობია, რომელი ათი ქართული კომპანია მიიღებს მონაწილეობას პილოტურ პროგრამაში - IFC-ის ოფისში განაცხადების მიღება გრძელდება და ნებისმიერ პრეტენდენტს აქვს შანსი, მოხვდეს წარმატებული ქართული კომპანიების ათეულში.

# აშშ-ს "ერბასის" საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გააქვს

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს მთავრობა აპირებს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უჩივლოს ევროკავშირს. ვაშინგტონი ძველ კონტინენტს "ერბასის" სუბსიდირებას აბრალებს. აშშ-ს წარმომადგენელი რობერტ ზოლიკი აცხადებს, რომ "ერბასი" სამოქალაქო ავიაციის სექტორში უკვე ჩაგრავს თავის ამერიკელ კონკურენტს - "ბოინგს" და, აქედან გამომდინარე, კონსორციუმის დაფინანსება წევრი ქვეყნების მიერ უსამართლოა.

ევროკავშირი ამის საპასუხოდ აცხადებს, რომ "ერბასთან" მისი ურთიერთობა კანონიერია და იგი თავად აპირებს საქმის აღძვრას აშშ-ს წინააღმდეგ "ბოინგის" სუბსიდირების გამო. **"თუ ამერიკა კონფრონტაციის გზას დაადგება, ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ გამოწვევა**, - იუწყება ევროკავშირის სავაჭრო კომისარი პასკალ ლამი, - **რათა ბოლო მოეღოს ვაშინგტონის მიერ "ბოინგისათვის" უკანონო ხელშეწყობას, რომელიც "ერბასს" აზიანებს."**

აშშ-სა და ევროკავშირს 60 დღე აქვთ დავის გადასაწყვეტად, ამის შემდეგ კი საქმეში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ჩაერევა.

ევროკავშირის გაღიზიანება გამოიწვია ვაშინგტონის განცხადებამაც იმის თაობაზე, რომ იგი აპირებს, გააუქმოს 1992 წლის შეთანხმება ევროკავშირთან. ამ შეთანხმების მიხედვით იზღუდება მთავრობის მხრიდან სამოქალაქო ავიაციის განვითარებისათვის ხელშეწყობა. მთავრობას შეუძლია განვითარების სამუშაოები 33 პროცენტით დააფინანსოს იმ პირობით, რომ ეს თანხა 17 წელიწადში იქნება გასტუმრებული. ევროკავშირი ამტკიცებს, რომ "ერბასისათვის" ფინანსური დახმარება სწორედ ამ შეთანხმების მიხედვით ხდება, ამერიკა კი პირობებს არღვევს. თუმცა, ზოლიკი საპირისპიროს ამტკიცებს. მისი თქმით, "ერბასმა" უკვე მილიარდობით დოლარი მიიღო და ახლა ევროკავშირის ქვეყნები კიდევ 6,5 მილიარდს დებენ ახალი "ერბას 380"-ის განვითარებაში, რომელიც "ბოინგ 7о7"-ის კონკურენტად უნდა იქცეს. თავის მხრივ, ლამი ირწმუნება, რომ ვაშინგტონი "ბოინგ 7о7"-ის განვითარებას აფინანსებს.

"ერბასი" 1970 წელს დაარსდა გერმანიის, საფრანგეთის, ბრიტანეთისა და ესპანეთის მთავრობების მიერ. ბოლო პერიოდში კონსორციუმმა სამოქალაქო ავიაციის სფეროში აშკარად დაჩაგრა "ბოინგი," რასაც, ცხადია, ვაშინგტონი ვერ ეგუება.

## მოკლედ

**თბილისი.** სს "პროკრედიტბანკს" CCC+ საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა. ამის შესახებ "პროკრედიტბანკის" გენერალურმა მენეჯერმა ფილიპ ზიგვარტმა ჟურნალისტებს პარასკევს გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ამცნო. ზიგვარტი სააგენტო Fitch-ის მიერ ბანკის მუშაობის მაღალ შეფასებას "პროკრედიტბანკის" აქციონერების დამსახურებად მიიჩნევს. მისი განცხადებით, ბანკის კაპიტალიზაციის და მართვის მაღალ დონეს გარკვეულწილად უზრუნველყოფენ აქციონერები IMI, KFW, IFC, EBRD, IPC, Kommerzbank, რომლებიც თავად არიან BBB-, AAA, A- საერთაშორისო რეიტინგის მფლობელები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე ამერიკული ჰუმანიტარული ხორბლის რეალიზაცია 8 ოქტომბერს გაგრძელდა. ამჯერად 2 ათასი ტონა ხორბალი გაიყიდა. ვაჭრობაში 40-მდე ორგანიზაცია მონაწილეობდა. წისქვილკომბინატებმა ამერიკული ჰუმანიტარული ხორბლიდან 3500 ტონა ამერიკული ხორბალი შეისყიდეს. საქართველომ ამერიკიდან დახმარების სახით 50 ათასი ტონა ჰუმანიტარული ხორბალი 14 სექტემბერს მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნინოწმინდის, წყაროსთავისა და საგარეჯოს მოსახლეობას ნავთობის ამოხეთქვით მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებენ," - დაასკვნა საგანგებოდ შექმნილმა სამთავრობო კომისიამ. დაზიანებულმა ფართობმა ნინოწმინდაში შეადგინა 220 ჰა, წყაროსთავში - 62 ჰა, საგარეჯოში -120 ჰა. დაზიანებულია ვაზის, ბოსტნეული კულტურების და ხეხილის ნაყოფი და ფოთლები. სადაზღვევო კომპანია მზად არის, რაოდენობის დაზუსტების შემდეგ ზარალი აანაზღაუროს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მალე ტრაქტორების წარმოება დაიწყება. ქუთაისის საავტომობილო ქარხანას წარმოების გამართვაში ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა დაეხმარება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხანას შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით შერვაშიძის უკრაინაში ვიზიტის შემდეგ გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართულ-უკრაინული ერთობლივი საწარმო წლის ბოლომდე 30 ერთეულ ტრაქტორს გამოუშვებს. **პრაიმ-ნიუსი**

## ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**11 ოქტომბერს, 10.00-დან 12.00-სთ-მდე:**
არსენალის მთის, გრანელის, ჯაბაურის, დავითაშვილის, დიღომბარის, ლამის, სააკაძის, პეტრე ბაგრატიონის, ახალი არსენალის, ასპინძის, ბოდავის, სალიას, არაგვისპირელის, გუმათის, ადიგენის, ნავთლუღის, თამარაშენის, ბერიაშვილის, ძეგამის, ახუთის, სიღნაღის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**11 ოქტომბერს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
პურის მოედნის, გორგასლის(ნაწილობრივ), თუმანიანის, ორპირის, სამღებროს, იერუსალიმის, ხანძთელის, ლესელიძის, რკინის რიგის, ბამბის რიგის, შარდენის, ერეკლე მეორის, სიონის, აბანოს, ირგვლივის, ბოტანიკურის, ჯვარედინის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**11 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), მანჯგალაძის, ხუდადოვის, ძმობის, კახიანის, ურიდიას, კისისხევის, წრომის, ქებურიას, ნოსტეს, უიარაღოს, მუშათა, მიხეილ მესხის, ცქიტიშვილის, წაღვერის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ამნისტია

პირველი გვერდიდან

"კანონის მიღების მიზანია ბიზნესმენების მიერ ცუდი საგადასახადო კანონმდებლობის გამო დამალული ფულის საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყენება. ბიზნესმენებს არ უნდა ეშინოდეთ ფულის გამოჩენის. საქართველოს მთავრობა კანონის ამოქმედების შემდეგ არ დასჯის არც ერთ ბიზნესმენს, ვინაიდან ის ადამიანი, ვინც ქმნის ქვეყნის დოვლათს, დამნაშავე არ არის. დანაშაულებრივი და კორუმპირებული იყო სისტემა, რომელშიც მათ წლების განმავლობაში უხდებოდათ საქმიანობა. ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ბიზნესმენებს ბევრად გაუმჯობესებულ პირობებში მოუწევთ საქმიანობა,"- განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ფინანსური ამნისტია არ შეეხებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც ქონება ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობით, ტრეფიკინგსა და ტერორიზმში მონაწილეობით დააგროვეს. კანონი ასევე არ შეეხება იმ პირებს, ვის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ან განხორციელდა საპროცესო შეთანხმება.

თუმცა სანამ პრეზიდენტი **"ბიზნესმენებს, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკის მომავალი უნდა ააშენონ"**, მოსალოდნელი ამნისტიის შესახებ ამცნობდა, მან დამსწრე (და არა მხოლოდ!) საზოგადოების გასაგონად საკმაოდ საინტერესო გაფრთხილებები გააკეთა: **"თქვენ გაკვირდებათ პროკურატურა, თქვენ გაკვირდებათ შსს, თქვენ გაკვირდებათ სააკაშვილი..."**

ამ "დაკვირვებების" შედეგი კი გახლავთ დაჭერილი "ღორი" პროკურორები, მებაჟეები, გამგებლები...

**"კარგი კაცი, ცუდი კაცი არ არსებობს, თუ იგი არღვევს კანონს"**, - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა და კონკრეტული გაფრთხილება გააკეთა საბაჟოს ხელმძღვანელის მისამართით:

**"ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს, როდესაც იგი საზღვარგარეთ მიფრინავდა, მას ბევრი მინისტრი აცილებდა. აეროპორტებში კი სუფრებს უშლიდნენ. ჩემი ერთ-ერთი გამგზავრებისას, როცა აეროპორტში მივედი, დილის ხუთ საათზე დიდი სუფრა იყო გაშლილი. როგორც გავარკვიე, გიორგი გოდაბრელიძე ამერიკაში მიფრინავდა და მას მოადგილეები გაცილებას უწყობდნენ. ასეთი კაცი საქმეს ვერ გააკეთებს და კორუფციას ვერ აღმოფხვრის. თუ ერთ თვეში იგი დამატებით 15-20 მილიონი ლარის მობილიზებას ვერ შეძლებს, მოიხსნება თანამდებობიდან. ეს რევოლუციის წლისთავისთვის მოხდება და ეს ეხება ყველა ისეთ კადრს, რომელიც საკუთარ სამსახურს თავს ვერ ართმევს"**, - განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა და 23 ნოემბრისთვის მინისტრებს, გუბერნატორებს, თბილისის მერს კონკრეტული დავალებაც მისცა:

**"23 ნოემბერს თითოეულმა მინისტრმა, გუბერნატორმა უნდა ჩააბაროს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოსახლეობას. თუ აღმოჩნდება, რომ ჩასაბარებელი არაფერი აქვთ, ჩვენ ჩავაბარებთ მათ..."**

გუშინ უკვე ცხადი გახდა, რომ მუქარა ყველაზე ნაკლებად თბილისის მერს ეხება, რომლის სახელიც სააკაშვილმა გუშინ დადებით კონტექსტში, მინიმუმ, ათჯერ ახსენა.

უახლოეს გეგმებს შორის კი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება დაასახელა:

**"მომავალი წელი საქართველოში ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო საშუალებების რესტავრაცია-მოწყობას დაეთმობა"**. - ამბობს იგი. მომავალ წელს საქართველოში ყულევის ტერმინალის მშენებლობის დაწყებაც იგეგმება; შესაძლოა, დაიწყოს თბილისი-ხაშურის ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობაც. გარდა ამისა, ბათუმში საკანალიზაციო სისტემის კეთილმოწყობა და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს.

პრეზიდენტის თქმით, პარალელურად განხორციელდება დარჩენილი საპენსიო დავალიანებების - დაახლოებით 45 მილიონი ლარის გასტუმრება. მიხეილ სააკაშვილს იმედი აქვს, რომ ეს უკვე მომავალი წლის პირველ ნახევარში მოხერხდება.

გარდა ამისა, პრეზიდენტის გათვლით, უკვე მიმდინარე წლის 23 ნოემბრისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების ყაზარმები და სხვადასხვა ნაწილების დისლოკაციის ადგილები ევროსტანდარტების შესაბამისად იქნება მოწყობილი და ჯარისკაცები სრულად იქნებიან უზრუნველყოფილნი როგორც ფორმით, ისე საკვებით.

***მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის გამოსვლის სრულ ტექსტს გთავაზობთ A8 გვერდზე.***

# დევიდ რობსონი: "პრივილეგირებული ვარ, რომ საქართველოში მიწევს მუშაობა"

დიანა ჩაჩუა

*ორი დღის განმავლობაში საქართველო ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მეშვიდე წლიურ კონფერენციას მასპინძლობს. კონფერენციას, რომელშიც ამერიკული და ქართული ბიზნესელიტის და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, საქართველოში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ - ამ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შანსია. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის დადებითი გამოცდილება, რომელიც უცხოურ კომპანიებს საქართველოში უკვე გააჩნიათ. საგულისხმოა, რომ კონფერენციის სტუმართა შორის გახლდათ კომპანია "კანარგოს" პრეზიდენტი დევიდ რობსონი, რომელმაც შეხვედრაზე კომპანია "კანარგოს" მიერ საქართველოში განხორციელებულ წარმატებულ ინვესტიციებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.*




კომპანია "კანარგოს" საქართველოსთან თანამშრომლობის ისტორია 1996 წელს იწყება. დღემდე კომპანიამ საქართველოში ინვესტიციების სახით 90 მილიონ დოლარამდე დააბანდა. გუშინ გამართულ კონფერენციაზე კომპანიის პრეზიდენტმა დევიდ რობსონმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მათი ინვესტიციები ამიერიდან 57 მილიონი დოლარით გაიზრდება.

"კანარგო" გაზისა და ნავთობის სფეროში საქმიანობს. კერძოდ, კომპანია ნავთობს ნინოწმინდასა და სამგორში მოიპოვებს და, პარალელურად, საძიებო სამუშაოებს აწარმოებს მანავსა და ნორიოში.

"კანარგოს" პრეზიდენტი არ მალავს, რომ მათი საქმიანობა, ძირითადად, საქართველოზეა ორიენტირებული მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია მეორადი პროექტები ყაზახეთსა და აზერბაიჯანში.

აღსანიშნავია, რომ "კანარგო" საქართველოში ერთადერთი საზოგადოებრივი ნავთობის და გაზის კომპანიაა, რომლის აქტივების უმრავლესობა საქართველოშია მობილიზებული.

რატომ მაინცდამაინც საქართველო?

**"იმიტომ, რომ მას გააჩნია ძალიან კარგი ტექნიკური პოტენციალი გაზის და ნავთობის მნიშვნელოვანი რეზერვებისთვის. ჩვენს დაინტერესებას ასევე განაპირობებს: ნავთობის სექტორის კარგი კანონმდებლობა, გამძლე, მარტივი და გამჭვირვალე კონტრაქტები, სექტორის ძლიერი რეგულირება, კარგი ადგილობრივი ექსპერტიზა, მოტივირებული სამუშაო ძალა, ძლიერი და პროგრესული ხელისუფლება, ადვილი ექსპორტირება და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, სახელმწიფო თავის წილს პირდაპირ და გამჭვირვალედ იღებს,"** - ასეთია დევიდ რობსონის პასუხი.

კომპანია დიდ იმედებს ამყარებს მანავში აღმოჩენილ ნავთობის რესურსებზე. კომპანიის გათვლით აქ, შესაძლოა, ასობით მილიონი ბარელი ნავთობის მარაგი აღმოჩნდეს. სწორედ ამ პროექტისკენ იქნება მიმართული კომპანიის ყურადღება უახლოესი წლის განმავლობაში.

**"უმნიშვნელოვანესი ნავთობაღმოჩენა, მსოფლიო კლასის რეზერვუარი, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში მაღალი ხარისხის ნავთობის წარმოება შეეძლება"** - ასე შეაფასა "კანარგოს" პრეზიდენტმა ხსენებული აღმოჩენა.

ამასთან, დევიდ რობსონის განცხადებით, საქართველოს ნავთობპოტენციალი არსებულით არ ამოიწურება და ქვეყანას პოტენციური რეზერვების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა, აღარც კი დასჭირდეს ნავთობის იმპორტი.

"24 საათთან" საუბრისას კი ბატონი დევიდ რობსონი კომპანია "კანარგოს" საქართველოთი დაინტერესების კიდევ რამდენიმე მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას:

**"საქართველო მუშაობისთვის ძალიან კარგი ადგილია. არის ისეთი ადგილები მსოფლიოში, სადაც გაცილებით ბევრი ნავთობია, მაგრამ მუშაობა არ გინდა. დაახლოებით 90 მილიონი დოლარი გვაქვს უკვე ჩადებული ქვეყანაში, მაგრამ უახლოესი წლის განმავლობაში კიდევ 57 მილიონი დოლარის ჩადებას ვაპირებთ. ოთხი ახალი ჭაბურღილი გვაქვს გასაბურღი და ვიმედოვნებ, რომ ეს წარმატებული პროექტი იქნება, რომლის საშუალებითაც ნავთობის მოპოვება ათჯერაც კი გაიზრდება. უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობა ჩვენი მოგებიდან 70 პროცენტს აიღებს. მიუხედავად იმისა, რომ მე ამერიკელ აქციონერებს წარმოვადგენ და მათ ინტერესებს ვიცავ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, საქართველოს კეთილდღეობისთვის კეთდება. მე პრივილეგირებული ვარ იმით, რომ საქართ-**

# პარლამენტი ენერგოსტრუქტურების საქმიანობით ინტერესდება

მაია ურუშაძე

*საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა საქართველოს ენერგოსისტემაში კონტრაქტით მომუშავე უცხოელი მმართველების მიერ სახელშეკრულებო პირობების შესრულების მონიტორინგი დაიწყო. კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ნიკოლოზ სააკაშვილმა და ექსპერტმა ირაკლი შეყრილაძემ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მმართველი კონსორციუმის ("იბედროლა", "აი-პი-ეი" და "ომელი") მიერ მართვის ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია წარადგინა.*



იური ლობოდინის ფოტო

*პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ენერგეტიკულ უწყებებს რეკომენდაციებს აძლევს.*

პარლამენტარი მიიჩნევს, რომ საბითუმო ბაზრის მმართველი კონსორციუმი ხელშეკრულების პირობებს ასრულებს, თუმცა არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოსწორება აუცილებელია ბაზრის და, მთლიანობაში, ენერგოსისტემის მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

**"რამდენადაც ბაზარი დარგის კომერციული საქმიანობის საკვანძო სტრუქტურაა, მისი საქმიანობის ეფექტურობაზე ზეგავლენას ახდენს დარგის ყველა რგოლის საქმიანობა. შესაბამისად, ფართოა ბაზრის საქმიანობის ხელშემშლელი ფაქტორების სპექტრიც,"** - განაცხადა სააკაშვილმა და მოსაზრებები ვითარების გამოსწორების გზების შესახებ მარტო საბითუმო ბაზრის მმართველ კონსორციუმს კი არა, სემეკ-ს, ენერგეტიკის სამინისტროს, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას და საქართველოს ელექტროსისტემასაც საგანგებო რეკომენდაციების სახით მიაწოდა.

საკვანძო საკითხებს შორის გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელთა გადასაჭრელადაც პარლამენტარმა ენერგოსექტორის სუბიექტებს ურჩია: აფხაზეთის მიერ მოხმარებული ენერგიის საიმედო აღრიცხვისა და სრული ანაზღაურების პრობლემის მოგვარება; საქართველოს მთავრობის წინაშე "თელასის" და "თბილსრესის" ახალი ენერგობლოკების საპრივატიზაციო კონტრაქტებისა და "ხრამჰესის" მართვაში გადაცემის ხელშეკრულების აქტების სამართალმემკვიდრესთან მოლაპარაკების გზით საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხის წამოწევა; საბითუმო ბაზრის იურიდიული და ფინანსური სტატუსის განსაზღვრა (რაც საგადასახადო სტრუქტურების მიერ ბაზრის - როგორც ასოციაციის - დაბეგრვას და დაყადაღებას გამორიცხავს); პირდაპირი კონტრაქტების დადების დროებითი შეჩერების, ხოლო გამანაწილებელი კომპანიების შემოსავლების მთლიანად ბაზრის ანგარიშზე შეტანისა და საერთო თანხის ყველა მონაწილეზე ბაზრიდან სამართლიანი განაწილების სქემის შემოღების საკითხის განხილვა; ბაზრის ტექნიკური კოდექსის დამუშავება და ამოქმედება.

იქვე, კომიტეტმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი განიხილა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის ინფორმაციით, დენისა და ბუნებრივი გაზის დამტაცებლების მიმართ, საჯარიმო სანქციების გარდა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციებიც გატარდება. კერძოდ, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დატაცება 2 წლით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება, ხოლო განმეორებითი დატაცების შემთხვევაში ეს სასჯელი 2-დან 6 წლამდე გაიზრდება.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა. კანონპროექტი მომავალ სასესიო კვირას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავა განსახილველად.

უახლოეს ხანებში კი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტი "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" მართვის ხელშეკრულებით მომუშავე PA consulting-ისა და სახელმწიფო ენერგოსისტემაში მომუშავე ESBI-ს საქმიანობასაც

# აფეთქებები სინაის ნახევარკუნძულზე

*ათობით დაღუპული და ასობით დაშავებული, რომელთა უმეტესობა ისრაელის მოქალაქე იყო - ასეთია გუშინ, გამთენიისას, წითელი ზღვის სანაპიროს კურორტებზე მომხდარი ტერაქტების შედეგი. სამი აფეთქება ერთსაათიან ინტერვალში. ტაბა, რას ას-სულთანი და პორტი ნუვეიბა - მათგან ყველაზე მძლავრი პირველი აფეთქება გამოდგა, რომელიც უშუალოდ სასტუმრო "ჰილტონის" შესასვლელთან განხორციელდა. აფეთქებამ შენობის ნახევრის ჩამონგრევა გამოიწვია.*

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ აფეთქება ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია. თუმცა, მოგვიანებით ეჭვები გაიფანტა და ნათელი გახდა, რომ აფეთქების მიზეზი დანაღმული მანქანა იყო. აფეთქებამ ძლიერი ხანძარი და შემდეგ მრავალსართულიანი შენობის ერთი ნაწილის ჩამონგრევა გამოიწვია. ამ დროისათვის სასტუმროში ასობით მობინადრე იმყოფებოდა.

სინაის ნახევარკუნძულის წითელი ზღვის სანაპირო ცნობილია არა მარტო საუცხოო ზღვის კურორტებით, არამედ როგორც სხვადასხვა ქვეყნების მეთაურთა შეხვედრების ადგილი. აქ მრავალი ქვეყნიდან ხშირად ჩამოდიან და უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებებს მართავენ, სხვათა შორის, მეტწილად, ახლოაღმოსავლური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე.

აქ მდებარე კურორტებს შორის უცილობელი პირველობა შარმ-ელ-შეიხს უკავია. ეგვიპტის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქის ამ საზაფხულო რეზიდენციას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირები. აქვეა ტაბაც, რომლის ცნობილი სასტუმრო "ჰილტონი" ხშირად ყოფილა ებრაელებს, პალესტინელებსა და ეგვიპტელებს შორის ღია თუ საიდუმლო მოლაპარაკებების მომსწრე. ხუთშაბათის ღამეს, სწორედ ამ სასტუმროს დასავლეთ მხარის ჩამონგრევით დაიწყო ტერორის ტალღა, რომელმაც შოკში ჩააგდო რეგიონის მოსახლეობა.

უკანასკნელად სასტუმრო "ჰილტონში" უმაღლესი დონის შეხვედრა 2001 წლის იანვარში გაიმართა. ახლადდაწყებული ინტიფადის პერიოდში ერთმანეთს შეხვდნენ ისრაელის მთავრობის წარმომადგენლები (საგარეო საქმეთა მინისტრი შლომო ბენ-ამი და იუსტიციის მინისტრი იოსი ბეილინი) და პალესტინის წარმომადგენლები (ახლანდელი პრემიერ-მინისტრი აბუ ალა და ჟენევის შეთანხმების ინიციატორი იასირ აბედ რაბო). მაშინ ებრაელ-პალესტინურ მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ესპანეთის ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი (იმ დროს იგი ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი იყო ახლო აღმოსავლეთში) მიგელ ანხელ მორატინოსი.

ეჭვგარეშეა, ეს ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო ორივე მხარისათვის მისაღები სამშვიდობო შეთანხმების გასაფორმებლად. დღეს ბევრი სინანულით იხსენებდა ამ შეხვედრას - მხარეებს დრო და გამბედაობა რომ ყოფნოდათ ამ შეთანხმების გასაფორმებლად, გუშინ აფეთქებები აღარ მოხდებოდა.

მას მერე რამდენიმე წელი გავიდა, ამ სასტუმროშიც მრავალი გასაიდუმლოებული შეხვედრა შედგა, რომელთა შესახებ, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ. თუმცა, სისხლიანი დაპირისპირება კვლავაც გრძელდება. გუშინ ერთ-ერთი დასავლელი ჟურნალისტი წუხილით ამბობდა - ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის იმედი დიდი ხნით ჩაიმარხა ათსართულიანი ჰილტონის ნანგრევებშიო. და ეს, ნაწილობრივ, სიმართლეს შეეფერება.

სასტუმროში მყოფთაგან ძალიან ბევრი ნანგრევების ქვეშ მოყვა. ზოგიერთი ხანძრისაგან გაქცევას ფანჯრებიდან გადმოხტომით ცდილობდა. აშკარა ხდებოდა, რომ ეგვიპტელი მაშველების ძალისხმევა საკმარისი არ იყო უბედურებაში მყოფთა გადასარჩენად. სასტუმროსკენ, საზღვრის მეორე მხრიდან (სასტუმრო "ჰილტონი" უშუალოდ ეგვიპტე-ისრაელის საზღვრის პირას მდებარეობს) ისრაელის მაშველები, მეხანძრეები და ექიმები დაიძრნენ, თუმცა, მათ საზღვარი დაკეტილი დახვდათ. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მოხერხდა ისრაელელთა საზღვარზე გადასვლა, ისიც აუცილებელი პირობით - გადამსვლელებს საბუთები წესრიგში უნდა ჰქონოდათ.

როდესაც ტაბაში უკვე გამოიკვეთა ტრაგედიაში ტერორისტთა მონაწილეობა, აფეთქებები მეზობელ რას ას-სულთანსა და ნუვეიბაშიც გაისმა, რამაც საბოლოოდ გაფანტეს მოსაზრებები უბედურ შემთხვევაზე.

სასტუმრო "ჰილტონიცა" და ნუვეიბას კემპინგიც სავსე იყო ტურისტებით ისრაელიდან. მთელი კვირის მანძილზე ებრაელები სუკოტს აღნიშნავდნენ. საგულისხმოა, რომ ისრაელის სპეცსამსახურებმა თანამოქალაქენი წინასწარ გააფრთხილეს მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ, განსაკუთრებით, სინაის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფლება კიდევ უფრთხის ტერაქტების გამეორებას და ყველა ებრაელს სთხოვს, უმოკლეს ვადაში დატოვოს სინაი.

გუშინ ეგვიპტის ხელისუფლებამ დაადასტურა თავისი 12 მოქალაქის დაღუპვის ფაქტი. ისრაელი აცხადებდა, რომ სასტუმროს ნანგრევებიდან 19 ებრაელის ცხედრის ამოღება მოახერხეს. კიდევ 38 დაკარგულად ითვლება. დაღუპულები არიან რას ას-სულთანშიც - ისრაელის ორი მოქალაქე. რუსული საინფორმაციო საშუალებები რუსეთის ერთი მოქალაქის დაღუპვას იტყობინებიან. დღეისათვის დაღუპულთა რიცხვმა, სხვადასხვა მონაცემებით, სამ ათეულს გადააჭარბა. თუმცა, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გაიზრდება.

ამასობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე ტერაქტის შესაძლო ორგანიზატორებზე საუბრობენ. ზოგიერთი განცხადებით იგი "ჯემა ისლამიას" მიერ იყო მომზადებული. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაცია მჭიდრო კავშირში იმყოფება "ალ-ქაიდას" ქსელთან და სწორედ მის მიერაა განხორციელებული სისხლიანი ტერაქტები კუნძულ ბალიზე და ჯაკარტაში.

"ალ-ქაიდას" ქსელს ადანაშაულებს ისრაელის ხელისუფლებაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა განაცხადა, რომ "თავდასხმის სპეციფიკა ძლიერ ემთხვევა უსამა ბინ ლადენის ხელქვეითების მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებულებს". თუმცა, ამავდროულად, ისრაელის რადიო კიდევ ერთი უცნობი ტერორისტული დაჯგუფების - "მსოფლიო ისლამური დაჯგუფება" - განცხადებას ავრცელებს. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, თავდასხმა შურისძიების აქტია "პალესტინელი წამებულებისა და ერაყში დაღუპულთა გამო". წერილში შემდგომი აფეთქებების მუქარაც ისმის, რომელიც რამადანის დროს (მომავალი კვირიდან იწყება) განხორციელდება.

### თავდასხმები ისრაელის საზღვარგარეთულ სამიზნეებზე




**1** **1972 წ. 5 სექტემბერი:** მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს პალესტინურმა ორგანიზაციამ "შავი სექტემბერი" ისრაელის გუნდის ბაზაზე შეაღწია. ორი ათლეტი, ცხრა მძევალი, ხუთი თავდამსხმელი და ერთი პოლიციელი დაიღუპა ტერაქტის შედეგად.

**2** **19 სექტემბერი:** "შავი სექტემბრის" ფოსტით გაგზავნილმა ბომბმა დიდ ბრიტანეთში ისრაელის საელჩოს ატაშე, ამი შეჰორი შეიწირა.

**3** **1976წ. 4 ივლისი:** პალესტინელმა და დასავლეთ გერმანელმა "ბოევიკებმა" გაიტაცეს "ეარ ფრანს"-ის სამგზავრო თვითმფრინავი და უგანდაში გაფრინდნენ. ისრაელის კომანდოსებმა მოახერხეს 98 მძევლის გადარჩენა - დაიღუპა 7 ტერორისტი და 3 მძევალი.

**4** **1980წ. 31 დეკემბერი:** აფეთქებამ ნაირობის ებრაულ სასტუმროში 15 ადამიანი იმსხვერპლა.

**5** **1982წ. 3 ივნისი:** დაცხრილეს ისრაელის ელჩი ლონდონში - ტერაქტი, სავარაუდოდ, აბუ ნიდალის პალესტინური ფათაჰის დაჯგუფებამ ჩაიდინა.

**6** **1985წ. 27 დეკემბერი:** ფათაჰის მებრძოლებმა 19 ადამიანი დახოცეს "ელ ალ"-ის ავიაკომპანიის სალაროებთან ვენისა და რომის აეროპორტებში.

**7** **1986წ. 6 სექტემბერი:** შეიარაღებულმა არაბებმა 22 მორწმუნე მოკლეს სტამბოლის სინაგოგაში - სავარაუდოდ, აბუ ნიდალის დაჯგუფება მოქმედებდა.

**8** **1992წ. 7 მარტი:** საკუთარ მანქანაში ააფეთქეს ანკარაში მდებარე ისრაელის საელჩოს დაცვის უფროსი. პასუხისმგებლობა ისლამურმა ჯიჰადმა იკისრა.

**9** **17 მარტი:** ბუენოს აირესში ისრაელის საელჩოსთან აფეთქებულმა მანქანამ 29 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პასუხისმგებლობა ისლამურმა ჯიჰადმა იკისრა.

**10** **1994წ. 18 ივლისი:** სულ მცირე 96 ადამიანი დაიღუპა ბუენოს აირესში ებრაულ სათვისტომოს ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად.

**11** **27-28 ივლისი:** ლონდონში, ისრაელის საელჩოსა და ებრაულ საქველმოქმედო ფონდების შენობებთან აფეთქებულმა მანქანებმა 19 ადამიანის დაშავება გამოიწვია.

**12** **2002წ. 11 აპრილი:** ტუნისის კუნძულ ჯერბაზე, უძველეს ელ-ღრიბას სინაგოგასთან დანაღმული სატვირთოს აფეთქებამ 14 გერმანელი, 5 ტუნისელი და ერთი ფრანგი შეიწირა.

**13** **4 ივლისი:** ეგვიპტელმა ორი ადამიანი მოკლა ავიაკომპანია "ელ ალ"-ის სალაროსთან ლოს-ანჯელესის აეროპორტში.

**14** **28 ნოემბერი:** 15 ადამიანი დაიღუპა კენიის ქალაქ მომბასას ებრაელ ტურისტთა პოპულარულ სასტუმროსთან დანაღმული მანქანის აფეთქებისას. იგივე ქალაქის აეროპორტიდან აფრენისას ისრაელის ავიალაინერს ორი რაკეტა ესროლეს.

**15** **2003წ. 15 ნოემბერი:** სტამბოლის სინაგოგებთან ორი დანაღმული მანქანა აფეთქდა. დაიღუპა 25 ადამიანი.

**16** **2004წ. 30 ივლისი:** თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქების შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა ტაშკენტში, ისრაელის საელჩოსთან.

© GRAPHIC NEWS

# გერმანიაში უმუშევრობა იზრდება

თორნიკე შარაშენიძე

სექტემბრის თვეში უმუშევართა რაოდენობა გერმანიაში 27 ათასით გაიზარდა. შედეგად, დღეს ევროპის უდიდეს ქვეყანაში დაუსაქმებელთა რიცხვი 4,4 მილიონს აღწევს.

ეს იმის ნიშანია, რომ გერმანიის (ისევე, როგორც მთელი ევროზონის) ეკონომიკა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფება. სექტემბრის ზრდა მოულოდნელობად იქცა ეკონომისტთათვის, რომლებიც უმუშევართა მაჩვენებლის მხოლოდ 10 ათასიან აწევას ვარაუდობდნენ.

ეს მონაცემები მით უფრო შემაშფოთებელია, რომ სექტემბერში, როცა არდადეგები მთავრდება, უმუშევართა რიცხვი, როგორც წესი, კლებულობს, რადგან კომპანიები ახალ-ახალ თანამშრომლებს იყვანენ ხოლმე. მაგრამ ჩანს, გერმანულ კორპორაციებს არა აქვთ იმედი, რომ ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები მოგვარდა და ახალ თანამშრომელთა აყვანის დროც დადგა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს გერმანიის ეკონომიკური ზრდის ტემპმა აიწია, აქაურ კორპორაციებს ეს დიდ იმედებს არ უსახავს. ეს არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ გერმანიაში სამუშაო საათების გაზრდა იგეგმება და ამის გამო ყველა ფირმას სერიოზული პრობლემები შეექმნა პროფკავშირებთან.

არადა, აშკარაა, რომ სამუშაო საათების გაზრდა აუცილებელია, რადგან სულ უფრო და უფრო იზრდება სოციალური დანახარჯები - გერმანელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იზრდება და მოქალაქეებიც დიდი ხნის განმავლობაში იღებენ პენსიას. გარდა ამისა, შრიოდერის მემარცხენე მთავრობამ ერთობ გაზარდა უმუშევართა კომპენსაცია, ხოლო თუკი გავიხსენებთ, რა დონეზე დგას უმუშევრობა გერმანიაში, გასაგები ხდება, ქვეყანას დაუსაქმებელთა შენახვა რაც უჯდება. მოკლედ, ასეთ ვითარებაში თანამშრომელთა აყვანაზე ძნელად თუ იფიქრებს ვინმე.

უმუშევართა წილი გერმანიაში უკვე 10,7 პროცენტს შეადგენს, რაც რეკორდული მაჩვენებელია. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც ევროზონის სხვა ქვეყნებს აქვთ საქმე უკეთ. მთელ ზონაში უმუშევრები საშუალოდ 9 პროცენტს შეადგენენ. ევროზონის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ხომ გერმანიაა და თუკი იგი კრიზისში იმყოფება, მაშინ მთელ ძველ კონტინენტს პრობლემები აქვს.

წელს გერმანიამ, როგორც იქნა, თავი დააღწია რეცესიას და სპეციალისტები ოპტიმიზმით შეხვდნენ მეორე კვარტალში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,5 პროცენტიან (?!) ზრდას. ცხადია, ეს დიდი მიღწევა ვერაა, მაგრამ გერმანიას ევროს ამოქმედების შემდეგ ასეთი მონაცემებიც კი სანატრელი გაუხდა. ერთიანმა ვალუტამ ერთობ გააძვირა პროდუქცია და მომსახურება მთელ ევროპაში. გარდა ამისა, ევროს ბოლოდროინდელი გამყარება ძველი კონტინენტიდან ექსპორტსაც აფერხებს, ხოლო ევრობანკის მონეტარულმა პოლიტიკამ (რომელიც მთელ ევროზონაზე ვრცელდება) გერმანიას ყველაზე ცუდ დროს მოუსწრო. ევრობანკი ევროს სიმტკიცეზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე განაკვეთების დაწევის გზით ეკონომიკისათვის სტიმულის მიცემაზე, რაც გერმანიას ასე სჭირდებოდა და სჭირდება. პრობლემებს ქმნიდა ე.წ. "სტაბილურობისა და ზრდის პაქტი," რომლის მიხედვითაც, ევროზონის ქვეყნების საბიუჯეტო დეფიციტზე ზედა ზღვარი ჰქონდათ დაწესებული (არადა, გერმანიის ეკონომიკას სწორედ ახლა სჭირდებოდა ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე დამატებითი სტიმული). ახლა პაქტის პირობები გადაიხედა და შედარებით შერბილდა, მაგრამ, ჯერჯერობით, შედეგი არ ჩანს.

# შეუძლია თუ არა პრეზიდენტობა შვარცენეგერს?

*არნოლდ შვარცენეგერის სახელი რამდენჯერმე გაისმა, როდესაც აშშ-ს სენატში იხილავდნენ კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლში წარმოდგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი აუცილებლად ამერიკაში უნდა იყოს დაბადებული.*



*კონსტიტუციაში შესწორების შეტანის შემთხვევაში შვარცენეგერს პრეზიდენტად გახდომის შანსი ეძლევა.*

ზოგიერთი კონგრესმენის აზრით, ამერიკის მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან დაბადებული, ასევე უნდა შეეძლოთ პრეზიდენტობის პოსტზე თავიანთი კანდიდატურის დაყენება. ამის შესახებ მათ სენატის კომისიას სამშაბათს აცნობეს. თუმცაღა, ზოგიერთი მათი წინადადების გათვალისწინებითაც კი, კალიფორნიის გუბერნატორი ამ თანამდებობაზე საკუთარ კანდიდატურას მაინც ვერ დააყენებდა.

სენატის იურიდიული კომიტეტი თითქმის ორი საათის მანძილზე ატარებდა პირველ მოსმენას 1870 წლის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა აშშ-ს კონსტიტუციის მეორე მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას, რომ აშშ-ს პრეზიდენტი აუცილებლად ამერიკაში უნდა იყოს დაბადებული.

"ეს ანაქრონიზმია და კატეგორიულად არა-ამერიკულია!" - განაცხადა იუტას სენატორმა ორინ ჰეჩმა, რომელიც ამ შესწორების ინიციატორი გახლავთ. მისი მოთხოვნის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც 20 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა, შეუძლია საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს. არნოლდ შვარცენეგერმა კი მოქალაქეობა 1983 წელს მიიღო.

მოსმენაზე ცხრა მოწმის, მათ შორის, კონგრესის ექვსი წევრისა და სამი აკადემიკოსის ჩვენებები მოისმინეს. ყველა მათგანი მხარს უჭერდა იმას, რომ მოქალაქეებს, რომლებიც აშშ-ს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ. კონსტიტუციაში შესწორების შეტანის ოთხი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი.

მოსმენაზე ასევე მკაფიოდ გაისმა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შესწორება აუცილებლად დაეხმარება შვარცენეგერს, თუ ის ოდესმე საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანდიდატურას დააყენებს.

ერთ-ერთმა გამომსვლელმა, სენატორმა დონ ნიკოლსმა შესთავაზა არა შესწორების, არამედ კანონის მიღება, რომლის თანახმადაც, საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვები, რომლებსაც ამერიკის მოქალაქეები იშვილებენ, ავტომატურად აშშ-ში დაბადებულ ამერიკელებად უნდა ჩაითვალონ. შვარცენეგერი ამ სახის კანონის მოქმედების ფარგლებში ვერანაირად ვერ ხვდება.

მეორე გამომსვლელი, ამერიკულ კვლევათა ცენტრის წარმომადგენელი მეთიუ სპალდინგი გამოვიდა წინადადებით, რომ ადამიანები, რომლებიც შვარცენეგერის მსგავსად (ამ შემთხვევაში, აშშ-სა და ავსტრიის) ორმაგ მოქალაქეობას ფლობენ, პრეზიდენტობაზე თავიანთი კანდიდატურის წამოყენების უფლება არ უნდა ჰქონდეთ.

ზოგიერთი გამომსვლელი მოითხოვდა მოქალაქეობის 35 წლიან ვადას, რის შემთხვევაშიც შვარცენეგერს კანდიდატად გახდომა მხოლოდ 2020 წელს შეეძლება, ანუ როდესაც მას 73 წელი შეუსრულდება.

სენატის კომისიის მოსმენის დროს კალიფორნიის გუბერნატორის სახელი პირდაპირ მხოლოდ ორჯერ გაისმა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ღონისძიებას მაინც კალიფორნიული ელფერი დაჰკრავდა.

მოსმენაზე მაყურებელთა შორის იმყოფებოდა ლიზა მორგენტალერ-ჯონსი, რომელიც შვარცენეგერის საარჩევნო კამპანიისა და მისი პოლიტიკური ინიციატივების დაფინანსებით არის დაკავებული. მან შექმნა ვებ-საიტი www.amendforarnold.com, რომლის მიზანიც კონსტიტუციაში შესწორების შეტანაზე მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება. ყოველივე ეს კი არნოლდ შვარცენეგერის გაპრეზიდენტებას შეუწყობს ხელს. "საქმე ის არის, რომ არავინ დაიწყებდა ამ საკითხის განხილვას, რომ არა არნოლდი," - განაცხადა მან.

# აჯანყებულთა დემობილიზაცია - გზა კოლუმბიური მშვიდობისაკენ

კოლუმბიელმა აჯანყებულებმა წლის ბოლოსთვის 3000 ბოევიკის დემობილიზაციის პირობა დადეს კეთილი ნების დემონსტრირების მიზნით, რაც ხელისუფლებასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენაა მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მიესალმება "კოლუმბიის თავდაცვის გაერთიანებული ძალების" გადაწყვეტილებას, ნაკლებად სარწმუნოა, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა შეძლონ მუდმივი სამშვიდობო გადაწყვეტილების მიღება. "კოლუმბიის თავდაცვის გაერთიანებული ძალების" წარმომადგენლების განცხადებით, 20 000 ბოევიკიდან 3 000 წლის ბოლოსთვის განიარაღებული იქნება. ეს ნაბიჯი კი მინავლული სამშვიდობო პროცესის ხელმეორედ გააქტიურებისკენაა მიმართული. თუმცა, საეჭვოა, რომ დემობილიზაციის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ სერიოზული გავლენა იქონიოს კოლუმბიაში არსებულ ვითარებაზე. საქმე ის არის, რომ "კოლუმბიის თავდაცვის გაერთიანებული ძალების" წევრების უმრავლესობაზე აშშ-ს ხელისუფლებას ძებნა აქვს გამოცხადებული ნარკოკონტრაბანდასა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალდების გამო.

აჯანყებულები კი მოითხოვენ, ხელისუფლებამ სრული ამნისტია გამოაცხადოს და დაიცვას ისინი აშშ-ს ხელისუფლებისთვის გადაცემისაგან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ რამდენიმე დღის წინ კარიბის ზღვის აუზში დაკავებულ იქნა დაახლოებით ერთი ტონა კოკაინი, რომელმაც აჯანყებულების კვალთან მიიყვანა ძიება, საეჭვოა, რომ 3000 ბოევიკის დემობილიზაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ხელისუფლების კეთილგანწყობამ კოლუმბიაში დიდი ხნის განმავლობაში მშვიდობის დამყარებას შეუწყოს ხელი.

*ბი-ბი-სი*

## ორი სიტყვით

**ჩრდილოეთი კორეა.** ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორის მუჰამედ ელ ბარადეის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეას შეუძლია 4-5 ცალი ბირთვული საბრძოლო მასალის წარმოება. ამ რაოდენობის ბირთვული მასალის წარმოება შესაძლებელია პლუტონიუმისაგან, რომელიც მიიღება ჩრდილოეთ კორეაში არსებული გადამუშავებული ნავთობნედლეულისაგან. თუმცა, ჯერჯერობით ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას, აღნიშნული ნედლეულისაგან მიღებულია თუ არა უკვე პლუტონიუმი. ჩრდილოეთი კორეა კი ადრე აცხადებდა, რომ მას უკვე შექმნილი აქვს ბირთვული იარაღი ამ გზით მიღებული პლუტონიუმისაგან. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**საფრანგეთი.** პარიზში, ინდონეზიის საელჩოში გუშინ დილის 05:00 წუთზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 10 ადამიანი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დომინიკ დე ვილპენის განცხადებით, მცირე მოცულობის ასაფეთქებელი მოწყობილობა შენობის ჰოლში იქნა დატოვებული. ინდონეზიის საელჩო პარიზის პრესტიჟულ მე-16 რაიონშია განთავსებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულია საელჩოს ოთხი თანამშრომელი. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დგას აფეთქებების უკან. დომინიკ დე ვილპენმა აღნიშნული ფაქტი "კრიმინალურ აქტად" შეაფასა და განაცხადა: "აფეთქებამდე ხელისუფლებას არავინ დამუქრებია, თუმცა ამიერიდან სახელმწიფო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი საელჩოების დაცვა გაძლიერდება". ინდონეზიის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. "იმედი მაქვს, საფრანგეთის ხელისუფლება აუცილებელ ზომებს მიიღებს დამნაშავის აღმოჩენისთვის," - განაცხადა იუდჰოიონომ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საფრანგეთის, ასევე ინდონეზის ხელისუფლებაც ერაყში სამხედრო კამპანიის თავგამოდებული კრიტიკოსები იყვნენ. **24 საათი**

# ჩვენ ვკრძალავთ ნაღმებს!



"ჩვენ ვკრძალავთ ნაღმებს"! - ეს არის ცივილიზებული მსოფლიოს ხმა. 140-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა ოტავის ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავს ნაღმების შენახვასა და გამოყენებას; მაგრამ, სწორედ ამ ცივილიზებულ ქვეყნებში ამზადებენ იმ ნაღმებს, რომლებზეც ესოდენ სტაბილურად ფეთქდებიან სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

ზაზა ფაჩუაშვილი

ცივილიზებული სამყარო კიდევ ერთ კარგ საქმეს აკეთებს - ნაღმზე აფეთქებული და დასახიჩრებული ადამიანებისთვის ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამას ახორციელებს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ეს პროგრამა, მსოფლიოში 25 წლის წინათ დაიწყო. მადლობის მეტი რა გვეთქმის რიგით მოკვდავებს? - მით უმეტეს, რომ 10 წლის წინათ ამ პროგრამას საფუძველი საქართველოშიც ჩაეყარა. ჰოდა, გუშინ "საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდის" ტერიტორიაზე საზეიმოდ აღინიშნა ორივე თარიღი. საზეიმო განწყობილება შექმნა მაღალი სტუმრების ვიზიტმა და იმ ფაქტმა, რომ საქართველოში მცხოვრებ დასახიჩრებულებს კიდურების შემცვლელი ძვირადღირებული მექანიზმები უფასოდ ურიგდებათ (ყველაფერი ფონდში მზადდება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაფინანსებით). თორემ ისე საზეიმო რა უნდა იყოს, საქართველოში პროთეზი 5000-მდე ადამიანს სჭირდება (მათგან 30 პროცენტი ნაღმზეა აფეთქებული). ამჯერად რიგში 300 ადამიანი დგას. მათ რამდენიმე თვე მოუწევთ ლოდინი. თუმცა, ეს გულხელდაკრეფილ ლოდინს არ ნიშნავს. საჭიროა ფონდში სიარული, რათა მოხდეს პროთეზის ზომების აღება, მორგება, ვარჯიში, შეჩვევა.

ამ 300 ადამიანს კიდევ არა უშავს, მაგრამ მიიღებს თუ არა ხუთიათასმეათასე ადამიანი სანატრელ პროთეზს, ჯერჯერობით, არავინ იცის. 2005 წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საქართველოში რეაბილიტაციის პროგრამას წყვეტს. ჩვენ ახალი პარტნიორების მოძებნა დაგვჭირდება.

# ვინ ლობირებს რუსულ და უკრაინულ სისხლის პრეპარატებს

*სანდოა თუ არა რუსული და უკრაინული წარმოების სისხლის პროდუქტებზე დამზადებული პრეპარატები და უნდა გაუგრძელდეს თუ არა მათ საქართველოში საიმპორტო ლიცენზია - ეს საკითხი ბოლო პერიოდში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხილვის საგანი გახდა. ამ მიზნით უკვე ორი შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებათა და ტრანსფუზიოლოგიური სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ლიცენზიის გაგრძელების საკითხის ინიციატორი სამინისტროს ფარმაციის პოლიტიკის დეპარტამენტი, ფარმაკოპეა და ფარმაკოლოგიური კომიტეტი გახლდათ.*

ეკატერინე ბახუტაშვილი

რუსული და უკრაინული წარმოების სისხლის პრეპარატებისთვის ლიცენზიის გაცემაზე უარის შესაჩერებლად შეხვედრების მონაწილეებს დასაბუთებული მიზეზი უნდა ეთქვათ. მათი უმეტესობისთვის სამინისტრომ უარყოფითი დასკვნები მიიღო. ისინი რუსული და უკრაინული პრეპარატების უსაფრთხოების ხარისხს ეჭვქვეშ აყენებენ, რადგან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არ არიან დამზადებული. ამ ქვეყნებში კი ბოლო წლებში შიდსისა და ჰეპატიტების მკვეთრი მატებაა. შეხვედრების მონაწილე მხარეები თვლიან, რომ თუკი სისხლის პროდუქტებზე დამზადებული პრეპარატების შემოტანა აუცილებელია, იმპორტი დასავლეთის ქვეყნებიდან უნდა განხორციელდეს, რაც უფრო სანდოა და ეფექტური.

სამინისტროს მხრიდან საკითხის ინიციატივის გამოჩენა, თავისთავად, ყურადღებას იმსახურებს. დავინტერესდით, თუ რამ განაპირობა დღის წესრიგში ამ საკითხის დაყენება. სამედიცინო საზოგადოების ნაწილმა ეს ფაქტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან რუსული და უკრაინული პრეპარატების უსაფრთხოების ხარისხის გამო პრეპარატებისთვის ლიცენზირების საკითხის გამკაცრებად მიიჩნია, რასაც მიესალმება; ნაწილმა კი - იმ ფირმების გააქტიურების მიზეზად, რომლებიც ზემოთ აღნიშნული ქვეყნებიდან სისხლის პლაზმაზე დამზადებულ პროდუქტებს შემოიტანენ და ლობირებენ და მომავალში სურთ ის სამართლიანად გააგრძელონ.

გავარკვიეთ, რომ ლიცენზირების საკითხის განხილვა მაშინ მოხდა, როცა ერთი ახალი უკრაინული პრეპარატის დარეგისტრირების სურვილი გამოითქვა. სამკურნალო საშუალება "პლაზმული" რეგისტრაციის პროცესშია. ეს არის პლაზმის ამპულები. მისი დოკუმენტების დოსიეში პროდუქციის ხარისხის უსაფრთხოების საერთაშორისო სერტიფიკატი არ დევს და, ამ მხრივ, სხვა პრობლემებიც აქვს. თუ რუსული და უკრაინული პრეპარატების საიმპორტო ლიცენზიის საკითხი დადებითად გადაწყდება, თავისთავად ცხადია, საქართველოში ეს პრეპარატიც დარეგისტრირდება.

რუსული და უკრაინული წარმოების სისხლის პრეპარატებს საიმპორტო ლიცენზია ზოგს წლის ბოლომდე უმთავრდება, ზოგს კიდევ - მომავალი წლის დასაწყისში. მათ რეგისტრაცია 2001 წელს გაიარეს. კანონით, მისი განახლება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელაა აუცილებელი.

ფარმაციის პოლიტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სულ ქვეყანაში სისხლის პროდუქტებზე დამზადებული 33-მდე პრეპარატია დარეგისტრირებული. მათი უმეტესობა ევროპის და ამერიკის ქვეყნების წარმოებისაა. ეს სახელმწიფოები მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტით მუშაობენ და მათ პროდუქციას დამადასტურებელი დოკუმენტიც აქვთ. რატომ არ გააჩნია ანალოგიური სერტიფიკატი რუსული და უკრაინული წარმოების პრეპარატებს, ამაში გასარკვევად იტალიური ბიოფარმაცევტული ფირმა "კედრიონის" წარმომადგენელი გიორგი სიბაშვილი დაგვეხმარა. იგი დაინტერესებული იყო ქვეყანაში კონტრაბანდული გზით შემოსული სისხლის პლაზმაზე დამზადებული პრეპარატების გამოვლენით და, საერთოდ, საქართველოში ტრანსფუზიოლოგიური სამსახურის მუშაობის მოწესრიგებით. ამ მიზნით, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ მან თბილისის წამლის ბაზრებზე არსებული უცხოეთიდან შემოტანილი ალბუმინის და სხვა სისხლის პროდუქტების კვლევა განახორციელა. მიღებული შედეგების ანალიზი ჯანდაცვის სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას აცნობა და სიტუაციის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციებიც შესთავაზა, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ მეთოდებს ეყრდნობოდა. მაშინდელი ხელმძღვანელობამ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით გარკვეული დაინტერესება გამოხატა, მაგრამ რეალური დღევანდელ ცოცხალი რამ თუ გაკეთდა.

გიორგი სიბაშვილი:

"საქართველოში სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციის წესის მიხედვით, მწარმოებლებმა პრეპარატის დასარეგისტრირებლად წარმოების საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ. მას მწარმოებელი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო გასცემს. თუ სახელმწიფოში, ოფიციალურად, საერთაშორისო სტანდარტი მიღებული არ არის, შესაბამისად, იგი ასეთ დოკუმენტებს ვერ გასცემს. მისი წარმოდგენა კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან არც ერთს არ შეუძლია, რადგან საერთაშორისო სტანდარტი, პრაქტიკულად, არც ერთ მათგანში დამტკიცებული არ არის. შესაძლებელია, უკრაინული და რუსული ფარმაცევტული წარმოება, მართალია, მაღალი დონის იყოს, მაგრამ მწარმოებელს ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი არ ექნება. მაგალითად, რუსეთმა განაცხადა, რომ ეს სტანდარტი შეიძლება 2010 წლისთვის დამტკიცდეს. ასე რომ, დღემდე არსებული მათი პრეპარატები არის თუ არა საერთაშორისო სტანდარტის, ვერავინ დაამტკიცებს. რაც შეეხება სისხლით დამზადებულ პრეპარატებს, აქ საქმე სხვაგვარადაა. არა მარტო საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი დოკუმენტია საჭირო, არამედ ამ პრეპარატების უსაფრთხოების, ასევე, ალერგიული სტანდარტიც; კერძოდ - შედეგიანტი უნდა შეიცავდეს წარმოების პროცესში ვირუსების გაუვნებელყოფის პროცედურას და სხვა მოთხოვნებს. მაგალითად, რუსული პრეპარატის "ალბუმინის" ბოთლი ნახის დატანებული გადის, ევროპული სტანდარტით დამზადებულ პრეპარატებს, - 14 სახის ტესტირება; კერძოდ, ინფექციებზე, ცილებზე, მარილების შემცველობაზე და სხვა კუთხით. სარეგისტრაციო პროდუქციის თანმხლები ხარისხის სერტიფიკატის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში უკვე ჩანს, ის რა დონის პროდუქციაა".

აღსანიშნავია, რომ სისხლის პლაზმაზე რამდენიმე სახის პრეპარატი მზადდება, რომელთა უმეტესობის ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირება შეუძლებელია. ასეთ პრეპარატებს ტრანსფუზიოლოგიური სამსახურები ადგილზევე ამზადებენ. ასე რომ, ქვეყანაში პლაზმაზე დამზადებული, ძირითადად, ანტიჰემოფილიური ფაქტორები, ინტრავენური იმუნოგლობულინი და ალბუმინი შემოდის. პირველი ორი საქართველოში უცხოურ ფირმებს შემოაქვთ. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ ალბუმინით დავინტერესდით. რამდენად უსაფრთხო და ეფექტურია რუსული და უკრაინული წარმოების ეს პრეპარატი, ამის გარკვევას იმ სამედიცინო დაწესებულებებში შევეცადეთ, რომლებიც მათ ყოველდღიურად ყველაზე მეტი რაოდენობით გამოიყენებენ. ალბუმინი პაციენტის შოკიდან გამოსაყვანად, ინტოქსიკაციის და ინფექციური დაავადებების მკურნალობის დროს იხმარება. ამიტომ, ინფექციურ საავადმყოფოს, სეფსისის, დამწვრობის ცენტრებს, რესპუბლიკური საავადმყოფოსა და ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქირურგიულ და სარეანიმაციო განყოფილებებს ვეწვიეთ. ამ დაწესებულებებში რუსული და უკრაინული ალბუმინით პაციენტთა ინფიცირების შემთხვევები არ ყოფილა. მაგრამ, დავრწმუნდით, რომ პლაზმის პროდუქტების დამზადების დროს სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესს მაინც აქვს მნიშვნელობა. თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის სისხლის გადასხმის კაბინეტის ხელმძღვანელმა ვიოლა აზარაშვილმა საუბრისას ასეთი რამ განაცხადა:

"ჩვენთან ალბუმინს ძალიან დიდი რაოდენობით იყენებენ, რადგან დამწვრობისას ცილა იხარჯება. ერთ ავადმყოფს, საშუალოდ, დღეში 200-400 მილილიტრი ალბუმინი სჭირდება. ამჟამად იგი ქალაქის სისხლის გადასხმის სადგურიდან და სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრიდან შემოგვაქვს. საამისოდ ხელშეკრულებაა გაფორმებული. 100 მლლ ალბუმინი 45 ლარი ღირს. კარგად დაწმენდილია და ცილის პროცენტული შემცველობაც ემთხვევა. ასე რომ, ჩვენთან უცხოური წარმოების, რუსული ან უკრაინული ალბუმინები მხოლოდ პაციენტებს მოაქვთ. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ უკრაინული წარმოების პრეპარატის გადასხმის დროს ძალიან ხშირია რეაქციები. ამ დროს პაციენტს ტემპერატურის მატება, კანკალი, შემცივნება, სილურჯე აღენიშნება. როგორც კი ასეთ რეაქციას შენიშნავენ, ავადმყოფს პრეპარატის გადასხმას უჩერებენ. ჩანს, რომ ალბუმინის დამზადებისას ყველა ტექნოლოგიური პირობა დაცული არ არის. სხვა მხრივ, არც უკრაინული და არც რუსული წარმოების ალბუმინით გარდაცვალების ან რაიმე საშიში ინფექციებით დასნებოვანების ფაქტი არ დაფიქსირებულა. საერთოდ, ავადმყოფები უცხოური წარმოების ამ პრეპარატით უფრო კმაყოფილი არიან, მაგრამ იგი, რუსულთან და უკრაინულთან შედარებით, 2-3-ჯერ ძვირია. ყველას კი არ აქვს შესაძლებლობა ასეთი პრეპარატი იყიდოს".

ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობა მედიკამენტის შეძენისას მის ფასს უფრო უყურებს, ვიდრე მის ხარისხს. ამიტომ, უფრო მეტად იყიდება ის, რომლის ღირებულებაც და მოქმედების ეფექტიც დამაკმაყოფილებელია. სწორედ ამ მიზეზის გამო, სახელმწიფომაც ჰეპატიტებით ინფიცირებულთა მკურნალობისთვის უპირატესობა რუსულ ალბუმინს მიანიჭა. უკრაინული ალბუმინი პაციენტებში რიაქციებს რომ იძლეოდა, ეს ჩვენთან საუბრისას ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა შოთა გოგიჩაიშვილმაც დაადასტურა. ექიმებთან შეთანხმებით, იგი ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამიდან ამოიღეს და რუსული ალბუმინით შეცვალეს. მისივე თქმით, საშუალოდ, წელიწადში 300 ფლაკონი სჭირდებათ. სხვათა შორის, 100 მლლ-იანი 10-პროცენტიანი უკრაინული ალბუმინი, დაახლოებით, 45 ლარი ღირს, რუსული - 65-80 ლარი, იმავე მოცულობის 20-პროცენტიანი უცხოური კი - 150 ლარზე მეტი.

ამიტომ, საერთაშორისო სერტიფიკატის არმქონე პრეპარატებისთვის ლიცენზიის შეჩერება დასავლეთის ქვეყნების პრეპარატების იმპორტიორებისთვის უფრო ხელსაყრელია. მაგრამ, რამდენად სურს ამის განხორციელება ჯანდაცვის სამინისტროს? საერთოდ, გაუგებარია, რისთვის მოეწყო სამინისტროში ეს აურზაური? რუსული და უკრაინული ალბუმინი დაბალყიდვითუნარიან მოსახლეობაზეა გათვლილი. ასეთი კი საზოგადოების უმეტესობაა. გავარკვიეთ, რომ ეს ალბუმინები ქვეყანაში არაერთ ფარმაცევტულ ფირმას შემოაქვს, შესაბამისად, ლობიც დიდია. სამინისტროს მათ წინააღმდეგ წასვლა ნამდვილად გაუჭირდება და არც დააპირებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ ჩნდება კითხვა: რატომ დარეგისტრირდა საქართველოში ისეთი პრეპარატები, რომელთაც ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი არ გააჩნიათ. მათთვის ლიცენზიის გაგრძელების საკითხის განხილვა მით უფრო არ უნდა წამოჭრილიყო. ქვეყანაში სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციის უმთავრესი მოთხოვნა ადრეც ის იყო, რაც დღეს არის. ეს წესი 1997 წელს შეიქმნა. პრეპარატის ხარისხის უსაფრთხოებაზე ევროკავშირის სტანდარტებიც მასზე უფრო ადრე არსებობდა. ასე რომ, უკრაინული და რუსული პრეპარატები რეგისტრაციაში 2001 წელსაც კანონდარღვევით გაატარეს.

საქართველოში მედიკამენტის სარეგისტრაციო სერტიფიკატი ოთხი უწყების -ფარმაციის პოლიტიკის დეპარტამენტის, ფარმაკოპეას, ფარმაკოლოგიური კომიტეტის და წამლის სარეგისტრაციო ექსპერტიზის საფუძველზე გაიცემა. მწარმოებელს წამლის შემოტანა მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია. ასე რომ, ამ უწყებებს შეეძლოთ, თვითონვე გადაეწყვიტათ რუსული და უკრაინული წარმოების პრეპარატებისთვის ლიცენზიის საკითხი, ისე, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ. ჩნდება ეჭვი, რომ ეს თათბირები უფრო თვალის ასახვევად გაკეთდა. რუსული და უკრაინული წარმოების სისხლის პრეპარატების მოხმარებას მოსახლეობაში შემდეგ რაიმე ცუდი რომ გამოეწვია, პასუხს, ალბათ, იმათ მოსთხოვდნენ, რომლებმაც ლიცენზიის გაგრძელებაზე დადებითი დასკვნები წარმოადგინეს.

პრეპარატების ლიცენზირებასთან დაკავშირებით ფარმაციის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს თინა ტურძილაძეს სხვაგვარი შეფასება აქვს.

- არაფერი განსაკუთრებული ამ კუთხით სამინისტროში არ ხდება. ჩვენთან რეგისტრირებულ სამკურნალო საშუალებებს რევიზიას ვუკეთებთ, მათ შორის - სისხლის პროდუქტებზე დამზადებულ პრეპარატებსაც. გვინდა, ევროსაბჭოს მიერ მიღებული სტანდარტები გავითვალისწინოთ. სამინისტრო სისხლის პრეპარატებთან დაკავშირებით უსაფრთხოების სტანდარტის მოთხოვნებს ზრდის.

**- გინდათ, თქვათ, რომ აქამდე აღნიშნული პრეპარატები ამ სახით არ რეგისტრირდებოდა?**

- ვერ გეტყვით, რომ არ ხდებოდა. ალბათ, ხდებოდა. მანამდე, უშუალოდ, რეგისტრაციით დაკავებული არ ვყოფილვარ. მას შემდეგ, რაც მე დამევალა ამ ფუნქციის შესრულება, ყველაზე მაღალი რისკის პრეპარატების დოკუმენტების გაცნობა მოვითხოვე; მით უფრო, რომ არსებობს ასეთი დირექტივები და მოვინდომეთ მათ შესაბამისობაში მოყვანა. რეგისტრირებულ რუსულ და უკრაინულ პრეპარატებს ლიცენზიისთვის ჩვენ საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელ დოკუმენტს მოვთხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ჩვენ მათ აღარ დავარეგისტრირებთ. რაც შეეხება ახალ პრეპარატს -"პლაზმულს", რომელიც რეგისტრაციის პროცესშია, მწარმოებელმა თუ ხარისხის უსაფრთხოების სერტიფიკატი არ წარმოადგინა, ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ მასზეც მივიღებთ იგივე გადაწყვეტილებას. "პლაზმულის" დოკუმენტების პაკეტში, პრეპარატის ხარისხის უსაფრთხოების სერტიფიკატის გარდა, სხვა პრობლემებიც არის.

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ მწარმოებელისთვის უარის სათქმელად წინასწარი ექსპერტიზის ჩატარებაც საკმარისი იქნებოდა. ვფიქრობთ, პრეპარატების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რეგისტრაციის მოთხოვნების გამკაცრება აზრადაც არავის მოსვლია. ყველაფერი იმაზე იყო გათვლილი, შეძლებდნენ თუ არა სპეციალისტები ლიცენზირებაზე დასაბუთებული უარის წარმოდგენას. სამინისტრომ ერთ-ერთი ასეთი უარყოფითი დასკვნა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის გენადი იოსავასგან მიიღო.

გენადი იოსავა: "მე სამინისტროს წამლის რეგისტრაციაზე ევროკავშირის სტანდარტი წარვუდგინე. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, საქართველოში სისხლის პლაზმის ისეთი პროდუქტების შემოტანისა, რომელთაც საერთაშორისო სერტიფიკატი არ გააჩნიათ. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციაა. შეუმოწმებელი სისხლის პრეპარატების მათგან შემოტანა ძალიან დიდი რისკი იქნება და ჩვენ ამას ჩვენ თავზე ვერ ავიღებთ. საბოლოო პროდუქტის შემოწმება ძალიან რთულია და თანაც არასაიმედო. რამდენს შეამოწმებ? შეიძლება სერიებით შეამოწმო, მაგრამ ერთი სერია ან ფლაკონი გამოგეპაროს. ამიტომ, ჯობს, პრეპარატი დამზადების ადგილზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოწმდეს და მის სამედოობაზე სერტიფიკატი იქიდან მოვიდეს. ეს, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნებს ეხებათ. ვფიქრობ, ამ საქმეს გარკვეული ლობი ჰყავს იმ ფირმების სახით, რომელთაც პრეპარატების შემოტანა უნდათ. ფაქტია, რომ დაინტერესებული პირები არსებობენ. არ ვიცი, გამკაცრდება თუ არა ლიცენზირების საკითხი. შეიძლება შესუსტდეს კიდეც. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, სამინისტრო ჩემს აზრს გაითვალისწინებს, თუ - ამ მედიკამენტების შემომტანი ფირმებისას.

# "ფონდმა" თანამშრომლები დააზღვია

*სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა განვითარებული ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის პრიორიტეტულია. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნის მოქალაქე დაზღვეული არ არის, ეს ნიშნავს, რომ მისი სოციალური მდგომარეობა სავალალოა. დაზღვევის არქონა ცუდ ტონად ითვლება. საქართველოში კი ეს სისტემა ახლა იკიდებს ფეხს. რამდენიმე მსხვილი საწარმო ამ პრინციპზე უკვე გადავიდა.*

ნონა მაისურაძე

ცოტა ხნის წინათ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აღნიშნულ თემაზე საუბარი დაიწყო და 15 სექტემბრიდან სიტყვა საქმედ იქცა - ანუ დაზღვეულთა რიცხვს კიდევ ერთი სამსახური შეემატა.

ვატო სურგულაძე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე: **"დანაპირები შევასრულეთ და ჩვენი თანამშრომლები დავაზღვიეთ. უკვე დროა, ცივილიზებული მეთოდებით ვიხელმძღვანელოთ. სასურველი იქნება, თუ სხვა სამსახურებიც მოგვბაძავენ, რადგან მხოლოდ ამ პრინციპზე გადასვლით შეიძლება ჯანდაცვის სფეროს გადარჩენა. ჩვენი სამსახური, სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითს აძლევს სხვებს, თუ როგორ უნდა იზრუნონ საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის სისტემის სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლაზე".**

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდსა და სადაზღვევო კომპანია "სელბს" შორის გაფორმდა ერთწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ფონდის თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას ითვალისწინებს.

სადაზღვევო კომპანია "სელბი" 2002 წელს ჩამოყალიბდა და, ბოლო მონაცემებით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მე-6-7 ადილი უკავია. სადაზღვევო კომპანია "სელბის" კლასიკბარათი, რომლითაც ფონდის თანამშრომლები დაეზღვევიან, სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს მოიცავს. ფონდისა და კომპანიის ერთობლივი ძალისხმევით, დაზღვეულს 24 საათის განმავლობაში ტელეფონით უფასო სამედიცინო კონსულტაციას გაუწევენ კვალიფიციური ექიმები. უფასო იქნება, აგრეთვე, სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლისას ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის, ზოგადი პრაქტიკის ექიმის როლის განსაზღვრაა. ოჯახის ექიმი იქნება ძირითადი დამაკავშირებელი რგოლი კომპანიასა და დაზღვეულს შორის. ოჯახის ექიმის პრეროგატივაა, აგრეთვე, სატელეფონო კონსულტაციები და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა დაზღვეული პირისთვის.

რაც შეეხება სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას, ანაზღაურდება 100 პროცენტით (წლიური ლიმიტი 5 000 ლარი).

ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება ანაზღაურდება თანაგადახდით. სპეციალისტის კონსულტაციისა და ამბულატორიული დიაგნოსტიკის ხარჯების 70 პროცენტი სადაზღვევო ლიმიტის გარეშე.

დაზღვეულს მედიკამენტების ღირებულების 60 პროცენტს უნაზღაურებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მედიკამენტები ოჯახის ექიმის დანიშნულებაა.

სტომატოლოგიური მომსახურება 100 პროცენტით ანაზღაურდება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში. კერძოდ, ტკივილის გაყუჩებისა და კბილის ექსტრაქციის დროს. გეგმიური მკურნალობის - სტომატოლოგიური თერაპიისა და ქირურგიული მომსახურების შემთხვევაში, ანაზღაურდება ხარჯების 50 პროცენტი წლიური ლიმიტის 200 ლარის ფარგლებში.

დაზღვევაში მშობიარობის ხარჯებიც გაითვალისწინეს. ეს გულისხმობს ერთჯერად ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით.

დაზღვეულის უბედური შემთხვევით გარდაცვალებისას (იგულისხმება გარდაცვალება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ გარდაცვალება არის ამ უბედური შემთხვევის პირდაპირი და უშუალო შედეგი), დაზღვეულის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირს ან კანონიერ მემკვიდრეს გადაეცემა 3 000 ლარი.

აღნიშნული მომსახურება მოიცავს, აგრეთვე, ფულად კომპენსაციას უბედური შემთხვევისას დაზღვეულის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის გამო. მკვეთრად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის გამო, განისაზღვრება 3 000 ლარით და მნიშვნელოვნად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვისას 1 500 ლარით.

დაზღვევის საერთო ლიმიტი ერთი წლის მანძილზე 10 000 ლარია.

თანამშრომლების დაზღვევის ხარჯებს გაიღებს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. დაზღვეულია 333 თანამშრომელი. ერთი თანამშრომლის დასაზღვევი თანხა თვეში 14 ლარს შეადგენს. დაზღვეულს შეუძლია, აგრეთვე, დააზღვიოს ოჯახის წევრები. ასეთ შემთხვევაში დაზღვევა უფრო იაფი ჯდება - ოჯახის წევრზე (მეუღლე) 11 ლარია, ხოლო შვილზე (18 წლამდე ასაკის ბავშვი) - 7 ლარი. ოჯახის წევრების დაზღვევისთვის საჭირო თანხა თანამშრომლის ხელფასიდან ყოველთვიურად დაიქვითება.


**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებს "ოჯახის თანადგომისა და შვილობილობის პროგრამის" სოციალური მუშაკის თანამდებობაზე თბილისისა და თელავის ჯგუფებში სამუშაოდ.**

**თელავში 1 ვაკანსია.**
**თბილისში 1 ვაკანსია.**

სამუშაოს აღწერილობა

მიმდინარე პროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაკი ახორციელებს შემდეგ მიმართულებებს:

- რეინტეგრაცია, პრევენცია, შვილობილობა;
- ოჯახების მოძიება და შერჩევა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობა, მათი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება;
- პოტენციური მიმღები ოჯახების ბანკის შექმნა;
- ბიოლოგიური და მიმღები ოჯახის წევრებთან აქტიური მუშაობა ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით;
- მონიტორინგი ბიოლოგიურ და მიმღებ ოჯახებში განთავსებულ ბავშვებზე;
- ტრენინგების ჩატარება ბიოლოგიური და მიმღები ოჯახებისათვის.

სავალდებულო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება, სასურველია პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი.
- ბავშვებთან ურთიერთობისა და მუშაობის გამოცდილება;
- სოციალურ მუშაკად გადამზადების სერტიფიკატი;
- სამუშაო გამოცდილება, სტაჟი;
- კომპიუტერის ზოგადი ოპერაციების ცოდნა, Microsoft Office.
- უცხო ენების ცოდნა, აუცილებელია რუსული, სასურველია ინგლისური.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს

- მოკლე ავტობიოგრაფია (რეზიუმე);
- სამოტივაციო წერილი;
- დიპლომის ასლი;
- სოციალურ მუშაკად გადამზადების სერტიფიკატის ასლი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

ანაზღაურება 220 ლარი.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 15 ოქტომბერი.

კომისია არაუგვიანეს 21 ოქტომბრისა ამოწმებს განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებთან და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 23 ოქტომბრისა აცნობებს კანდიდატებს. ის კანდიდატები რომლების აკმაყოფილებენ ვაკანტური თანამდებობის დასაკაველად აუცილებელ მოთხოვნებს, გაივლიან გასაუბრებას არაუგვინეს 25-26 ოქტომბრისა. შერჩეული კანდიდატები შეუდგებიან მუშაობას 1 ნოემბრიდან.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველ დღე, შაბათ -კვირის გარდა 14:00-დან 18:00-მდე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N 52, ოთახი N 122. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. ტელეფონი: 95 01 76. საკონტაქტო პირები: ქეთევან კვიტატიანი, თამარ ჟღენტი.**

# მებაჟეები პატიმრობაში დარჩნენ

*ლაგოდეხის საბაჟოს ცვლის უფროსისა და მისი ორი თანამშრომლისთვის თელავის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა.*


ვახო ბესელიას ფოტო

*პრეზიდენტის სიტყვების შემდეგ უკვე დაპატიმრებულ მებაჟეებს, თუნდაც მათ საქმეში სამართალდამცველთა მხრიდან დაშვებული არაერთი დარღვევა იყოს, გათავისუფლებით მაინც არავინ გაათავისუფლებდა.*

საოლქო სასამართლოში დიმიტრი ჯოხაძის, მათე ჯალიაშვილისა და შალვა არჯევანიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების კანონიერების განხილვა სწორედ იმ დროს დაემთხვა, როდესაც მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსს ულირსი თანამშრომლებისგან სტრუქტურის გაწმენდას საკმაოდ მკაცრად სთხოვდა. ქვეყნის პირველი პირისგან მომდინარე მესიჯები, როგორც წესი, ყველას თავისებურად ესმის. ასე რომ, პრეზიდენტის ამ სიტყვების შემდეგ უკვე დაპატიმრებულ მებაჟეებს, თუნდაც მათ საქმეში სამართალდამცველთა მხრიდან დაშვებული არაერთი დარღვევა იყოს, გათავისუფლებით მაინც არავინ გაათავისუფლებდა. არადა, დარღვევები მართლაც უამრავია და მათ შესახებ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული ჯოხაძის ადვოკატი ზურაბ ცინცაძე დეტალურად საუბრობს. მისი თქმით:

**"გამოძიებას არ გააჩნია არავითარი მტკიცებულება, რომლითაც ბრალდებულების დანაშაულს დაამტკიცებდა. მეტსაც გეტყვით, ორ მიკროავტობუსს, რომლებიც ფინანსურმა პოლიციამ ვითომდა განუბაჟებელი ტვირთით დააკავა, საზღვარი საერთოდ არ გადაულახავს. საზღვარი ავტობუსმა გადალახა, რომელში არსებული ტვირთის წესითა და კანონით განბაჟების დამადასტურებელი საბუთებიც არსებობს. მერე ეს ავტობუსი სოფელ კაბალაში ჩამოიტვირთა. რა ტვირთი ჩადეს მიკროავტობუსებში, ეს უკვე აღარავის დაუდგენია. არადა, ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ ავტობუსიდან ჩამოზიდულ ტვირთს სხვა საქონელიც დაემატა. ამასთან, იმის ნაცვლად, რომ გადაუდებელი საჭიროებით გამოწვეული ჩხრეკა სასამართლოში დაეკანონებინათ, ტვირთი დალუქეს და პოლიციის განყოფილებაში შეინახეს. შემდეგ ამ დაუკანონებელი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ტვირთის შესამოწმებლად ჩამოიყვანეს ექსპერტები, რომლებმაც საბაზრო ფასების მიხედვით შეადგინეს ცნობა და საქონლის შემოტანისთვის საბაჟო გადასახადი 5 ათას 100 ლარით განსაზღვრეს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკანონო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები დაუშვებელი მტკიცებულებაა და სასამართლოსთვის უკვე ეს უნდა ყოფილიყო საკმარისი".**

ადვოკატისვე განცხადებით, რომ არა დღევანდელი ტენდენცია - ყველა ბრალდებული პატიმრობაში დატოვონ - მებაჟეების ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაშიც კი, მათ წინასწარი პატიმრობა არც ეკუთვნით, მით უმეტეს - ცვლის უფროსს, რომლის არც ბეჭედი, არც ხელმოწერა არც ერთ დეკლარაციაზე არ ფიგურირებს.

**"ყოველივე ზემოთქმული უნებურად გაფიქრებინებს, რომ ამ ხალხის დაპატიმრება ვილაცის ინტერესებში შედის"**, - ამბობს ადვოკატი, თუმცა, ეჭვების დაკონკრეტებას თავს არიდებს.

სამართალდამცველი სტრუქტურების პოზიცია ცალსახაა. ისინი, როგორც ყოველთვის, მიიჩნევენ, რომ ბრალდებულთა დანაშაული დადასტურებული აქვთ და ეჭვიც არ არის შესატანი იმაში, რომ მებაჟეთა სამეულმა თანამდებობები ბოროტად გამოიყენა და განუბაჟებელი ტვირთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოუშვა.

*24 საათი*

# "თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის დააკავეს

*თბილისის პროკურატურამ "თბილგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა დააკავა. ვახტანგ ცაავა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში "თბილგაზში" არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით დაკითხვაზე გამოიძახეს და რამდენიმე საათიანი საგამოძიებო პროცედურის - ჩვენების ჩაბარების შემდეგ სამართალდამცველებმა ცაავას ეჭვმიტანილის სტატუსი მისცეს და დააკავეს კიდეც.*

"თბილგაზის" გენერალური დირექტორის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე და 182-ე მუხლებით აღიძრა. პროკურატურა მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, სხვისი ქონების მითვისებასა და გაფლანგვაში ადანაშაულებს.

თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის ინფორმაციით, ცაავას, რომელიც ამჟამად ეჭვმიტანილის სტატუსითაა დაკავებული, ბრალს 48 საათის განმავლობაში წაუყენებენ. "თბილგაზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს გამოძიება დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის გაფლანგვაში ედავება. საქმე მისი მუშაობის პერიოდში არსებულ ფინანსურ მაქინაციებს შეეხება. ვახტანგ ცაავა "თბილგაზის" გენერალური დირექტორის პოსტზე დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. "თბილგაზში" აღმოჩენილ კანონდარღვევებზე სისხლის სამართლის საქმე კონტროლის პალატის შემოწმების მასალების საფუძველზე აღიძრა.

თბილისის პროკურორი არ გამორიცხავს, რომ იგივე საქმეზე გამოძიების პროცესში შესაძლოა, გამოვლინდეს "თბილგაზის" სხვა პასუხისმგებელი პირების დანაშაულებრივი საქმიანობაც და მათ წინააღმდეგაც გამოიყენონ სადამსჯელო ღონისძიება.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ "თბილგაზში" არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭომ" მონიტორინგი ჩაატარა და სერიოზული დარღვევებიც გამოავლინა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის გენო ხარძეიშვილის განცხადებით, **"ქურდობა, რომელიც "თბილგაზში" ხდებოდა, ანუ კორუფციული სქემები, რომელზეც ეს სტრუქტურა იყო აწყობილი, ლამის მეცნიერულ დონეზე იყო დამუშავებული."**

**"რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ "თბილგაზში" სერიოზული დარღვევები იყო, მაგრამ ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ სტრუქტურაში სახელმწიფოს დაზარალების ხარჯზე უზარმაზარი ფული კეთდებოდა. აწყობილი იყო მსხვილი ფინანსური მაქინაციების ჯაჭვი, რომლითაც მთელი სტრუქტურა მუშაობდა - "თბილგაზის" ხელმძღვანელობით დაწყებული, ინკასატორით დამთავრებული,"** - აცხადებს "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავმჯდომარე მზია ალავიძე.

"თბილგაზში" განხორციელებული მაქინაციების გამო დაკავებულ ყოფილ გენერალურ დირექტორს ბრალდებას დღეს წაუყენებენ, თბილისის პროკურატურა დღესვე სასამართლოს მიმართავს მისთვის აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით.

*24 საათი*

# განსასჯელის უკანონო პატიმრობას მოსამართლის თანამდებობა შეეწირა

*პირველად საქართველოს იუსტიციის საბჭოს ისტორიაში მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს კოლეგიამ განსასჯელის უკანონო პატიმრობისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლა მოსამართლე.*

უკანონო პატიმრობები ბოლო ხანებში არაერთი მოსამართლის მიმართ სერიოზული პრეტენზიების წაყენების საფუძველი გახდა. ჯერ კიდევ არ დასრულებულა დავა სახალხო დამცველსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს შორის, უფრო ზუსტად - ამ დავას საბოლოო წერტილს იუსტიციის საბჭო დაუსვამს, რომელიც მოსამართლის ქმედების კანონიერებას შეისწავლის, თუმცა მანამდე განსასჯელის უკანონო პატიმრობა უკვე გახდა ერთი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი. იუსტიციის საბჭოს გათავისუფლებული მოსამართლის (ისევე, როგორც უკანონო პატიმრობაში მყოფი განსასჯელის) ვინაობის გამხელის უფლება დისციპლინარული საბჭოს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 15 დღის მანძილზე არ აქვს.

"ბოლო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეების მხრიდან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა სამწუხარო და მეტად საშიშ ტენდენციად იქცა და შემაშფოთებელ ზღვარს მიაღწია. ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, განსაკუთრებით მძიმეა იმ პირთა მდგომარეობა, რომელთა მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართალწარმოება. აბსოლუტურად დაუცველია ბრალდებულთა, განსასჯელთა და მსჯავრდებულთა უფლებები.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებები ირღვევა მოსამართლეების მიერ, რომელთა უპირველესი მოვალეობა სწორედ მართლმსაჯულების აღსრულებაა და რომელთაც გადაწყვეტილება საქართველოს სახელით გამოაქვთ", - ასეთი გახლავთ განახლებული იუსტიციის საბჭოს პოზიცია, რომელმაც 21 სექტემბერს ჩატარებულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა.

საქმე ის გახლდათ, რომ მოსამართლემ განსასჯელისთვის საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ ზემდგომ სასამართლოს 25 დღის დაგვიანებით მიმართა, ანუ განსასჯელი 25 დღის მანძილზე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა.

კერძოდ, განზრახ მკვლელობაში ბრალდებულის საქმის განხილვისას რაიონულმა სასამართლომ გადააჭარბა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილით დაწესებულ განსასჯელის პატიმრობის ვადას, ანუ 12 თვეს. მიუხედავად იმისა, რომ ვადა 15 აგვისტოს ამოიწურა, მოსამართლემ პატიმრობის ვადის 6 თვით გაგრძელების შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს წარდგინებით მიმართა 2004 წლის 9 სექტემბერს, ანუ საპატიმრო ვადის გასვლიდან 25 დღის შემდეგ. უზენაესმა სასამართლომ ეს წარდგინება არ დააკმაყოფილა და 15 სექტემბერს განსასჯელი საპყრობილის ადმინისტრაციამ გაათავისუფლა კიდეც, დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში დადანაშაულებულმა მოსამართლემ კი თანამდებობა დატოვა.

იუსტიციის საბჭოში აცხადებენ: "არავის დავინდობთ, რადგან ეს არის ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულების პრინციპების გასამყარებლად დაწყებული ბრძოლა. შესაბამისად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მხრიდან საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევის თითოეულ ფაქტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან აუცილებლად მოჰყვება სათანადო რეაგირება და დამნაშავეთა უმკაცრესი დასჯა".

*24 საათი*

# ყოფილი მხედრიონელი ცხრაწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს

ყოფილი მხედრიონელი, ბორჯომის "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი გოჩა გელაშვილი პატიმრობას გუშინ დაემშვიდობა. 29 აგვისტოს სოლიკო ხაბეიშვილის, გია გულუასა და გია ჭანტურიას წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებისთვის გასამართლებულმა გოჩა გელაშვილმა, რომელსაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ჯემალ ლეონიძემ ცხრა წლის წინ 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა, გუშინ კვლავ ჯემალ ლეონიძის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვა საპატიმრო. საქმე ისაა, რომ გოჩა გელაშვილს, რომელსაც შეწყალების კომისიამ სასჯელი 13 წლამდე შეუმცირა, ე.წ. "უდო" - ვადამდე ადრე გათავისუფლების ნორმა შეეხო. მსჯავრდებულის მოთხოვნა ამჟამად მცხეთის სასამართლოს თავმჯდომარემ ჯემალ ლეონიძემ განიხილა და მის მიერ წლების წინ მსჯავრდებული ტუსაღი პატიმრობიდან გაათავისუფლა. 29 აგვისტოს ტერაქტისთვის გასამართლებულ მხედრიონელთაგან სასჯელს ამჟამად მხოლოდ ერთადერთი იხდის - ბორჯომის "მხედრიონის" წევრი გოჩა თედიაშვილი. "საუკუნის პროცესზე" ტერორისტობისთვის გასამართლებული დანარჩენი 13-ვე განსასჯელი კარგა ხნის წინ დაემშვიდობა საპატიმროს.

*24 საათი*

# ტრეფიკინგის ნიგერიელი მსხვერპლი ბათუმის საპყრობილეში იმყოფება

22 წლის ნიგერიელი სინდია დიქსონი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, ამჟამად ბათუმის საპყრობილეში იმყოფება და საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებას სთხოვს. საქმე ისაა, რომ დიქსონს, რომელიც უკრაინაში სწავლობდა, უკრაინის მოქალაქე ვინმე იგორმა საქართველოში მაღალანაზღაურებადი სამსახური აღუთქვა და ჩამოიყვანა კიდეც საქართველოში, სადაც აღმოჩნდა, რომ იგი ტრეფიკინფის მსხვერპლი გახდა - საქართველოში მისი ჩამომყვანები აპირებდნენ მის სექსუალურ ექსპლუატაციას. სინდია დიქსონმა მოახერხა გაქცევა და ბათუმიდან უკრაინაში გემით დაბრუნებაც გადაწყვიტა, მაგრამ იმის გამო რომ ვიზა არ გააჩნდა, ეს ვერ შეძლო. დიქსონი ბათუმის უშიშროების სამინისტროს ბათუმის განყოფილებაში გამოცხადდა და სამართალდამცველებს მისი პრობლემის შესახებ აცნობა. თუმცა, დიქსონი დააპატიმრეს და საზღვრის უკანონო გადმოკვეთაშიც დაადანაშაულეს. ბათუმის საპყრობილეში მყოფი დიქსონის შესახებ ინფორმაცია უკვე მიიღო ტრეფიკინგის მსხვერპლთა დამცველმა ჰოლანდიურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც დიქსონს საპყრობილიდან დახსნასა და კიევში გამგზავრებაში დახმარებას გაუწევს. დიქსონის პრობლემის შესახებ საქმის კურსშია საქართველოს ომბუდსმენის მოადგილე ვახო კომახიძე, რომელიც დიქსონის საქმის გამო დღეს ბათუმში მიემგზავრება.

*24 საათი*

# პოლიციელებს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ვაკე-საბურთალოს პოლიციის პირველი განყოფილების კრიმინალური სამსახურის უფროსი ამირან ამირანაშვილი და კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელი კობა ჩაჩავა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის იოსებ თოფურიძის განცხადებით, დაკავებულმა პოლიციელებმა მოქალაქეს დანაშაულის ფაქტის დამალვისათვის 200 აშშ დოლარი გამოსძალეს. წინასწარი ინფორმაციით, ამირანაშვილი მოქალაქეს კერძო დაცვის თანამშრომლის მეშვეობით აშანტაჟებდა და დანაშაულის დაფარვის მიზნით 500 აშშ დოლარს სთხოვდა. "პირადი ჩხრეკისას ორივე მათგანს გამოძალული ას-ასი დოლარი აღმოაჩნდა," - განაცხადა თოფურიძემ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა და მასალები გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეცემა.

*მედია-ნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

# საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა მთავრობის სხდომაზე

უპირველეს ყოვლისა, მსურს მივესალმო მთავრობის წევრებს და აღვნიშნო, რომ ბევრი რამ, რაც ბოლო თვეების განმავლობაში გაკეთდა, სრულიად უპრეცედენტოა.

უკანასკნელ თვეებში საქართველოში განხორციელებული ცვლილებების მასშტაბს ჩვენ სათანადოდ არ ვაფასებთ.

ხანდახან, როდესაც ზოგი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსის გამონათქვამს ან პრესის ზოგიერთი წარმომადგენლის ნაწერს გადავავლებ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს საქართველოში არც არაფერი შეცვლილა.

ერთადერთი, შევარდნაძის რეჟიმიდან დარჩა საათი, რომელიც ამ დარბაზშია და სხვა დროს აფიქსირებს.

ერთი წლის წინანდელ საქართველოსთან შედარებით, არსებითად სხვა სამყაროში ვიმყოფებით და სრულიად სხვა პირობებში გვიხდება არსებობა და მუშაობა.

შეიცვალა პრაქტიკულად ყველაფერი - ჩვენი მიდგომა საკადრო პოლიტიკისადმი და სახელმწიფო სამსახურისადმი, დამოკიდებულება ჩვენს ხალხთან და უკვე რეალური შედეგები გვაქვს.

ჩვენ ჩავიბარეთ ქვეყანა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ვერ იხდიდა ხელფასებსა და პენსიებს, რომელშიც მთავრობა ვერ აკონტროლებდა რეგიონების უმეტესობას და იყვნენ გუბერნატორები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავიანთ პოლიტიკურ კამპანიას ღიად ეწეოდნენ ისე, რომ პრეზიდენტი ხმასაც ვერ სცემდა.

იმ პერიოდში ვერ ვაკონტროლებდით ვერც ბათუმის და ვერც ფოთის პორტებს, შესაბამისად - მათ შემოსავალსაც.

ვერ ვაკონტროლებდით ჩვენს საბაჟოებსა და საზღვრებს და თითქმის ყველა მეთვალყურე ვითარებას უიმედოდ მიიჩნევდა.

რამდენიმე თვეში სახელმწიფო სამსახურის კონცეფციის შექმნა მოვახერხეთ.

ჩვენ მრავალი უხელფასო, გამგელებული, გამწარებული და დახარბებული სახელმწიფო მოხელე გვყავდა.

დღეს კი მაღალხელფასიანი, პასუხისმგებლობით აღსავსე სახელმწიფო მოხელეებით დაკომპლექტებული სეგმენტები გაჩნდა, რომელთა რაოდენობა დღითი-დღე მატულობს.

მიმდინარე თვიდან პოლიციაში არც ერთ ოპერატიულ მუშაკს არ ექნება 300 ლარზე ნაკლები ხელფასი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს კი ხელფასები 400-დან 700 ლარამდე აქვთ.

წინა მთავრობის პერიოდში მანქანებზე, საწვავსა და ფორმებზე თავად პოლიციელებს უნდა ეზრუნათ, თანაც იმ პირობებში, რომ მათ არც ხელფასს უხდიდნენ და უფრო მეტიც - ქრთამის აღებას ავალებდნენ, თანხას კი ზედა ეშელონებში იყოფდნენ.

დღეს უკვე სხვა ვითარებაა - საქართველოში გვყავს პოლიცია, რომელსაც ვუყიდეთ მანქანები, ვამარაგებთ საწვავით, უზრუნველვყავით ზაფხულისა და ზამთრის ფორმებით და აქვთ მაღალი ხელფასი.

პოლიციაში ეს რეფორმა ორ თვეში განხორციელდა.

რეფორმა ხორციელდება, ასევე, შეიარაღებულ ძალებშიც და რევოლუციის წლისთავისათვის ყაზარმები ევროსტანდარტების შესაბამისად იქნება გარემონტებული.

შევარდნაძის მთავრობის მოპარული ხელფასების და პენსიების დარიგება დავიწყეთ, მასწავლებლების სახელფასო დავალიანება გავისტუმრეთ, პირველკლასელებს ჩანთები და სასკოლო ნივთები დავურიგეთ.

დარჩენილია საპენსიო დავალიანება 45 მილიონი ლარი, რომელსაც წლის დამლევისათვის დავფარავთ.

ბიზნეს-აქტიურობა გავაუმჯობესეთ, ზოგადად ეკონომიკური ზრდა ათ პროცენტზე მეტია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, სახელმწიფო სამსახურის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

ზოგიერთი წერს, რომ სააკაშვილის საკადრო პოლიტიკა შევარდნაძისას ჰგავსო.

თუ ადამიანი ბრმა და ყრუ არ არის, ეს არ შეიძლება დაწეროს.

შევარდნაძის პოლიტიკა ასეთი იყო: სანამ კადრი არ დალპებოდა, ხელს არ ჰკიდებდა.

ბოლოს ხალხი მივიდა იქამდე, რომ "დამპალი ხილი" გადააგდო.

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ჩვენს კადრებს - ჩვენი დანიშნული საბაჟოს უფროსი ჩვენვე დავაპატიმრეთ, ასევე კორუფციისათვის დააპატიმრეს პარლამენტის წევრი, მოსამართლე...

ასეთი ფაქტები საქართველოში არ ხდებოდა.

საქართველოში აქამდე არასდროს დაუკავებიათ პროკურორები.

ამას წინათ, ხუთი არამზადა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს, რომელთაც 1000 ლარიანი ხელფასიც არ აკმაყოფილებდათ.

დაიჭირეს გამგებლებიც, ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხის გამოსვლებიც იყო.

თუ გსურს, სახელმწიფო იმ ჭაობიდან ამოვიდეს, რომელშიც შევარდნაძემ ჩაფლა, ყველამ უნდა ისწავლოს, რომ კანონის დამრღვევი პასუხს აგებს.

იმ პერიოდში ამბობდნენ, რომ ქართველი ხალხი კორუმპირებული და უუნაროაო.

ქართველმა ხალხმა მოიშორა ის მთავრობა და ხელისუფლებაში კულტურული, ცივილიზებული და წესიერი ხალხი მოიყვანა.

ნოღაიდელის თქმით, საგადასახადო და საბაჟო შემოსავლებთან დაკავშირებით ვითარება გაუმჯობესდა, მე კი მიმაჩნია, რომ საბაჟოზე ყველაფერი ძველებურადაა.

როდესაც საზღვარგარეთ მივემგზავრები, შევარდნაძის მსგავსად არ ვითხოვ 50 მინისტრის გაცილებასა და დახვედრას, თათბირის ჩატარებას და ხიზილალიანი ბუტერბროდების ჭამას - დილის 6 საათზე მინისტრს აეროპორტში ყოფნა არ ევალება.

ამას წინათ, საბაჟოს უფროსი გიორგი გოდაბრელიძე საზღვარგარეთ მიფრინავდა. მისმა მოადგილეებმა უფროსი გააცილეს და აეროპორტში დიდი სუფრაც გაუშალეს.

მის წესიერებაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ასეთი კაცი კორუფციაში წესრიგს ვერ დამყარებს. ეს არის ჩვენი მთავრობის ახალი ხალხი?

მე არ ვამბობ, რომ სუფრის გამო ხალხს მოვხსნი, მაგრამ თუ საბაჟოდან არ შემოვა თვეში დამატებით 15-20 მილიონი ლარი, გოდაბრელიძე მოხსნილი იქნება. საბაჟოზე მდგომარეობის გამოსასწორებლად ვადას რევოლუციის წლისთავამდე ვაძლევ.

ეს ყველა სხვა თანამდებობის პირს ეხება.

იცოდეთ, თქვენ გაკვირდებათ პროკურატურა, ოქრუაშვილი, ადეიშვილი და სააკაშვილი.

არ ვაპირებ ვიღაცას ვათქმევინო, რომ ეს ხელისუფლება დაჭაობდა.

როგორც კი შევამჩნევ, რომ გუბერნატორი ვერ მუშაობს, შევცვლი.

ასევე დავაკვირდები ახლებსაც.

ეს ხალხის ხელისუფლებაა და ამიტომაც მათ უნდა იცხოვრონ ისე, როგორც ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს.

ძალიან კარგად ამუშავდა ლადო ჭიპაშვილის სამინისტრო, გაიწმინდა პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქალაქის მერია.

ფული შარშანაც იყო თბილისისათვის გამოყოფილი, თანაც, ორჯერ მეტი. შეიჭამა კუვეიტის კრედიტი, მსოფლიო ბანკის კრედიტი...

ამ თანხით, თბილისის გზებზე ერთი ორმოც აღარ უნდა არსებობდეს.

ჭიაბერაშვილი კარგად მუშაობს, ხალხთან ახლოს არის, ყველა ეზოში შედის.

მერიაში, როგორც კი კონკრეტული მუშაკების პატიოსნება ეჭქვეშ დადგა, ისინი სამსახურიდან მაშინვე დაითხოვეს.



პრეზიდენტი მთავრობას ჰპირდება, რომ მკაცრად მოსთხოვს პასუხს.

კარგი კადრები კი უნდა შევინარჩუნოთ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ექნებათ მაღალი ხელფასი და ნორმალური პირობები.

ეს არის ჩვენი პრინციპი და პირადად მე უკან არ დავიხევ.

ბოლომდე გამოვიყენებ კანონს, რათა ხელისუფლება ვერავინ დააშანტაჟოს.

გუშინ, რომელიღაც ტელევიზიით ითქვა, რომ "სანამ ბიზნესმენების დაპატიმრებები არ შეწყდება"...

თუ არ ჩავთვლით ჩემი წინამორბედის ოჯახის წევრის რამდენიმეთვიან "მივლინებას" მე-5 საპყრობილეში, ასეთი რამ არ მომხდარა - ბიზნესმენებისათვის ხელი არავის უხლია.

იმ ხალხს, ვინც ამას ლაპარაკობს, ალბათ, ბოლო 8 თვის განმავლობაში სძინავს.

ბიზნესმენი არ არის დამნაშავე იმაში, რაც ხდებოდა.

ბიზნესმენი საქართველოში არსებული სისტემის მსხვერპლი იყო.

იმ დროს კანონი ფეხქვეშ ითელებოდა.

ახლა კი ჩვენ ვამკვიდრებთ კანონის უზენაესობას.

უპირველესად ის ადამიანი უნდა იყოს დაცული, რომელიც საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის.

ჩვენ მოვხსენით მიწის გადასახადები და გლეხისათვის ეს მნიშვნელოვანი შეღავათია, მოვხსენით ტექდათვალიერება, შემოგვაქვს ახალი საგადასახაო კოდექსი, რომელიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადასახადები თითქმის ორჯერ მცირდება.

პროფესორს, რომელსაც პრესტიჟულ რაიონში 4-ოთახიანი ბინა აქვს, ქონების გადასახადი არ უნდა გადავახდევინოთ, რადგან ასეთ ხალხს საცხოვრებელი მოჭარბებული სიმდიდრით არ შეუძენიათ, უბრალოდ, სხვა სისტემიდან ახალში გადმოვედით.

ეს ამერიკა და ჰოლანდია არ არის.

თუმცა მან, ვინც ფეშენებელურ ახალ სახლს იშენებს, გადასახადი უნდა გადაიხადოს.

ასევე არ უნდა იყოს დამატებითი გადასახადებიც.

ახალი კოდექსი გადასახადების შემცირებასა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას ითვალისწინებს და არა შესუსტებას.

ნურავინ ელის, რომ საგადასახადო ადმინისტრაცია მკაცრი და პრინციპული არ იქნება.

მაგრამ წესიერი და კარგი საგადასახადო ადმინისტრაცია უნდა ჩამოვაყალიბოთ, რადგან ყველა ჩვენი სამომავლო გეგმა გადასახადების აკრეფასთან არის დაკავშირებული.

პირველკლასელებს სახელმძღვანელოები გადასახადების კარგი ადმინისტრირების შედეგად დაურიგდათ.

მომავალ წელს ყველა გაჭირვებული ოჯახის სათანადო თანხით უზრუნველყოფაც გადასახადების აკრეფასთანაა დაკავშირებული. ასევე - გზების შეკეთება, სამხედრო ყაზარმების რემონტი, "ღვაწლმოსილი მუშაკებისათვის" კეთილმოწყობილი ციხეების მშენებლობა, ინფრასტრუქტურის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება - ეს ყოველივე გადასახადების აკრეფის შედეგად გაკეთდება.

აქედან გამომდინარე, ნურავის ექნება იმედი, რომ გადასახადების ამოღება შეწყდება.

გადასახადების ტვირთი შემცირდება და წესიერი ადამიანისთვის ეს მთავარი, კარგი ახალი ამბავია - ეს ერთი.

და მეორე, ვინაიდან ბიზნესმენი საქართველოში იყო მსხვერპლი და არა შემოქმედი, შეღავათს ვუწესებთ.

საქართველოს ხელისუფლება განიხილავს კანონპროექტს, რომლის ამოქმედების დღიდან ყველა პატიოსან ბიზნესს, რომელზეც პროკურატურაში საქმე არ არის აღძრული და რომელიც ნარკოტიკებთან, ფულის საერთაშორისო გათეთრებასთან და სხვა დანაშაულებრივ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული, 2004 წლის 1 იანვრამდე ყველა საგადასახადო დავალიანებას ჩამოაწერს და არც ერთი მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანო ამ პერიოდამდე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობას აღარ შეამოწმებს.

ეს კანონპროექტი ითვალისწინებს არადეკლარირებული ფინანსებისა და ქონების ლეგალიზებასაც, თუ პიროვნება ამის შესახებ განაცხადებს.

ეს არის საგადასახადო ამინისტია და იმედია, რომ საქართველოს პარლამენტი ამ კანონის მიღებას არ გააჭიანურებს.

მოვუწოდებთ ყველას - ჩადონ ფული ეკონომიკაში.

ეს თანხა უნდა მუშაობდეს ქართული ეკონომიკის საკეთილდღეოდ.

ჩვენ არ დავიწყებთ ქონებისა და დეკლარირებული ფინანსების გადამოწმებას (თუ ზემოაღნიშნულ კრიმინალთან არ არის დაკავშირებული), პირიქით, მივესალმებით იმას, რომ ხალხმა ფული გამოაჩინოს.

ჩვენი ამოცანაა, რომ მაქსიმალურად მოვიზიდოთ ინვესტიციები.

წელს საკუთარი რესურსებით, პრაქტიკულად, სასწაული მოვახდინეთ და ბევრი რამის გაკეთება შევძელით.

თუმცა საამისოდ მომავალში სერიოზული ინვესტიციების მოზიდვა დაგვჭირდება და, შესაბამისად, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო უნდა შევქმნათ.

ამიერიდან ნაცნობ-მეგობრობა უკვე აღარ "გაჭრის", ვინც ჩადებს ფულს ქვეყნის ეკონომიკაში და მის ამუშავებაზე იზრუნებს, ის იქნება ჩვენთვის ახლობელიც და მეგობარიც.

მე მიხარია, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა, ხელოვანებმა და სპორტსმენებმა საქართველოში დაბრუნება დაიწყეს და ჩვენი სურვილია, რომ მათი მაქსიმალური რაოდენობა ჩამოვიდეს.

შესაბამისად ისინი თავს მოუყრიან თავიანთ უცხოელ პარტნიორებს და გაიზრდება ნეიტრალური ინვესტიციების რაოდენობა.

ამ დღეებში მივდივარ საგარეჯოში, სადაც 55 მილიონი დოლარი ჩაიდება ნავთობის მოპოვებისათვის, მაშინ, როცა წინა წლებში საამისოდ ჩადებული მაქსიმალური თანხა 5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

გამოჩნდა ხალხი, რომელიც ყულევის ტერმინალის მშენებლობას განაახლებს და აპირებს, რომ ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

სასიხარულოა ისიც, რომ მივაღწიეთ შეთანხმებას "ბრიტიშ პეტროლიუმთან" - მომავალი წლიდან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

შემოვა ფული იმისთვისაც, რომ მოვახერხოთ გზების მასშტაბური მშენებლობა. საბჭოთა პერიოდის გახსენებისას ნოსტალგიას სწორედ სარკისებური გზები მგვრის, რომელიც მაშინდელ საქართველოში იყო.

მომავალი წელი საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარების წელი იქნება.

ასევე თბილისში დავიწყებთ რესპუბლიკის მოედნის ფუნდამენტურ რესტავრაციას, ეს ახალი ქართული სახელმწიფოს სავიზიტო ბარათი იქნება.

რეგიონებში უნდა დავიწყოთ სერიოზული პროექტების განხორციელება.

1 ივნისს ჩავაბარებთ აჭარაში გვირაბის და გზის პირველ ნახევარს, რომელიც ასლან აბაშიძემ დაიწყო და მიატოვა, რადგან იარაღი უნდა ეყიდა.

ასევე, გერმანელებთან საკრედიტო ხელშეკრულებას ვაწერთ ხელს, რათა ბათუმში წყალსადენისა და კანალიზაციის პრობლემა საბოლოოდ მოგვარდეს და ეს მთლიანად აჭარასა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებას ეხება.

მომავალი წელი არის დიდი მშენებლობების დაწყების წელიწადი.

იმედია, მოვიპოვებთ ფულს ავტობანის გაკეთებისთვისაც, იქნებ თბილისი-ხაშურის მონაკვეთის მშენებლობა მაინც დავიწყოთ.

ვაპირებ, რომ ეს ავტობანი ჩემი პრეზიდენტობის ვადაში გაკეთდეს.

ასე რომ, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო.

მე მსურს, რომ 23 ნოემბერს, ჩვენი რევოლუციის წლისთავს საკადრისად შევხვდეთ.

ამას წინათ, ერთ-ერთ უკრაინულ გაზეთში დაიბეჭდა სამგვერდიანი სტატია, თუ რას მიაღწია საქართველომ ბოლო 8 თვის განმავლობაში.

ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ, უკრაინისათვის კი ეს საინტერესოა, ვინაიდან ბევრი ადამიანისთვის ის, რაც საქართველოში ხდება, იმედის მომცემია.

უკრაინაში არჩევნებისათვის ემზადებიან და მათთვის საინტერესოა, რა გზით არის შესაძლებელი მოვლენების განვითარება 60-მილიონიან და ჩვენზე ბევრად დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანაში. ერთი მხარე მიიჩნევს, რომ განხორციელდება ქართული სცენარი, მეორე კი ამას უარყოფს.

აი, ეს მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონკრეტული რეგიონებისათვის და ზოგადად მთელი მსოფლიოსათვის.

სრულიად უპრეცედენტო ფილმი გაუშვეს რუსეთის ტელევიზიით.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი საქმები კარგად მიდის იმ ხალხისათვის, ვინც ამას უკვეთავს, ან იღებს.

ჩვენთან მართლაც ისეთი არეულობა რომ იყოს, როგორც ისინი პროგნოზირებენ, მაშინ "შტირლიცის" მუსიკით ასეთი ფილმების გადაღება და ყურით მოთრეული ხალხის ჩვენება საჭირო აღარ იქნებოდა.

რევოლუციის შემდეგ მათი ვარაუდი რომ გამართლებულიყო იმის შესახებ, რომ საქართველო ათ ნაწილად დაიშლებოდა და აქ სასიკეთო არაფერი მოხდებოდა, მაშინ იგორ გიორგაძისა და თენგიზ კიტოვანის გამოხმობაც არ დასჭირდებოდათ.

ახლა ამ ხალხმა სერიოზული ნერვიულობა დაიწყო - ვაი, თუ კიდევ უფრო კარგად განვითარდეს მოვლენები, დასახული გეგმები განხორციელდეს, ახალი კოდექსით საქართველოში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს, საგადასახადო ბაზა გაფართოვდეს, თბილისი აშენდეს და გალამაზდეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიბრუნოთ და ა.შ.

რა თქმა უნდა, საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს, მაგრამ დაბრუნების გზა ქართულ ეკონომიკაზე, ყველა დასახული გეგმის განხორციელებაზე გადის.

ჩვენ არ უნდა დაუშვათ სახელმწიფო აპარატის ხელახლა დახავსება. კორუფცია დღეს სამშობლოს ღალატის ტოლფასია, ეს არის ის, რაც მოღალატეს ნორმალური ადამიანისაგან ანსხვავებს.

ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

თუ ეს ყველაფერი ასე იქნება, ბიზნესმენები იქნებიან დაცულნი, ისინი ფეხზე დააყენებენ საქართველოს.

საქართველოს ფეხზე დააყენებს ეკონომიკა, ეკონომიკას კი - ქართული ბიზნესი და ბიზნესმენები - ის ადამიანები, ვინც მატერიალურ დოვლათს ქმნიან.

მე არ მიმაჩნია, რომ სასწაულები მოხდება და 3-4 კვირაში ან თვეში ქვეყნის ეკონომიკა ისე გამოსწორდება, რომ ყველა ბედნიერად და უზრუნველად იცხოვრებს, ამას არც არავის დავპირებივარ.

ის, რაც ხალხს დავპირდით, შევასრულეთ კიდეც - მიწის გადასახადისაგან გავათავისუფლეთ, პენსიების ზრდის პროცესი და დავალიანებების გასტუმრება დაიწყო და მალე დავასრულებთ კიდეც, მოსწავლეებს სახელმძღვანელოები დავურიგეთ და დამატებით მატერიალური დახმარება გავუწიეთ; პედაგოგების ხელფასები გავისტუმრეთ; საქართველოში შენდება გზები, ინფრასტრუქტურული ნაგებობები, ჯარი ბევრად უკეთეს პირობებშია, კორუფცია შევამცირეთ და თანამდებობის პირებს პასუხი ვაგებინეთ, მოპარული ფული უკან დავაბრუნეთ.

ეს ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს.

საგადასახადო კოდექსში მცირე ბიზნესის ნაწილი გადასახადისაგან გათავისუფლდა.

რაც უფრო გაუმჯობესდება გადასახადების ადმინისტრირება, საშუალება მოგვეცემა საწყის პერიოდში ახალი ბიზნესიც გავათავისუფლოთ გადასახადებისაგან.

ლადო ჭიპაშვილის პროგრამის ამოქმედებასთან ერთად, რომელიც სიღარიბის დაძლევასთან არის დაკავშირებული, ჩვენი პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იქნება შესრულებული.

ახლა არ არის პროცესების შეჩერებისა და შენელების დრო.

23 ნოემბრისათვის, კონცერტების, ფეიერვერკების და შადრევნების გახსნის გარდა, მსურს მოვაწყოთ დიდი შეკრება, რომელზეც თითოეული მინისტრი, გუბერნატორი და გამგებელი ხალხს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებს.

ამას გავაკეთებ მეც, როგორც პრეზიდენტი და ბუნებრივია ასევე მოიქცევიან პრემიერ-მინისტრი და მთავრობა.

თუ აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, ვისაც ანგარიში ჩასაბარებელი არ ექნებათ, ამ ადამიანებს ისტორიას ჩავაბარებთ და იმ რეჟიმს გავაყოლებთ, რომელიც ერთი წლის წინ მოვაშორეთ ქვეყანას.

თუმცა უმეტესობას ბევრი რამ აქვს გაკეთებული და ეს მე მახარებს.

მომავალი 23 ნოემბერი ბევრად უკეთესი იქნება, ხოლო შემდეგ წლებში ამ ზეიმს საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავმართავთ.

დიდ მადლობას მოგახსენებთ და იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

*თვალსაზრისი*

# ეფექტიანი პრივატიზაცია ქართულად

## დღეისათვის საქართველოში არავინ იცის სახელმწიფო ქონების ოპტიმალური ღირებულება

ვახტანგ ხომიზურაშვილი
*საშემფასებლო კომპანია "ინვესტკონსულტანტი"-ს დირექტორი*

საქართველოში პრივატიზაციასთან დაკავშირებული საკითხები დღეს ძალზედ აქტიური გახდა. ეს თემა პოლემიკის, დისკუსიების და ჭორების ძირითადი საგანია. გამოითქვა ბევრი სალი და ბევრიც აბსურდული აზრი იმის შესახებ, როგორ უნდა ჩავატაროთ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი და რამდენად სწორ პოზიციებზე დგას ეკონომიკის სამინისტრო. ერთი რამ ცხადია - პრივატიზაცია უნდა ჩატარდეს, ობიექტები უნდა გაიყიდოს რაც შეიძლება მაქსიმალურ ფასში, საინვესტიციო კაპიტალის "ეროვნების" წარმოშობის მიუხედავად (დოლარი აფრიკაშიც დოლარია).

გარდა ამისა ე.წ. "სტრატეგიული ობიექტების" ანუ სახელმწიფო ბუნებრივი მონოპოლიების მიმართ, საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული უსაფრთხოების ზომები. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკაში სხვა ქვეყნების "სახელმწიფო" კაპიტალის ინვესტირების შეზღუდვის შესახებ, რაც ბუნებრივად გამორიცხავს რეალურ ან "პერსპექტიულ" პოლიტიკურ-ეკონომიკურ რისკებს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული მიდგომა ალბათ გამორიცხავს პოლიტიკური სახის ზემოქმედების განხორციელებას ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, გამოჩენილი ინიციატივისა და დიდი მოცულობით შესრულებული სამუშაოსი, ძალზედ ბევრი საკითხი კიდევ კითხვის ქვეშაა.

ეკონომიკური რეფორმის ჩატარებისას, ცხადია, რომ შეუძლებელია ყველა ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ, როგორც მინიმუმი, გათვალისწინებული უნდა იყოს პრივატიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა:

**1. საპრივატიზაციო ობიექტის რეალური ღირებულების (აუქციონის საწყისი ფასის) დადგენა**

დღეისათვის საქართველოში არავინ იცის სახელმწიფო ქონების ოპტიმალური ღირებულება, ერთი მარტივი მიზეზის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან არ არსებობს კანონი (რომელიც უნდა მიღებულიყო სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, პირველ სავაუჩერო პრივატიზაციამდე) "საშემფასებლო საქმიანობის შესახებ", და, შესაბამისად, არ არსებობს ლიცენზირებული პროფესიონალ შემფასებელთა ინსტიტუტი. მცდარია ის აზრი, რომ აღნიშნული კადრების დეფიციტს შეავსებენ აუდიტორული სამსახურის მესვეურნი. მცდარია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აუდიტი თავისი შინაარსობრივი დატვირთვით გულისხმობს მხოლოდ საბუღალტრო ანგარიშგების (ბალანსები) სინამდვილის და ადეკვატურობის დადასტურებას, როდესაც საშემფასებლო საქმიანობა ითვალისწინებს უამრავი და საკმაოდ რთული, საფინანსო ექსპერტიზის დიაგნოსტიკური მეთოდიკის გამოყენებას. ყველა მეტ-ნაკლებად ფინანსებში გათვითცნობიერებული ადამიანისათვის (არაფერს ვამბობ პროფესიონალებზე) ცხადია, რომ საწარმოების "დეფორმირმირებულ" და ზოგ შემთხვევაში "პროვიზორულ" ბალანსებზე და საფინანსო ანგარიშგებებზე დაყრდნობით, შეუძლებელია ობიექტური ღირებულების დადგენა (ე.წ. საბალანსო მეთოდით). აღნიშნული სიტუაცია განპირობებულია რამოდენიმე ურთიერთდამაკავშირებელი შემდეგი მიზეზების გამო:

- ეკონომიკის რეალურ სექტორში კიდევ არსებობს "ჩრდილოვანი ფულადი ნაკადები" და ორმაგი ბუღალტერია;
- მაღალკვალიფიციური ლიცენზირებული ბუღალტრების და საფინანსო მენეჯერების არსებული მწვავე დეფიციტი;
- პრაქტიკულად უმეტეს ნაწილში დისკრედიტირებული და არაკონტროლირებადი აუდიტორული სამსახური (აუდიტორთა მცირე რაოდენობის გამოკლებით).

ყველაფერი ეს კანონზომიერად ითხოვს კომპანიის (ბიზნესის) ღირებულების დადგენას განსხვავებული მეთოდების საშუალებით, რაც გამოიყენება უკვე ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო პრაქტიკაში (მათ შორის რუსეთშიც).



ვახტანგ ხომიზურაშვილი: "გასაკვირია ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან საქართველოში არსებული საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის იგნორირება."

რასაკვირველია, ასეთი დონის სპეციალისტების მომზადებას სჭირდება გარკვეული პერიოდი და ისიც გასაგებია, რომ პრივატიზაცია არ იცდის. მოცემულ ეტაპზე არსებობს ერთი გამოსავალი. ქვეყანაში უკვე არსებული (მართალია, მცირე) პოტენციალის გამოყენება და შეფასების სტანდარტების სასწრაფო დადგენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც გვეცოდინება ნებისმიერი საწარმოს რეალური ფასი, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ის გაიყიდა უფრო ძვირად ან შედარებით იაფად, მაგრამ, ბუნებრივია, რომ სასტარტო ფასის დადგენა უნდა მოხდეს არა იმ მეთოდებით რაც გამოიყენება დღეისათვის.

**2. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის განსაზღვრა**

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საწარმოთა უმეტესი ნაწილი წამგებიანია და/ან ახასიათებს ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა - "უარყოფითი საკუთარი კაპიტალი".

ამდაგვარი საწარმოების საბალანსო ფასი პრაქტიკულად ნულის ტოლია, და როგორც წესი, აუქციონზე "ჩალის" ფასად იყიდება. აღნიშნული კატეგორიების სახელმწიფო კომპანიები საჭიროებენ ე.წ. სანაციის პროგრამების შემუშავებას და ფინანსური გაჯანსაღებისათვის მიმართული რეალური ნაბიჯების გადადგმას სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან. ამასთან ერთად, არსებობს ძალზე დიდი სხვაობა დღეისათვის წამგებიანი საწარმოს საბალანსო და "პოტენციურ" ღირებულებას შორის.

სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოში წინასწარ განხორციელებული ინვესტიციები ზრდის საწარმოს საწყის ღირებულებას იმ დონემდე, რომელიც რამოდენიმეჯერ აღემატება საწყის პერიოდში განხორციელებულ საინვესტიციო ხარჯებს. ეს განპირობებულია საწარმოს პერსპექტიული დადებითი ფულადი ნაკადების (მოგების) მიღების შესაძლებლობით.

პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შემფასებელ-ექსპერტთა არარსებობის გამო ვერ ხდება ჯეროვან დონეზე (ყოველ საწარმოსათვის ინდივიდუალურად) საინვესტიციო პროექტის ოპტიმალური ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა, რომ არაფერი ვთქვათ საბალანსო კატეგორიების რესტრუქტურიზაციასა და საინვესტიციო პროგრამების განხორციელებაზე.

რაც შეეხება პრივატიზაციის პროცესის გამჭირვალობას, უნდა ითქვას, რომ უბრალოდ გასაკვირია ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან საქართველოში არსებული საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის იგნორირება. საერთოდ, ნებისმიერი ტიპის აუქციონების ჩატარების პროცედურა მაინც და მაინც არ ითვალისწინებს ფართო სპექტრის და შედარებით "წვრილ" ინვესტორთა კატეგორიების მონაწილეობას. როგორც წესი, აუქციონში მონაწილეობს რამდენიმე მსხვილი ინვესტორი, რომელთა შორის ერთი ხდება "გამარჯვებული". მაშინ, როდესაც საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი აქციათა პაკეტის მფლობელები შეიძლება გახდნენ როგორც მსხვილი, ისე "უბრალო" ინვესტორები, რომელთა აქციების შეძენის განაცხადები წარმოდგენილია საბროკერო კომპანიების მეშვეობით. ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩვეულებრივ მოსახლეობას არ გააჩნია პრივატიზაციის პროცესში მიღების საშუალება. ერთი მხრივ, სახელმწიფოსათვის ფაქტობრივად სულერთია რამდენი აქციონერი ეყოლება პრივატიზირებულ ობიექტს, მთავარია, რომ ბიუჯეტმა მიიღოს შესაბამისი თანხა. მეორე მხრივ, ერთი საფინანსო ჯგუფი (კომპანიის ან კერძო ინვესტორის მიერ) აქციათა პაკეტის ფლობის ფაქტი, თავისთავად დამატებით წარმოქმნის საინვესტიციო რისკებს.

მსოფლიო პრაქტიკაში უამრავი მაგალითია, როდესაც ზემოთ აღნიშნული ერთპიროვნული ინვესტორის ძირითადი (ან პარალელური) ბიზნესის "ჩავარდნის" შემთხვევაში, ხდება პრივატიზირებული საწარმოდან კაპიტალის გადადინება "ძირითად" ბიზნესში მიღებული ზარალის დასაფარავად, რის შედეგადაც არ ხორციელდება საკმარისი რაოდენობით საწარმოს მიერ მიღებული მოგების რეინვესტირება საწარმოს განვითარების ფონდებში, რაც იწვევს საწარმოს კონკურენტუნარიანობის შემცირებას. ცნობილი "ჯაჭვური რეაქციის" გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია საწარმოს მფლობელმა (მისი ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე) საწარმო ნაწილ-ნაწილ გაყიდოს (იმდენად, რამდენადაც ხშირად ინვესტირებული თანხის ამოღების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე აქციათა მთელი პაკეტის გაყიდვის შემთხვევაში).

თავის დროზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მათ შორის **USAID**-ის მიერ განხორციელებული "კაპიტალის ბაზრის განვითარების" პროექტის შესაბამისად) გამოყოფილი იყო უზარმაზარი თანხები საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების მიზნით, იმ პერსპექტივით, რომ ქვეყანაში შეიქმნებოდა ფასიანი ქაღალდების სახით ქონებრივი უფლებების გასხვისების ცივილური, გამჭირვალე და ობიექტური მექანიზმი. არსებული მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია (საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით - აუცილებელიც) როგორც საწარმოს "მთლიანი" პრივატიზების შემთხვევაში, ისე "ნაწილობრივ" პრივატიზების დროს, როდესაც სახელმწიფო "უშვებს" (ახორციელებს ემისიას) დამატებით აქციებს ბრუნვაში და შესაბამისად, ამცირებს თავის წილობრივი მონაწილეობის პროცენტულ მაჩვენებელს.

რეზიუმეს სახით უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას, ბევრად ეფექტიანი და შედეგიანი იქნებოდა საქართველოში არსებული, ისევ გამოცდილი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, რისთვისაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისად შესაქმნელია კეთილგანწყობილი თანამშრომლობის და პარტნიორული ურთიერთობების ატმოსფერო.

ამდენად, ისევ და ისევ ყველაფერი დამოკიდებულია "კომპეტენტურ პარტნიორებზე" და გონიერ ინიციატივაზე, რომ შედეგიანად ჩავატაროთ ეფექტიანი პრივატიზაცია, მართლაც, ქართულად.

რუსულად დანახული "გოდორი"



B3

When I'm sixty-four

ლენონის ჩანახატებით, კარიკატურებითა და სკეჩებით სავსე უზარმზარი ექსპოზიცია.



B7

საქართველო მზადაა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად



B8


ნომრის სტუმარი

# გარკვეულ ჯგუფებს პროტესტის გრძნობა გაუჩნდებათ

მაია ჭალაგანიძე

*დღეს ჩვენი ქვეყანა კარს უღებს ყველას, ვისაც ოდნავი ინტერესი გაუჩნდება - რამდენიმე თვის წინ საქართველოში რუსული ბიზნეს-დესანტი ჩამოვიდა. ამ დღეებში კი ამერიკელ ბიზნესმენებს ვმასპინძლობთ. როდესაც საქართველოს ეკონომიკას განვითარების გზებს პოლიტიკა კარნახობდა, ქვეყანა გზას ასცდა და ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად გაუმჭვირვალე კლეპტოეკონომიკა მივიღეთ. რა მოძრაობებია ახლა ჩვენს ხელისუფლებაში - იცვლება ღირებულებების სისტემა თუ ძველი ჩინოვნიკების ბიზნესინტერესებს ახლები ენაცვლებიან? ეყოფა თუ არა გონიერება ახალ მთავრობას, რომ ორი დიდი ქვეყნის კაპიტალი მშვიდობიანად განათავსოს ჩვენს ტერიტორიაზე? როგორ ჩანს დღეს საქართველო ამერიკულ რადარზე... ბევრი კითხვაა. ზოგი მათგანი ჩვენს დღევანდელ სტუმარს, ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს აღმასრულებელ დირექტორს მამუკა წერეთელს დავუსვით.*



იური ლობოდინის ფოტო

*მამუკა წერეთელი: დაამთავრა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი; ეკონომიკის დარგში მოსკოვში დაიცვა დისერტაცია; 1994 წელს წავიდა აშშ-ში, სადაც ცოტა ხანს დიპლომატად მუშაობდა საქართველოს საელჩოში. ასწავლის ვაშინგტონის* ***American University****-ში.*

ეკონომიკა მკვდარი არ იყო, მაგრამ იფურჩქნებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, რითიც ხალხი არსებობდა. ადამიანებისთვის დიდი შესაძლებლობები კი არ იხსნებოდა.

რუსეთის შემთხვევაში პირიქით არის - კომერციული ინტერესები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ წინ პოლიტიკური ინტერესები დგას. ეჭვი მეპარება, ზოგიერთ რუსულ ენერგოკომპანიას ქართული ბაზარი აინტერესებდეს. ეს უფრო სხვა მიზნებს ემსახურება - მათ ხელში დამატებითი პოლიტიკური ბერკეტია.

მათ ჰქონდათ გაჭრილი არხები მთავრობასთან, რომელიც დაიხურა. ახალი ურთიერთობების ფორმაა დასალაგებელი და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე კი არ უნდა მოხდეს, რომ ძველ ჩინოვნიკებს ახალი ჩაენაცვლოს და სისტემა იგივე დარჩეს...

- ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭო 1998 წლის დასაწყისში შეიქმნა. ეს იყო პასუხი იმ ინტერესზე, რომელიც ამერიკაში საქართველოს მიმართ არსებობდა.

გახსოვთ, ალბათ, საქართველოში 90-იანი წლების შუახანებში დესტაბილიზაციისა და გაჭირვების შემდგომი აღმავლობა შეიმჩნეოდა. ამიტომაც საქართველოსა და მთლიანად რეგიონისადმი ნავთობისა და გაზის ბიზნესის განვითარების მეტი ინტერესი იყო.

**- თავიდანვე რომელმა კომპანიებმა გამოთქვეს საბჭოში გაწევრიანების სურვილი?**

- დამფუძნებლები ნავთობკომპანიები იყვნენ. კერძოდ, კომპანია "ამოკო", რომელიც შემდგომში "ბიპის" შეერწყა. აგრეთვე იყო "შევრონი". მაშინვე დაემატათ სხვა ენერგოკომპანიები, მათ შორის "ეი-ი-ესი" და სხვა ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები ჰქონდათ. ბიზნესსაბჭოში სულ 23 წევრი იყო.

**- ამ ხნის განმავლობაში როგორ იცვლებოდა მიდგომები? ჩვენდამი ინტერესი მზარდი იყო თუ პირიქით?**

- 1998 წლის ზაფხულიდან და განსაკუთრებით რუსეთის კრიზისის მერე ტენდენცია დაღმავალი გახდა. საქართველოსადმი ინტერესი ინერციით შენარჩუნდა - განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის ინტერესის გამო.

საბჭოს არსებობიდან ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოსთან კარგი ურთიერთობები გვქონდა. ჩვენი ორგანიზაციის უპირველესი მიზანი საქართველოში ინვესტიციების მოზიდვა და წევრი კომპანიებისთვის საქართველოში მუშაობის გაადვილებაა. მეორე და არანაკლები მნიშვნელობის მიზანი ამერიკაში საქართველოს პოპულარიზაცია გახლავთ.

**- მოკლედ, თქვენ 1998 წლიდან აკეთებთ იმას, რასაც ახლა ჩვენი პრეზიდენტი ამბობს.**

- პრეზიდენტისგან ნათქვამი სულ სხვაგვარად ჟღერს. პრინციპში, მაშინდელი პერეზიდენტიც ამას ამბობდა, ოღონდ დეკლარაციის დონეზე.

**- ინტერესის სანაცვლოდ რას იღებდა ამერიკული ბიზნესი ჩვენი ხელისუფლებისგან?**

- იყო გარკვეული სფეროები, სადაც კონტაქტი და თანამშრომლობა აეწყო. მაშინ ჯერ კიდევ აშშ-სთან ურთიერთობა, ინვესტიციების მოზიდვა - დეკლარაციის დონეზე მაინც პრიორიტეტად ითვლებოდა. არ მახსოვს საქართველოს ხელისუფლების რომელიმე მაღალი დონის ვიზიტი აშშ-ში, ჩვენს წევრებთან ან უფრო ფართო საზოგადოებასთან რომ რაიმე შეხვედრა არ მოგვეწყო. ეს ჩვენი ინიციატივით ხდებოდა. ამ ურთიერთობებში ჩაბმა საქართველოს ხელისუფლებისთვის მომგებიანი ნაბიჯი იყო.

**- რამდენად ღია იყო ეს თანამშრომლობა?**

- იყო პრობლემატური საკითხები, რომელიც გადაწყვეტილა, მაგრამ ხშირად საკითხების გადაწყვეტას წლები სჭირდებოდა.

**- მიზეზი?**

- კონფლიქტები აქაური მთავრობის წევრებთან ან ორგანიზაციებთან, რომლებიც უცხოური კაპიტალის შემოსვლით დაინტერესებულნი არ იყვნენ.

**- როგორ აისახა ბიზნესსაბჭოს წევრთა განწყობაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენები, როდესაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ყოველგვარი ავტორიტეტი და პოპულარობა დაკარგა?**

- განსაკუთრებით 2001 წლიდან ერთგვარად დამცინავი დამოკიდებულებაც კი შეიმჩნეოდა იმ განცხადებებისა და ნაბიჯების მიმართ, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება დგამდა. იყო სიტყვები და არ იყო საქმე. ბევრი რამ სულ უკან და უკან მიდიოდა. კორუფციული მთავრობის პირობებში მოსახლეობას, ქართულ ბიზნესსა და მთავრობას შორის გარკვეული სოციალური კონტრაქტი შედგა - ეკონომიკა მკვდარი არ იყო, მაგრამ იფურჩქნებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, რითიც ხალხი არსებობდა, ადამიანებისთვის დიდი შესაძლებლობები კი არ იხსნებოდა.

**- რუსეთთან ჩვენი მუდმივად დაძაბული და პერმანენტულად გამწვავებული ურთიერთობები რა გავლენას ახდენდა ბიზნესსაბჭოს მოღვაწეობაზე?**

- ის, რაც რუსეთში ხდება, საქართველოს მიმართ ამერიკის ინტერესებზე პირდაპირ ასახვასაც პოულობს და არაპირდაპირსაც. ვიღაც ახალ ადამიანს, რომელიც საქართველოზე შეიძლება ფიქრობდეს, ბესლანის ამბები ჩააფიქრებდა - თუკი ამ ქვეყანას მუდმივად დაძაბული ურთიერთობები აქვს რუსეთთან, რომელიც საქართველოსთვის ბაზარია - ღირს თუ არა ამ სფეროს ინვესტირება?! რა თქმა უნდა, დაფიქრდება...

**- რამდენად დიდია რუსეთის გავლენა საქმიან მსოფლიოზე მას შემდეგ, რაც დასავლეთის ანალიტიკოსებმა პუტინს დიქტატორი და მუსოლინი უწოდეს?**

- არის ბიზნესჯგუფები, რომელთათვისაც, სამწუხაროდ, მნიშვნელობა არა აქვს, რა პოლიტიკური ვითარება იქნება რუსეთში. ენერგეტიკული კომპანიებისთვის ხშირად არა აქვს მნიშვნელობა, რა ქვეყანაში რა მმართველობაა. გადახედეთ, მსოფლიოს ნებისმიერი ტიპის ქვეყანაშია ნავთობკომპანიები. ზოგადად ბიზნესის ინტერესებზე კი, რა თქმა უნდა, ეს გავლენას ახდენს. "იუკოსის" ისტორია, პუტინის განცხადებები და იმის შიში, რომ რუსეთი ავტოკრატიული რეჟიმისკენ მიდის (დიქტატურის დამყარება პუტინს, ალბათ, გაუჭირდება), ბიზნესზე გავლენას ახდენს.

**- რა განასხვავებს ამერიკულ და რუსულ ბიზნესინტერესებს საქართველოში?**

- პირველ რიგში, ის განასხვავებს, რომ რუსეთის ბიზნესინტერესების უკან ხშირად სხვა ინტერესები დგას. ამერიკაში პირიქით არის - ბიზნესინტერესების მერე გარკვეული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო ინტერესებიც ჩნდება... საქართველოში რომ 10-15 დიდი ამერიკული კომპანია, დიდი ქარხნები იყოს, ჩვენი სტრატეგიული მდებარეობის გაუთვალისწინებლადაც იქნება ინტერესი, რადგან ძლიერმა კომპანიებმა შეიძლება ერთი ქვეყნის ინტერესი განსაზღვროს მეორე ქვეყნის მიმართ.

რუსეთის შემთხვევაში პირიქით არის - კომერციული ინტერესები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ წინ პოლიტიკური ინტერესები დგას. ეჭვი მეპარება, ზოგიერთ რუსულ ენერგოკომპანიას ქართული ბაზარი აინტერესებდეს. ეს უფრო სხვა მიზნებს ემსახურება - მათ ხელში დამატებითი პოლიტიკური ბერკეტია.

**- სად იკვეთება ორი დიდი ქვეყნის კონკურენცია ამ პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე?**

- პირველ რიგში, ენერგეტიკის სფეროში.

**- ჩვენი ქვეყნის მიმართ სპეციფიკური პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რუსული და ამერიკული ბიზნესი შეძლებენ თუ არა საქართველოში მშვიდობიან თანაცხოვრებას?**

- არის იმის პოტენციალი, რომ ამ ორ დიდ ქვეყანას შორის ურთიერთობები ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოდ შემოვაბრუნოთ. დიდი პასუხისმგებლობა და გონიერება უნდა გამოვიჩინოთ, რათა ორივე მხარის ინტერესი თანხვდეს ერთმანეთს და ორივე მხარეს აინტერესებდეს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა.

არის სფეროები, რომელშიც კარგი იქნება რუსული ინვესტიციების დაფიქსირება. მაგალითად, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ღვინის მრეწველობა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მიმართ რუსეთის შემორჩენილ ინტერესს, ვფიქრობ, ამ სფეროებში კარგი და ადვილი იქნება რუსული კაპიტალის შემოსვლა.

ჩემი აზრით, არსებობს გარკვეული სფეროები, სადაც ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დასავლური ინვესტიციები უნდა დაფიქსირდეს. ეს არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ტრანზიტი, პორტები და ენერგეტიკა. ეს უკანასკნელი ისეთი სფეროა, რთულია, ერთ ქვეყანაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ორივე ინტერესის თანხვედრაა სასურველი - უკვე შემოსულია გაერთიანებული ენერგოსისტემები. მაგრამ სასურველია ენგურის ან სხვა სადგურები აღარ გადაეცეს რუსულ კომპანიას...

**- "ეი-ი-ეს"-ი ბიზნესსაბჭოს წევრი იყო. ამ კომპანიის განდევნა ხომ არ მიანიშნებს იმას, რომ რუსეთი საქართველოში ვერასდროს იგუებს ამერიკის ბიზნესინტერესებს?**

- სწორედ აქ არის საჭირო ურთიერთობების, დიპლომატიისა და მართვის ხელოვნება. "ეი-ი-ეს"-ის შენარჩუნება სახელმწიფო ინტერესი უნდა ყოფილიყო და არ წავიდოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ "ეი-ი-ეს"-ს თავისი პრობლემები გაუჩნდა სხვა ბაზრებზე, მაგრამ იმ პირობებშიც კი შეიძლებოდა შენარჩუნება. მით უფრო, რომ "ეი-ი-ეს"-ი იმ დროს წავიდა საქართველოდან, როდესაც ეს კრიზისი დაძლეული ჰქონდა და ისევ აღმა მიდიოდა.

**- გაბრაზებულები გავიდნენ საბჭოდან?**

- არა. სანამ არის ინტერესი, არის წევრი. როცა ეს ინტერესი აღარ აქვთ, გადიან საბჭოს შემადგენლობიდან. პირადი ურთიერთობები მაქვს ამ ხალხთან, მაგრამ კორპორაციული ინტერესი აღარ არის.

**- ვინ და რა განწყობით ჩამოვიდა თქვენთან ერთად თბილისში?**

- ხალხი საკმაოდ ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ საქართველოში ბიზნესისთვის განსაკუთრებული ოაზისი არ არის და ამ გარემოს შეცვლას ბევრი დრო და შრომა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესისთვის სარისკო გარემოა, რევოლუციური ცვლილებების შემდეგ ინტერესი გაიზარდა. ჩამოყვანილი გვყავს რამდენიმე საინვესტიციო ჯგუფი, ფინანსური ინვესტორები, რომლებიც სტრატეგიულ პარტნიორს ეძებენ და მასთან ერთად განახორციელებენ ინვესტიციას.

**- რა არის მათი ინტერესის საგანი?**

- საპორტო ინფრასტრუქტურა, ტელეკომუნიკაცია, ზოგადად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და საფინანსო სფერო. ყველაზე დიდ სადაზღვევო კომპანიას (American International Group) აინტერესებს თავისი წარმომადგენლობის გახსნა. ბიზნესკონფერენციის მონაწილენი არიან აგრეთვე ის კომპანიებიც, რომელთა ინტერესები უკვე დაფიქსირებულია საქართველოში - "Canargo," "BP", ბათუმის ტერმინალი და სხვა.

**- როგორ მუშაობენ ახალ გარემოში?**

- სიმართლე გითხრათ, გარკვეული სირთულეები ყველას შეექმნა. მაშინ სულ სხვა ხალხთან უწევდათ ურთიერთობები, რაც მოისპო. ვერ ვიხსენებ ორგანიზაციას ან ბიზნესს, რაიმე დისკომფორტი რომ არ შექმნილიყო. მაგრამ ეს ახლა ლაგდება.

**- რატომ შეექმნათ პრობლემები, ეს ხელისუფლება სხვა წესებით თამაშობს?**

- მათ ჰქონდათ გაჭრილი არხები მთავრობასთან, რომელიც დაიხურა. ახალი ურთიერთობების ფორმაა დასალაგებელი და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე კი არ უნდა მოხდეს, რომ ძველ ჩინოვნიკებს ახალი ჩაენაცვლოს და სისტემა იგივე დარჩეს...

**- რას ატყობთ, ასე მოხდება?**

- ორივე ტენდენციას ვამჩნევ. ცვლილებებია ჯანსაღი ურთიერთობების დამკვიდრებაში, მაგრამ არის აგრეთვე მეორე - ჩანაცვლების ტენდენციაც.

**- ჩინოვნიკებზე ამბობთ?**

- მთავრობიდანაც და გარედანაც არის გავლენების შენარჩუნების მცდელობა.

**- როგორ ფიქრობთ, ეკონომიკა პოლიტიკისგან გათავისუფლდა?**

- ამის თქმა არ შემიძლია. პრინციპში, წამყვანი პოლიტიკური ფიგურები სწორ განცხადებებს დეკლარირებენ. ბიზნესსაბჭოს მიღებაზე პრეზიდენტი მოვიდა, მანამდე პრემიერს შევხვდით - ყველაფერს სწორად და ზუსტად ამბობენ. იციან საჭიროება და ის, თუ რისი გაგონება სურს აუდიტორიას. ვფიქრობ, რომ მათ აქვთ პოლიტიკური ნება, განახორციელონ ის, რასაც ამბობენ. მაგრამ აქ მეორე მნიშვნელოვანი მომენტია - რამდენად აქვს გაცნობიერებული ეს ყველაფერი საშუალო დონის ბიუროკრატიას და იმ ინსტიტუციების წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ უნდა განახორციელონ ეს ყველაფერი - სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენთან ინსტიტუციები ჩამოყალიბებული არ არის, გვყავს ძალიან სუსტი ბიუროკრატია. რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტების ცოცხალ ორგანიზმად ჩამოყალიბებას დროც უნდა და პოლიტიკური ნებაც. საშუალო რგოლებში თუ არაფერი გაკეთდა, მაღალი რანგის პოლიტიკოსების ლაპარაკს ფასი დაეკარგება.

**- საშუალო ფენა შეიძლება მონადინებულია, მაგრამ გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის...**

- ბევრი ახალგაზრდა მოვიდა და ეს კარგია, მაგრამ რამდენად არიან ისინი მომზადებულნი გადაწყვეტილების მიღებისთვის?! მოხელის კულტურას ტრადიციები უნდა და ინსტიტუციონალური სისუსტეები ძალიან შეიმჩნევა. ისევ და ისევ პოლიტიკური ნება თუ გადაწყვეტს საკითხს, თორემ მათ ჯერჯერობით საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ. უჭირთ. საშუალო და დაბალი რგოლები იყო და რჩება მთავარ პრობლემად...

**- რამდენიმე თვის წინ თბილისში რუსული ბიზნესფორუმი ჩატარდა და ხმაური უფრო მეტი იყო, ვიდრე მათი რეალური დაინტერესება. ამერიკელი ბიზნესმენების განწყობაზე რას იტყვით?**

- არავის აქვს ილუზია, რომ ადამიანები აქ ჩამოვლენ, ჩაიყოფენ ხელს ჯიბეში და მაშინვე ინვესტიციებს დატოვებენ...

**- რუსებიც ზუსტად ასე ლაპარაკობდნენ...**

- ეს არის პროცესი. ნებისმიერ პროექტს დრო და წლები სჭირდება. გაიხსენეთ, როდის დაიწყო ნავთობსადენებზე საუბარი და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. პატარ-პატარა საქმეების გაკეთება მალე შეიძლება, მაგრამ დიდ პროექტებს გრძელვადიანი პროცესი სჭირდება.

საქმის კეთების მყარი ინტერესი რამდენიმე მიმართულებით არსებობს და - ძალიან ბევრია იმაზე დამოკიდებული, როგორ შეეწყობა ხელი ინვესტიციების განხორციელებას. მერწმუნეთ, თუ საქართველოში მიმზიდველი, პროგნოზირებადი და სტაბილური საინვესტიციო გარემო, ლიბერალური საგადასახადო სისტემა იქნება და მინიმუმამდე დავიყვანთ საგადასახადო განაკვეთებს, ბარიერები მოისპობა და ადამიანს საქმის დაწყება გაუადვილდება.

**- ქართველი ბიზნესმენები როგორ ხვდებიან უცხოურ კაპიტალს?**

- ველი, რომ გარკვეულ ჯგუფებს პროტესტის გრძნობა გაუჩნდებათ. მაგალითისთვის: მსხვილი ამერიკული სადაზღვევო კომპანიის შემოსვლა ნიშნავს, რომ ბიზნესის გარკვეულ სეგმენტს წაიღებს და მათ შემოსავალი დაეკარგებათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ამერიკელები თავად ამბობენ - თუ ქართველები ბიზნესს სწორადააწყობენ, როგორ შეიძლება ქართულ ბაზარზე მათ ვაჯობოთო...

**- ქართველი ბიზნესმენების უმრავლესობა სასათბურე პირობებშია გამოყვანილი და არ არიან მიჩვეულნი კონკურენტულ გარემოში მუშაობას...**

- ეს უნდა დამთავრდეს. ბატონ კახა ბენდუქიძეს ორ განცხადებაში განსაკუთრებით ვეთანხმები - თავისუფალი, თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემო უნდა შეიქმნას და საიდანაც არ უნდა იყოს ჩამოსული, ბიზნესმენს მუშაობის პირობები უნდა შეექმნას. და მეორე - საქართველოში ახალი ბიზნესების დაწყებაა შესაძლებელი. აქამდე უცნობი ბიზნესი რეგულირებისა და მთავრობის მხრიდან გარკვეული წნეხის ქვეშ არ უნდა მოყვეს, თავიდანვე არ უნდა დავახრჩოთ. ინვესტირების პერიოდში (და ეს, მგონი, ახალ საგადასახადო კანონში არის) არ უნდა იყოს დაბეგვრა. მესმის, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და ბიუჯეტსაც სჭირდებათ შემოსავლები, მაგრამ თუ სისტემა სწორად დალაგდება, ეს დათმობა მომავალში ქვეყანას დიდ მოგებას მოუტანს.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"მუუ..."
რეჟისორი: ზურაბ ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ქართული ფოლკლორის თეატრი**
"ნაბადი"
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
დას: 20:00 სთ.

### ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

### გამოფენები

**ძველი გალერეა**
ია გულისაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
"კოლექციიდან კოლექციამდე"

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
L`ART POUR L`ART
პიერ მენდელისა და მენდელი&ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საშემოდგომო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება)

### კინოთეატრები

**მესამე ნიდერლანდურ-ფლანდრიულ-ქართული კულტურის ფესტივალი**
**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
ბელგიური ვიდეოხელოვნების გამოფენა

**კლუბები**
**აჭარა მიუზიქ ჰოლი**
გიორგი ბაქანიძე (ვენა)
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი, გოგონებისთვის – უფასო.
კლუბის გახსნა: 22:00 საათზე

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ვინ არიან ისინი?

სალომე კიკალეიშვილი

*კინოფესტივალ "პრომეთეს" არასაკონკურსო პროგრამის ფარგლებში კინომსახიობთა თეატრში დოკუმენტური ფილმების ჩვენება გაიმართა, რომელშიც საქართველოში გადაღებული, მოკლემეტრაჟიანი და სრულმეტრაჟიანი ფილმები იყო წარმოდგენილი. ყურადღებას თავიდანვე იპყრობდა ინეკე სმიტის დამაინტრიგებელი სათაურის ფილმი "პუტინის დედა", და თავისი თემატიკით - ზაზა რუსაძის "ბანდიტები", რომელიც ქართული საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ მოუშუშებელ ტკივილს – 1983 წლის მოვლენებს, "თვითმფრინავის ბიჭებს" ეხებოდა.*

ახალგაზრდა რეჟისორი ზაზა რუსაძე უკვე რვა წელია, რაც ბერლინში ცხოვრობს. სარეჟისორო განათლება ზაზამ სწორედ იქ მიიღო, მუშაობდა ტელევიზიაში. "ბანდიტები" ზაზასთვის რიგით მესამე, და პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმია. სადიპლომო ნამუშევრის შექმნაში მონაწილეობა "კრედოფილმმა" და ტელეარხებმა: "არტემ", "ერგებელმა" მიიღეს. დღეს ზაზა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარზე იწყებს მუშაობას. მანამდე კი, ალბათ, თბილისში, დიტო ცინცაძესთან ერთად დაწერილი მხატვრული ფილმის გადაღებები დაიწყება.

"ბანდიტები", რომლის თბილისურმა პრემიერამ საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა, ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ, ასევე წარმატებულად იქნა ნაჩვენები გერმანულ-ფრანგულ ტელეარხ "არტეზე" და რამოდენიმე დღე გადიოდა ბერლინის ერთ-ერთ კინოდარბაზში. გარდა ამისა, ფილმი, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ჩიკაგოს, სიეტლის კინოფესტივალებზე, ამჯერად, საკონკურსო პროგრამით გადის ბულგარეთის და უნგრეთის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ფესტივალებზე.

ფილმის ისტორია აეროპორტში იწყება და იქვე მთავრდება, ისევე როგორც 1983 წლის 18 ნოემბერს, შვიდი ახალგაზრდა ქართველისთვის, ექვსი ბიჭისთვის და ერთი გოგოსთვის, რომლებიც სოციალისტური წყობის სივრცის გარღვევას კედელზე დახატული ამერიკის დროშით და Freedom-ის (თავისუფლება) სიმბოლოებით ოცნებობდნენ. ვინ არიან ისინი? თავისუფლებაზე მეოცნებენი, კომუნისტური სისტემის მსხვერპლნი, თუ უბრალო ტერორისტები, რომლებმაც 18 ნოემბერს, თხუთმეტ საათსა და ორმოც წუთზე ბათუმის მიმართულებით გაფრენილი თვითმფრინავის ეკიპაჟი მძევლად აიყვანეს? ამაზე ცალმხრივი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ამაზე პასუხის გაცემას არც ზაზა ცდილობს.



*გეგა კობახიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტო ირაკლი ჩარკვიანთან და გია მირზაშვილთან ერთად.*

**"ეს არ არის ჟურნალისტური გამოძიება, რომელსაც რაიმე პოლიტიკური სარჩული ექნებოდა. მე საერთოდ არ მაინტერესებს, თუ ვინ არის დამნაშავე. რევოლუციის დროს, როცა ფილმი უკვე მზად მქონდა, ბევრი ჩემი მეგობარი მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ სწორედ ახლა იყო ფილმის გაშვების დრო, მაგრამ მე კატეგორიულ უარზე ვიყავი, რადგან ეს ფილმი არც შევარდნაძეზეა და არც დამნაშავის ძებნაზე, გამოძიებაზე. ეს არის შეკრებილი დოკუმენტური მასალა, საქართველოს უახლეს ისტორიაზე, ეს არის გაანალიზება, ჩემი, თავისუფალი პერსპექტივიდან დანახული ამბავი. ამიტომაც იწყება ფილმი, აეროპორტში, პასპორტში ბეჭდის ჩარტყმით, იმიტომ რომ, მე ის თაობა ვარ, რომელიც თავისუფლებაში დაიბადა. სწორედ ამ კუთხით მინდოდა გამეანალიზებინა ყოველივე. სადაც განსაკუთრებით რთული, ზღვარის დაცვა იყო, რომელიც დანის წვერზე სიარულს ჰგავდა. რადგან არავისთვის მინდოდა, მომეხვია ჩემი, სუბიექტური აზრი. ფილმის გმირების მიმართ, არ ვმალავ, რომ დიდი სიმპათიები გამაჩნია. თუმცა, აქვე იმასაც ვამბობ, რომ ჩემთვის ყოვლად მიუღებელია, იარაღის და ძალის გამოყენებით შეეცადო საკუთარი სურვილების ახდენას"** – ამბობს პრემიერის შემდეგ ფილმის რეჟისორი.

მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ზაზამ ამ ფილმში შეძლო დაეცვა ზღვარი და ყოფილიყო მაქსიმალურად ობიექტური. თემა, რომელიც პოლიტიკური ქვეტექსტებით ხშირად აუღერებულა ქართულ საზოგადოებაში, ძირითადად, ერთიდაიმავე საკითხს უტრიალებდა – ვინ არის დამნაშავე უმაღლესი სასჯელის უსწრაფესი სიჩქარით აღსრულებაში? სრულიად უდანაშაულო მამა თეიმურაზის სიკვდილით დასჯაში? ვის ნამუსზეა საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთ-ერთი ფრიადზე შესრულებული დავალება? მაგრამ ფილმის რეჟისორს ეს არ აინტერესებს, ისევე როგორც, ალბათ, იმ მშობელს, რომელსაც 21 წლის მანძილზე ვერ უპოვია შვილის ნეშტი. რომელიც მთელი ხუთი წელი, ყოველ დღე ელოდებოდა ტელეფონის ზარს, ან თუნდაც საიდუმლოდ, ვიღაცისგან, ათასგვარი ჭორიდან ერთ-ერთის მაინც დადასტურებას, რომ ისინი ჩუმად შეიწყალეს, რომ ისინი სადღაც გადაასახლეს. ზაზას ფილმში არ არიან მითად ქცეული, "შელამაზებული" სენტიმენტალური ისტორიის გმირები. ის გიჩვენებს ორივე მხარეს - დედას, რომლისთვისაც მისი გამტაცებელი შვილი საამაყოა, მის მეგობრებს, ერთადერთ გადარჩენილ ადამიანს თინა ფეტვიაშვილს, მის ორად გახლეჩილ ცხოვრებას, მოუშუშებელ წარსულს, ამ ტრაგედიის ყველასათვის უცნობ კიდევ ერთ მსხვერპლს – მამა თეიმურაზის ქალიშვილს, რომელსაც არასდროს დაავიწყდება კარში, უცხო ბიძების თანხლებით, უკანასკნელად დანახული მამის თვალები. მაგრამ, ამ დროს, ხედავ თვითმფრინავის დაცხრილვისას დაღუპულ პილოტთა პანაშვიდს, შემთხვევით გადარჩენილ რამოდენიმე მგზავრს, ვისთვისაც გაუგებარია, რატომ უნდა ერქვას დღეს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას სოსო წერეთლის სახელი, ან რატომ უნდა საუბრობდნენ ამდენს, უბრალო ტერორისტებზე. ჩვეულებრივ, შეიარაღებულ ბანდიტებზე. "ბანდიტებზე", როგორც ერქვა 1983 წლის 18 ნოემბრის საღამოს ლურჯი ფარდის წინ მოკალათებულ, პათეტიკური ტექსტით გამოსულ ტელეწამყვანის სპეციალურ გადაცემას – კადრი, რომელიც სამუდამოდ ჩარჩა, მაშინ ჯერ კიდევ პატარა, 6 წლის ზაზას. **"ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც დღევანდელი გაგებით "ვარსკვლავები" იყვნენ. გეგა ვარსკვლავი იყო, რომელიც მახსოვს ტელევიზიიდან, მისი შესრულებული როლებით. ამიტომაც ჩემი ფილმის გმირები, ორნი არიან - გეგა კობახიძე და თინა ფეტვიაშვილი, რომელიც დამთანხმდა მონაწილეობა მიეღო და გეგას დედასთან, ქალბატონ ნათელა მაჭავარიანთან ერთად, მასთანაც ჩამეწერა ინტერვიუ"**. გეგა, ტრაგედიის დროს, თენგიზ აბულაძესთან "მონანიებაზე" მუშაობდა, თუმცა მაყურებელმა თორნიკე არავიძის სახე მერაბ ნინიძის შესრულებით იხილა. მე, ნამდვილად არ ვავლებ პირდაპირ პარალელებს, მაგრამ ასოციაციები ჩნდება აბულაძის ახალგაზრდა გმირთან, გეგას ვერშექმნილ ტრაგიკულ სახესთან, რომელიც ერთადერთ გამოსავალს "მამათა ცოდვიანი" სივრცისგან თავის დასაღწევად – თვითმკვლელობაში პოულობს. "თვითმფრინავის ბიჭებმაც" იციან, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ამ ნაბიჯს, მაგრამ სურვილი ამ "დამყაყებული სივრცის" გარღვევისა, აქაც ძალიან დიდი იყო.

ფილმში გამოყენებულია დოკუმენტური კადრები, სასამართლოს ჩანაწერები, რომლის მოპოვებაც შევარდნაძის მმართველობის დროს ცოტა ძნელი იყო გერმანიაში მცხოვრები, დროდადრო, მასალების მოსაძიებად ჩამოსული ახალგაზრდა რეჟისორისთვის. სამწლიანი მუშაობის პროცესი, არქივებიდან თუ ინტერვიუებით შეგროვილი უამრავი მასალა, კამერებით და ფოტოაპარატით გადაღებული, შემდეგ კი სახლში გაშიფრული 21 ტომი, შავ-თეთრი წარსულის შავ-თეთრი ფოტოები, ნაწყვეტები ბედნიერი ახალგაზრდობის დროიდან, სასამართლოს სასჯელის გამოტანის შემდეგ, "ბანდიტების" გაყინულ, შეშინებულ თვალებში ჩახედვა... ფილმი, თითქმის ერთი საათი აბსოლუტურ სიჩუმეში მიმდინარეობდა. ერთი საათი უყურებდა მაყურებელი დინამიკურად აწყობილ, შემზარავი წარსულის კადრებს. და თითოეული მათგანი თავისთვის ცდილობდა გაეანალიზებინა - ვინ არიან ისინი? ჩვეულებრივი ავარდნილი, ქუჩის ბიჭები, თუ თავისუფლებაზე, უკეთეს ცხოვრებაზე მეოცნებენი?

**P.S.** შესაძლებელია, ფესტივალის დამთავრებისთანავე, კინოთეატრმა "ამირანმა" საჩვენებელი ფილმების პროგრამაში ჩართოს ზაზა რუსაძის "ბანდიტები", რითიც უამრავ მსურველს, რომელიც კინომსახიობთა თეატრის პატარა დარბაზმა ვერ დაიტია, ფილმის ხილვის საშუალება მიეცემათ.

# იუბილარი ინსტიტუტი

სალომე კიკალეიშვილი

*გოეთეს ინსტიტუტმა საქართველოში თავისი არსებობის 10 წლის იუბილე მრავალფეროვანი ღონისძიებებით, პრეზენტაციებით და ვიდეოჩვენებებით აღნიშნა.*

მთელი დღის მანძილზე, გოეთეს ინსტიტუტში, სადაც დილის 11 საათიდან დაწყებული, საიუბილეო პროგრამა გვიან დაღამებამდე გაგრძელდა, ხალხმრავლობა იყო. ღია კარის დღე, რომელიც დღის პირველ მონაკვეთში გაიმართა, უამრავი საინტერესო ღონისძიებით იყო დატვირთული. ინსტიტუტის დარბაზში, ფოიეში, საინფორმაციო ცენტრსა თუ ეზოში, სხვადასხვა სახის პრეზენტაციები და ჩვენებები იმართებოდა: ეკონომიკური ლექსიკონი, გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით გამოცემული წიგნები, გერმანულენოვანი ლიტერატურის და სახელმძღვანელოების Tangram და em-ის პრეზენტაცია. საინფორმაციო ცენტრში კი პატარა კონკურსი მოეწყო, სადაც კონკურსანტებს, რომელთა რიცხვმაც ორგანიზატორების მოლოდინს გადააჭარბა, 10-კითხვიანი ტესტების შევსება ევალებოდათ: გოეთეს ინსტიტუტზე, ზოგადად გერმანულ კულტურაზე. გამარჯვებულები კი, რომელთა ვინაობაც რამოდენიმე დღეში გაირკვევა, ცენტრის ენის შემსწავლელი უფასო კურსით, საინტერესო წიგნებით და სხვადასხვა სუვენირებით დაჯილდოვდებიან. სანამ ცენტრში ერუდიციასა და ცოდნაზე გათვლილ ტესტებზე ფიქრობდნენ, იქვე, ოთახში პატარა ბავშვებისათვის ხელმარჯვეობის გაკვეთილი ტარდებოდა, სადაც ნორჩი ხელოვანები თავიანთი შემოქმედების ნაყოფს - პატარა დოქებს, ნაირნაირად ალამაზებდნენ.

თუმცა, გოეთეს ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საიუბილეო საღამო, არა მარტო გერმანული ენის მცოდნეთათვის იყო განკუთვნილი, არამედ თანამედროვე ხელოვნების, კინოს, მუსიკის მოყვარულთათვისაც.




*გერმანიის ელჩი უვე შრამი.*

"ჩვენ ცოტა შევცვალეთ დაგეგმილი საზეიმო პროგრამა, ჩვენი თანამშრომლების ტრაგიკული დაღუპვის გამო" – სევდიანი ნოტით გახსნა საღამო, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა უვე რიკენმა, რომელმაც გაიხსენა თავისი პირველი, 1996 წლის არც ისე სასიამოვნო სტუმრობა თბილისში.

გერმანულ-ქართული ურთიერთობების 200 წლოვან ისტორიაზე ისაუბრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში - უვე შრამმა; ილია ჭავჭავაძის სახელობის, დასავლური ენებისა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორმა - იური მოსიძემ; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა - ირაკლი ღარიბაშვილმა; მედია-არტ ფირმის ხელმძღვანელმა - ვატო წერეთელმა. ერთადერთი, რაც წინასწარ დაგეგმილ საღამოზე შეიცვალა, ეს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილის გამოსვლა იყო, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, ბოლო წუთში ვერ გამოცხადდა გახსნაზე.

საღამოზე გამართულ კონცერტში მონაწილეობდა ჩასაბერ საკრავთა სეპტეტი საქართველოდან, რომელმაც ბეთხოვენის, ბრამსის, გერშვინის სიმფონიები შესთავაზა მსმენელს. აქვე მოვისმინეთ ბახის სიმფონიები პოტსდამის, ი.ს. ბახის სახელობის სახელმწიფო ჩასაბერ საკრავთა კვინტეტისგან. გარდა ამისა გაგრძელდა კინოფესტივალ "პრომეთეს" პროგრამით გათვალისწინებული, რეჟისორისა და მსახიობის, მუნჯი პერიოდის გერმანელი "ჩარლი ჩაპლინის" კარლ ვალენტინის ფილმების ჩვენება. გუშინ მაყურებელმა 1923 წელს, კლაუს ედერის ფილმი "სადალაქოს მისტერიები" უჩვენა, თუმცა ყოველივე ამაში ყველაზე სასიამოვნი ის ფაქტი იყო, რომ ფილმმა, როგორც ეს იმ დროის ანუ 20-იანი წლების კინოდარბაზებში ხდებოდა, ცოცხალი მუსიკის თანხლებით ჩაიარა. ინსტიტუტის ფოიეში გამოფენილი იყო უზარმაზარი სარეკლამო პლაკატები, სათაურით "L`ART POUR L`ART" ("ხელოვნება ხელოვნებას") პიერ მენდელის და მენდელ-ობერერის ბიუროს ნამუშევრები; 1961 წელს მიუნხენში დაარსებულმა სტუდიამ, რომელიც ახალი სარეკლამო კონცეფციების შექმნაზე, პლაკატების, წიგნისა და შესაფუთი მასალის გაფორმებაზე მუშაობს, წარმოადგინა სხვადასხვა სიუჟეტის, შინაარსის, ფერთა კონტრასტის უზარმაზარი ნამუშევრები. გადატვირთული, აბსოლუტურად "კულტურული" დღის შემდეგ, საღამო გერმანული ექსპერიმენტალური ვიდეომუსიკით დასრულდა.

# ჰომეროსი დღესაც პირველია



გუშინ ბრიტანელებმა პოეზიის ეროვნული დღე აღნიშნეს. დღესასწაულთან დაკავშირებით კი "ამაზონის" ბესტსელერთა ნუსხაც გამოაქვეყნეს. გაირკვა, რომ თანამედროვეობის ყველაზე პოპულარული პოეტი ბერძენი ჰომეროსია. მისმა "ილიადამ" და "ოდისეამ" ხომ საუკეთესოთა ჩამონათვალში პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს.

ჰომეროსის პოპულარობას ჟურნალისტების ნაწილი ჰოლივუდური ბლოკბასტერის "ტროას" გამოსვლას აბრალებენ, რომელიც "ილიადას" მიხედვითაა გადაღებული.

"წელს კლასიკური ბერძნული ეპიკური პოეზიის დიდი აღმავლობა შეიმჩნევა, და იძულებულები ვართ, ეს ე.წ. "ტროას ეფექტს" მივაწეროთ", - აცხადებს "ამაზონის" წიგნების განყოფილების მთავარი რედაქტორი ფიონა ბაქლენდი და იქვე დასძენს: "არ ვიცი, რას დავაბრალო ეს, ფილმში სიუჟეტის შესანიშნავ თხრობას, თუ ქვედაბოლოში გამოწყობილ ბრედ პიტს, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჰომეროსის ნაწარმოებები ძალიან კარგად იყიდება".

ბესტსელერი ლექსების სიაში მესამე ადგილზე პოლ კუქსონის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო მოდის, სათაურით – "ნაწარმოებები: ნებისმიერი სახის ლექსი, რომელიც ოდესმე კი დაგჭირდებათ ლიტერატურული საათის დროს".

მეოთხე ყველაზე პოპულარული წიგნი გამოდგა როალდ დალის "საზიზღარი რითმები", მეხუთე ადგილზე კი კრისტოფერ მეთიუსის კრებული გავიდა – "ახლა ჩვენ 60 წლის ვართ".

საუკეთესო ათეულში ჰომეროსის გარდა კიდევ რამდენიმე აკადემიური გამოცემა შევიდა. მათ შორის: ჯონ მილტონის "დაკარგული სამოთხე" და "დაბრუნებული სამოთხე", ასევე დანტეს "ღვთაებრივი კომედია".

პოეზიის ეროვნული დღე კი ბრიტანეთში ფრიად გასტრონომიულად გაიმართა. მას შემდეგ, რაც ტრადიციად იქცა, ლექსის დღესასწაული ერთი კონკრეტული თემის გარშემო გაემართათ, წელს ამგვარ თემად საკვები აირჩიეს. შესაბამისად, მთელი ბრიტანეთის მასშტაბით დაიგეგმა სახალისო ღონისძიებები, რომლებიც აერთიანებდა გემრიელ კერძებს, ინგრედიენტებს და ლექსებს. ღონისძიებებში ცხადია პოეტებიც იღებდნენ მონაწილეობას და თანაბარი აზარტულობით საუბრობდნენ კულინარიასა და პოეზიაზე.

# რუსულად დანახული "გოდორი"

*"ამ რომანის გამოქვეყნებით, ჟურნალმა მაღლა ასწია სამყაროს მხატვრული გათავისების თამასა. ასეთი ნაწარმოების შემდეგ ჟურნალის პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე განუზომლად იზრდება".*
*"ჩვენ ეროვნული გამოფხიზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება".*
*"ვერც ერთი თანამედროვე პოეტი ვერ შეედრება მას იმ საკვირველი მუსიკით, რომელიც ორიგინალურ აზრთანაა შერწყმული".*
*"ის თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალია".*

ეს გახლავთ ციტატები რუსულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებიდან გამორჩეული ქართველი პროზაიკოსის ოთარ ჭილაძის უკანასკნელი რომანის გოდორის" შესახებ, რომელიც "რუსთავი 2 პრინტმა" გამოსცა 2003 წელს. გთავაზობთ წერილებს სრული სახით.

**სტანისლავ რასადინი**
**რეპორტაჟი ტრაგედიის წიაღიდან**
"ნოვაია გაზეტა" N23, 2004 წ.

უხერხულია, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო: ოთარ ჭილაძის "გოდორის" პირველმა ფურცლებმა ("დრუჟბა ნაროდოვი" N3 და N4, ალექსანდრე ებანოიძის შესანიშნავი თარგმანი) საგონებელში ჩამაგდო. ცოტა შემაწუხა კიდეც. რითი და - მკაცრი დამოკიდებულებით რუსეთის როლისადმი საქართველოს ცხოვრებაში. ამასთანავე, დღევანდელი კი არა, საერთოდ, ძველთაძველი, ასე ვთქვათ, თავდაპირველი როლისადმი. იქნებ ეს, დასწყევლოს ღმერთმა, ყბადაღებული რუსოფობიაა?

გულისწუხილით აღვნიშნავ: აი, რა გვიქნა - ამ შემთხვევაში მე - უკანასკნელი წლების გაუცხოებამ, რამაც კიდევ უფრო ეჭვიანები გაგვხადა ყველანი. მაგრამ ხომ იყო დრო, როცა მეტი გაგებით ვეკიდებოდი, ესე იგი, ნორმალურად აღვიქვამდი იმავე ჩემი მეგობრის, ოთარის განსხვავებულ აზრს, ვთქვათ, საქართველოს მკაცრი კაპიტალიზაციისა და კოლონიზაციის გეგმის ავტორის, გრიბოედოვის მიმართ. ხომ შემეძლო მშვიდად, თუმცა, ალბათ არც მთლად დაუეჭვებელი თანხმობით, მესმინა ძმები ჭილაძეების, თამაზისა და ოთარის მსჯელობისთვის, დაახლოებით იმის თაობაზე, რითაც რომანი იწყება, ანუ, ავტორის გულისტკივილზე, რომ ექვსასი წლის წინ, "როცა რომის პაპმა პიომ ბიზანტიიდან ოსმალების განდევნა განიზრახა" და კაციც აფრინა საქართველოში, მისგან დახმარების იმედით, ოდესღაც რაინდული კეთილშობილებით განთქმული ქვეყანა უკვე აღარ არსებობდა. მონღოლის ულღელმა დაშალა და წაახდინა საქართველო. ერთი გზა დაუტოვა მხოლოდ... და უთქმელადაც ცნობილია, საით და ვისკენ მიდიოდა ის გზა.

თუმცა, ამ რომანის, ჩვენს სიტყვიერებაში ამ უეჭველი მოვლენის მშვიდი აღქმა მაინც გამორიცხულია. ამის უფლებას არც რომანი მოგვცემს და არც მისი წარმომშობი რეალობა.

ერთსაც გავიხსენებ. ერთხელ შესანიშნავ ჭაბუა ამირეჯიბს შევეკამათე. მისი აზრით, საქართველოზე არ უნდა გვემსჯელა იმ ნაძირალების მიხედვით, რომლებმაც იმავე გრიბოედოვის საფლავი შებილწეს. ჩვენ ხომ არ ვმსჯელობთ რუსებზე იმის მიხედვით, ვინც ბაგრატიონის საფლავი ააფეთქაო. ჰოდა, სულ ტყუილად არ მსჯელობთ-მეთქი, ბატონო, შევეპასუხე მე: ჩვენ მართლა სხვანი გავხდით, ჭეშმარიტად შევიცვალეთ, რაკი ჩვენსავე რუს ყმაწვილებს შეუძლიათ ფეხბურთის ბურთივით ათრიონ ბოროდინოს ველზე 12 წლის გმირთა თავის ქალები.

ასევეა საქართველოშიც... სადღაა ლეგენდა მიწიერ სამოთხეზე, თუკი თვით ოთარ ჭილაძეს, თავგამოდებულ თბილისელს, დღეს შეუძლია რომანის პერსონაჟზე თქვას, "თბილისურად, თბილისური სისასტიკით და დაუნდობლობით" იყო ნაცემიო.

საქართველოს საუკეთესო პროზაიკოსმა საზარელი რომანი დაწერა. ალბათ უცნაურიც. უთუოდ. ხუმრობა იქით იყოს და, აი რომანის ცენტრალური მოვლენა: ორმოცდაათი წლის რაჟდენ კაშელს "კაცუნა" ანტონის ცოლი, თავისი რძალი ლიზიკო ცხოველურ ჟინს აღუძრავს, ლიზიკოს კი, თავის მხრივ, მამამთილი "არაჯანსაღი სიყვარულით" შეუყვარდება. ღმერთო! ჩვენს სოროკინ-ეროფეევს რომ დავანებოთ თავი, დასავლეთის ლიტერატურაში და კინოშიც ინცესტი მხოლოდ მასალაა ფსიქოანალიზისთვის, აქ კი... აქ თავად ინცესტი არ ყოფილა. ან იქნებ იყო? დანამდვილებით ერთი რამაა ცნობილი: ვნებით შეპყრობილმა მამამთილმა რძალს გაშიშვლებულ მხრებზე ხელები ჩამოადო, ლიზიკომ ვნებები გადაიჭრა და ჭკუიდან გადაცდა, ანტონმა მამას ნაჯახი მოუღერა...

თუმცა, სჯობს გავჩერდეთ. ჭილაძე თითქოს მხოლოდ იმას ცდილობს, როგორ აგვიბნიოს თავგზა. რომანი მონოლოგების ჯაჭვია, სხვადასხვა ცნობიერებათა წყვეტილი ნაკადია, რის გამოც ამ მსუყე, მეტაფორული პროზის კითხვა მაინცდამაინც ადვილი არ უნდა იყოს სულსწრაფთათვის და სუსტი ნერვების პატრონებისთვის. მკითხველი ლაბირინთის ხან ერთ ჩიხში იკარგება, ხან მეორეში. გააჩინა თუ არ გააჩინა ლიზიკომ ბავშვი? თანაც რისგან - ამ წყეული შეხებისგან? ანტონმა მართლა აღმართა ნაჯახი? და ა.შ.

პასუხი არ არის - თუმცა, მიხვედრა შეიძლება, ისევე როგორც ეროვნული, ისტორიული ტრაგედიის ასახსნელ კითხვებზე გასაცემი პასუხებისა.

გავბედავ და ვიტყვი: მხოლოდ ძლიერი შემოქმედია უფლებამოსილი, იყოს სწორხაზოვანი. როცა საერთო რღვევა ოჯახურ განხეთქილებაშიც იჩენს თავს: "ყველაფერი აირია სახლში" იმას ნიშნავს, რომ იგივე ხდება სამყაროშიც. როცა სისხლის აღრევა, თუნდაც მოჩვენებითი, შეიძლება იმის ანალოგად გამოდგეს (არ გაგეცინოთ!), თუ რა უხეშად ხმარობს ხელისუფლება ოპოზიციას. როცა ელიზბარის უძლურება, უძლურება მწერლისა, რომელმაც ლექსების წერას დაანება თავი (დროის ნიშანია) და პამფლეტების თხზვა დაიწყო, პირდაპირ ასოცირდება "საერთო ეროვნულ ულონობასთან", "ექვსასწლიანი წყვდიადისა და უძრაობის" შედეგთან.

"მეომარი ხალხი ვართო, გავიძახით და, მართლაც, ნებისმიერ ტილიან ქართველს დაედება ფასი, ოღონდ, შავ ბაზარზე, როგორც სარეცხის სოდას, კბილის პასტას, პრეზერვატივსა და შავ პილპილს... ახლა, ხელისუფლებისგან წახალისებული და სახელმწიფო რანგში აყვანილი ქურდობაც დაუმატეთ ამას..." - ეს ფრაგმენტი რაჟდენის "ცნობიერების ნაკადიდან" არის ამოგლეჯილი, რაჟდენისა, ყოფილი პარტოკრატისა და ამასთან ერთად, მთელი საქართველოს "გამკაშელებლისა", ნახევრად მითიური არსებისა, განსაკუთრებით მის გენეალოგიასაც თუ გავითვალისწინებთ, თითქოს დრაკონებითა და მაქციებით გაძიძგულ ეპოსიდან გადმოსულს. მაგრამ, არსებითად, იმავეს ამბობს ინტელიგენტი ელიზბარიც: "საქართველომ რომ ერთი ცხოვრება მოათავა... იმის მერე მსოფლიო ათასჯერ გადანაწილდა და მხოლოდ იმის გამო, ერთხელ კიდევ რომ მიეცა იმპერიის უკანა ნაწლავიდან ცხოვრებაში დაბრუნების შანსი, არავინ ჩაიჩოჩებს, არავინ დაუთმობს ადგილს. უმალ ბენზინს მოასხამენ და დაწვავენ, ჭირიანის ლოგინივით..."

და ეს ყოველივე, ოთარ ჭილაძის "პუნქტირის" თანახმად, ექვსი საუკუნის წინანდელი შეცდომის გამო ხდება? ერთადერთი (!) შეცდომისთვის? მიდი და გაარკვიე - ასეა თუ არ არის ასე?

არა მგონია, მთლად ასე იყოს. და ეს არც არის მნიშვნელოვანი. როცა ჩვენი კაპიტანი ლებიადკინი აცხადებს: Россия сударыня есть игра ума, не более - ის უბრალოდ გამოთქვამს ჭეშმარიტებას, რომელსაც ნებისმიერი მხატვარი ადასტურებს; და რაც უფრო დიდია მხატვარი, მით უფრო თვალსაჩინოა ჭეშმარიტებაც. გარდუვალი ანგარიშსწორების იდეა და არა ჩადენილი შეცდომების შეჯამება - აი, რა ტანჯავს მხატვარ ოთარ ჭილაძეს და მაშინაც ეს ტანჯავდა, როცა პირველ რომანს - "გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (1973) - წერდა. ეს არის რომანი-მითი, სადაც, შურისძიების ჟინით შეპყრობილი, თავად ზღვა მიიპარება ვანიდან და მის ადგილას კოლხეთის ჭაობები ჩნდება. არც "გოდორში", როგორც იტყვიან, "თანამედროვე ცხოვრების ამსახველ რომანში", გაურბის ლიზიკო ტყუილად ახლობელთა თანაგრძნობას, "როგორც ორესტეა სისხლისმსმელ ერინიებს".

მართლაა შეცდომა ჩადენილი ათასწლეულების წინ? ვის შეუძლია დაბეჯითებით იმსჯელოს ამაზე, მით უფრო, რომ "ექვსსაუკუნოვანი წარსული" ნებისმიერი მოვლენის მითოლოგიზირებას ახდენს?! მთავარია, თითქმის ანტიკური ბედისწერა, სიმძიმედ რომ აწევს "უბედურ ქვეყანას" - აი, რომანის ცენტრისკენული ძალა.

ცენტრისკენული და არა ცენტრიდანული.

თავის პირველ რომანში ოთარ ჭილაძე თავგამოდებული ტრაგიკოსია, ამ ახალ ნაწარმოებში კი ქართველი ესქილე ტრაგედიის შიგნით იმყოფება, მონოლოგების, ნაკადების სიღრმეშია შეხიზნული და არც ცდილობს მათზე ამაღლებას. სხვას არც უნდა ველოდეთ დღეს მისგან. უტოპია იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ის მოინდომებდა და შეძლებდა კიდეც მთების სიმაღლიდან ეთვალთვალა ქართულ-აფხაზური კონფლიქტისთვის, ვთქვათ, როგორც ლერმონტოვი მოიქცა "ვალერიკში".

...შეშლილ ლიზიკოს, ფინალში, ფართოფარფლებიან, ფარშევანგის ფრთაგაჩრილ ქუდსა და ბროწეულისფერ მოსასხამში გამოწყობილი ლუდოვიკო ბოლონიელი გამოეცხადება, სწორედ ის მეკავშირე, რომელიც ექვსი ასწლეულის წინ გამოგზავნეს, რათა "გონს მოეყვანა" საქართველო და დასავლურ ცივილიზაციას ეზიარებინა.

არის თუ არა ეს იმედის სიმბოლო? თუკი არის, არა კონკრეტულისა, თორემ, სხვაგვარად, იმაზეც შეიძლება შევთანხმდეთ, რომ "უბედური ქვეყანა" წამიერად მოიპოვებს ნაგვიანებ ბედნიერებას, როგორც კი ნატოში ანდა ევროსაბჭოში შეაბიჯებს. მაგრამ ლეგენდებიდან განთავისუფლებულმა საქართველომ აუცილებლად უნდა გაიაროს ურთულესი, მე ვიტყოდი, უსასტიკესი გზა თვითშემეცნებისა, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანშია წარმოჩენილი. უნდა გაიაროს, ისევე როგორც ჩვენ, რომლებსაც ეროვნული გამოფხიზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება.

**ნატალია ივანოვა**
**ჩანაფიქრი და სიდიადე**
"დრუჟბა ნაროდოვ", N4, 2004 წელი

ჩანაფიქრის სიდიადე - ასე განსაზღვრავდა ახმატოვა მთავარს ლიტერატურულ ნაწარმოებში. ის ამის შესახებ, მოგონებების თანახმად, იოსიფ ბროდსკის ესაუბრებოდა. ოთარ ჭილაძე და ბროდსკი ერთი თაობის და ერთმანეთისგან არც ისე შორს მდგომი პოეტები არიან, თუმცა, ქართული არ ვიცი და ჭილაძე მხოლოდ ბრწყინვალე, სიყვარულით შესრულებულ თარგმანებში მაქვს წაკითხული.

ოთარ ჭილაძე მეოცე საუკუნის რუსულ-ქართული კულტურული კავშირების ლეგენდაა. ვერც ერთი თანამედროვე პოეტი ვერ შეედრება მას იმ საკვირველი მუსიკით, რომელიც ორიგინალურ აზრთანაა შერწყმული. ეს კოლხეთის სანაპიროზე, ბიჭვინთის ცნობილ სემინარებზე გამანდეს მთარგმნელებმა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თუმცა, დღეს ძალიან შორეული გვეჩვენება, რაც მაშინ კოლხეთის სანაპიროზე ხდებოდა. ბოლო ათწლეულის მანძილზე ოთარ ჭილაძე ზედიზედ აქვეყნებდა თავის ძლიერ, მსუყედ, პასტოზურად დაწერილ, მოულოდნელი პოეტიკით აღბეჭდილ რომანებსაც. ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ამ ნაწარმოებებს ანალოგი არ მოეძებნებოდა. შეიძლება ლათინური ამერიკის "მაგიურ რეალიზმს" იხსენებდნენ, გამოცანა ის იყო, რომ ოთარ ჭილაძის პროზა იმავდროულად და დამოუკიდებლად გაჩნდა.

ახალ, ბოლო რომანში ოთარ ჭილაძე მკითხველს თითქოსდა ოჯახის ისტორიას სთავაზობს, რომელიც ქვეყნის ისტორიაში გადადის. საქართველო, მისი ბედი ეპოქათა გარდატეხის ჟამს, ხელისუფლების კატაკლიზმები - ყოველივე ეს უეჭველად აღელვებს მწერალს, და შესაბამისად, წიგნის მკითხველსაც. ეს უფრო ეპოსია, ვიდრე რომანი, სადაც მთელი გეოლოგიური პლასტების ტრაგიკული თავმოყრაა, ისტორიული ზვავებია აღწერილი. და ამასთან ერთად, "გოდორი" მაინც ძალზე თანამედროვე წიგნია. ავტორის ეჭვშეუვალ წარმატებად თვითონ სტილი იქცა - დაძაბული "დრაივი", რომელიც მოქმედებას და რეფლექსიას აერთებს და ყოველივე ეს გმირების მუდმივი თანამდევია.

ოჯახური კანონების რღვევა, ინფანტილურობა ახალი თაობისა, რომელსაც აღარ გააჩნია ნამდვილი ვაჟკაცობა - ეს თხრობის შინაგანი სიუჟეტიც არის და გარეგანი ინტრიგაც. ძალადობიდან ინფანტილიზმისკენ. ოთარ ჭილაძის თვალსაზრისი მოვლენებზე სევდიანია, ილუზიას მოკლებული და ფხიზელი. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თვითონ საქართველო, მისი კულტურა და ისტორია, მისი ენა.

ავტორის ისტორიული და თანამედროვე აზრები ერთნაირად მწარეა - შემთხვევით არ აგვირგვინებს რომანს ტემპერამენტიანი ისტორიული მიმოხილვით, რომელიც წყდება დრამატული, სისხლიანი სიუჟეტით ახალი და უახლესი ისტორიიდან. რაც შეეხება რუსეთს... რუსეთი "გოდორში" საქართველოს შთანმთქმელი იმპერიაა, ბოროტი და ხარბი დედინაცვალი. ის ბოროტება კი, რომელმაც თავი იჩინა საქართველოში, თითქოს არსაიდან მოვიდა, მას ბასტარდის სახე აქვს და რუსი ურიადნიკის და მწყემსის ავხორცი ცოლის ცოდვილი ურთიერთობის ნაყოფია.

ოთარ ჭილაძის ისტორიულ კონცეფციაზე შეიძლება გაუთავებლად იდავო, მაგრამ მისი ტკივილი საქართველოს რეალური მდგომარეობის გამო უეჭველია. ოთარ ჭილაძე რისხვით გმობს "სუვენირულ" შეხედულებას საქართველოზე, შეხედულებას უპასუხისმგებლო, თითქოსდა საოცარი, აყვავებული ქვეყნის ცრუ საზეიმო "იმიჯით" გაბრუებული ინტელიგენტისა, სულერთია, საბჭოთა პოეტია ის, თუ რუსი მთარგმნელი. ნაციონალისტურია ჭილაძის რომანი? დიახ, ნაციონალისტურია: ჭეშმარიტი ქართველები იღუპებიან, მაგრამ არ ნებდებიან, სამაგიეროდ, თბილისის არაქართველმა მოსახლეობამ აივნებზე ხალიჩები გადმოფინა და მორთულ-მოკაზმული ელოდება კანონადის დამთავრებას, რათა განჯის კარიბჭესთან დაფა-ზურნით და ცეკვათამაშით შეეგებოს "განმათავისუფლებლებს". ავტორთან სტალინს ნაციონალობა არ გააჩნია - ის წარმოდგება, როგორც ბოროტი ძალა ex machinym. სამაგიეროდ სხვები...

მაგრამ ჭილაძის ნიჭიერება ის არის, იმას რომ ხედავს და წერს, თუ როგორ იმსხვრევა და იფშვნება ქვეყანა და ხალხი საკუთარი უძლურების გამო.

სად არის გამოსავალი? განა შეიძლება, რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟისთვის, მწერალ ელიზბარისთვის ემიგრაციაში წასვლა გამოსავალი იყოს? არა, ის უარს ამბობს თავისი ქვეყნის, ხალხის, ქალაქის მიტოვებაზე... მიტინგები, მხურვალე სიტყვები, სროლები, ომი, სისხლი - მაგრამ ამით არ მთავრდება არც ისტორია და არც რომანი.

**ბორის ევსეევი**
**სიტყვის შემდეგ**
"დრუჟბა ნაროდოვი" N4, 2004 წ.

ის, რაც ჭეშმარიტი სიტყვების შემდეგ ჩნდება, არცთუ იოლი გასარკვევია, ძნელი გამოსათქმელია.

რა შთაბეჭდილებები, გრძნობები, ფიქრები, ასოციაციები შეიძლება დაებადოს რუს მკითხველს რომან "გოდორის" წაკითხვის შემდეგ? ტკბილი სიზმრები ახლა უკვე მიუღწეველ საქართველოზე? შეშფოთება დაკარგული ძმობის გამო? სინანული დაკარგულ დროზე (თავი კი არ უნდა განგვედიდებინა ერთმანეთის წინაშე, უნდა შეგვესწავლა ერთმანეთი), სათნოება, რომელიც სინამდვილემ არ გაამართლა?

რომანის წაკითხვის შემდეგ ყელში ლოდი მომებჯინა.

რატომ? რა არის ამ რომანში?

პირველი და უმთავრესი: ერთ მთლიანობად შენივთებული ისტორია და თანამედროვეობა, თითქოს ისინი მუდამ ერთმანეთისგან განუყოფლად არსებობდნენ.

მეორე: შერწყმა და სრული შესაბამისობა ერთი რომანის სივრცეში რეალობისა და მითისა.

ოთარ ჭილაძემ რომ რომანი-მითი დაწერა, ცხადზე ცხადია. მაგრამ რატომ იქცა რომანი-მითი მრავალ რეალისტურ ნაწარმოებზე უფრო რეალურად, მე მგონი, ასახსნელია. რომანში არის მთავარი: მხატვრული აზრი. და ეს მხატვრულ-მითოლოგიური აზრი "შედგენილობით" ისტორიულ და ფილოსოფიურ აზრზე უფრო სავსეა და ხარისხიანი. მის წიაღში ქვეყნიერების ჭები და მდინარეებია. და თუმცა თვით ჟანრი რომანისა დაიბადა როგორც ფსევდოისტორია, ანუ ისტორია, ოღონდ - ობივატელური შესწორებით, გემრიელი ტყუილით, არშემდგარი სინამდვილის პაროდირებით, ეს მაინც ფსევდოისტორია არ არის. ჭილაძის რომანი საქართველოს და ქართველი ხალხის შესახებ ნათქვამი მაღალმხატვრული სიმართლეა.

განა მე და თქვენ არ ვიცით, რომელ წელს შევიდა საქართველო რუსეთის შემადგენლობაში? მაგრამ ოთარ ჭილაძე ხატავს შესვლის ხალხურ-მითოლოგიურ, "ისტორიული" თვალით ძნელად შესამჩნევ ხვეულებს და ცუდად ხდები იმ ტრაგიკული, მაგრამ გროტესკული სიტუაციისგან, რომელშიც ყოველივე ეს ხდება.

ასეა შემდგომაც ამ რომანში: ყველგან წარმოჩენილია არა "ისტორიული" ფაქტები, არამედ ამ ფაქტების ზნეობრივი ან ფსიქოლოგიური სარჩული, არა მხოლოდ ენა, არამედ სიმბოლური პრაენა. ჰაიდეგერმა ჰოლდერლინზე წაკითხულ ლექციებში თქვა: "ენა ისტორიის შესაძლებლობათა საფუძველია. ენა ისტორიის მანძილზე არ იბადება. ის წინ უძღვის ისტორიას და განსაზღვრავს კიდეც". მით უფრო, ეს ითქმის რომანის ენაზე, მხატვრულ ენაზე. ისტორიის ასეთ "წინამძღვარს" გვაწვდის ჩვენ ოთარ ჭილაძე.

და ბოლოს მესამე: "ძირგამომპალი" გვარის ქრონიკა, გვარისა, რომელიც დიდი ევოლუციის მიუხედავად მაინც წარმოიშვა, თითქოს მის ჯიბრზეც კი, ისეა მოთხრობილი, რომ თმა ყალყზე დაგიდგება. მთავარი გმირი რაჟდენ კაშელი - უჩვეულო გმირია, თუმცა ის რომანის ფიცარნაგზე დიდიხანია მოითხოვს გამოსვლას. ასეთი ადამიანი "კეთილშობილთა ოჯახში" თითქოს არსაიდან არ უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ ეს უხეირო რუსი ჯარისკაცის და ნახევრადშეშლილი ქართველი გლეხის ქალის უზნეო ნაშიერი, როგორც ბოროტების სიმბოლო და იმავდროულად პაროდია ამ ბოროტისა - სულაც არ არის გამოგონილი! ასეთი ადამიანი თავისუფლად შეიძლება შეგხვდეთ დღევანდელი თბილისის ქუჩებში. რაჟდენ კაშელიც "რაინდია", ოღონდ მგლის ტყავში გახვეული.

ყურადღებით თუ დავაკვირდებით, ოთარ ჭილაძის რომანის დასაბამი უფრო პოეზიაშია, ვიდრე პროზაში. რომანის ქსოვილში საგრძნობია ამირანის ეპოსის და საერთოდ ქართული ფოლკლორის ანარეკლი. რა თქმა უნდა, აქვე უნდა გავიხსენოთ "ვეფხისტყაოსანიც". რომანის პროლოგში და ეპილოგში ჩნდება კათოლიკე, რომელიც დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის დროში გვაბრუნებს.

არსებობს აზრი, რომ რუსთაველის გენიალური პოემა სინამდვილეში ლექსად გაწყობილი სარაინდო რომანია. ჭილაძის რომანზე კი შეიძლება ითქვას - ეს საქართველოზე დაწერილი რომანიზირებული პოემაა. ოღონდ, თანამედროვე რომანში ყველაფერი სხვანაირადაა, აქ გაცილებით მეტი ბოროტება და სიყალბეა ჩატეული. თუმცა, ბოლშევიკებმაც ხომ უკან მოიტოვეს გულუბრყვილო მეთორმეტე საუკუნე! ამანაც აიძულა ოთარ ჭილაძე, ზღვრამდე დაეძაბა ატმოსფერო. მაგრამ, მიუხედავად წყვდიადისა და სისხლის სიჭარბისა, ეს რომანიც, როგორც ნამდვილად ტრაგიკულ ტექსტს მოეთხოვება, უკიდურეს წერტილამდე გვამდაბლებს, რათა მაშინვე აღგვამაღლოს.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ის დაძაბული და უკვე უაღრესად თანამედროვე ეროტიზმი, რომელიც უხვად მოედინება "გოდორის" სტრიქონებში თუ სტრიქონებს შორის. რაჟდენ კაშელის და მისი რძლის ლიზიკოს ურთიერთობა რომანის ღერძადაა ქცეული. მათი დანაშაულებრივი სასიყვარულო ზრახვების ირგვლივ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ქსელია გაბმული.

უნდა გავიხსენოთ ის ზღვარსმიღმიდან მქროლი ტალღებიც, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ თვითმფრინავის ფრთიდან აღწევენ ჩვენამდე. ეს ტალღები ახალია, მღელვარე და ახალ ფურცელს შლის სხვა ყოფიერების წიგნში. ჭილაძის ნაწარმოები თანამედროვე რომანის თამასის გადალახვის ცდაცაა. მწერალი ზღვარსმიღმა სიმაღლეებს იღებს და ეს გვინერგავს იმედს. დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ლიტერატურა, ისევე როგორც ხელოვნება, ეჭვისა და ტელეპაროდირების საგნადაა ქცეული, მძლავრი რომანი-მითის, რომანითქმულების შექმნა - რაღაცის მაუწყებელი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა კი იმის მაუწყებელია, რომ ადამიანებს არც საქართველოში, არც გერმანიაში, არც ჩინეთში, არც რუსეთში არ დაუკარგავთ სურვილი და უნარი თავის შიგნით "რომანის ტიპის" გრანდიოზული ნაგებობის აღმართვისა. "დონ კიხოტის" დროიდან ცოტა რამ თუ შეიცვალა. ამიტომ, წიგნიერ მკითხველს უკვე აღარ იზიდავს ულიმღამო სიუჟეტი და ნამში გამოსაცნობი ფსიქოლოგიზმი. კვალიფიციური მკითხველი ეძებს სიღრმისეულ და ახალ შეთავსებებს ეპოსისა და თანამედროვე ენისა, ავანტურისა და წმინდანობისა. ჭილაძის რომანი (ალექსანდრე ებანოიძის ბრწყინვალე თარგმანს რომანის "რუსული ვერსია" შეიძლება ეწოდოს) მკითხველს ამის შესაძლებლობას აძლევს.

და მაინც, ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვანია არა სიტყვა, არამედ ის, რაც სიტყვის მერე ჩნდება. "გოდორის" წაკითხვის შემდეგ ფიქრში ახალი საქართველო წარმოჩნდება. ეს საქართველო თავის წარსულში იყურება და არ ეშინია ამ საეჭვო და საყვარელ წარსულზე ილაპარაკოს.

საქართველო, რაინდობის და ოხუნჯობის, ბალაგანის და კეთილშობილების ტრადიციით, და, ამავე დროს, მტკიცე მზერით წარმოდგება ჩვენს წინაშე.

მას უნდა გავუგოთ.

**ვლადიმირ ოგნევი**
**გვარის ბედი და ერის გზა**

ოთარ ჭილაძე თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალია. ისევე როგორც ადრეულ რომანებში, ის "გოდორშიც" თავისი უნიკალური ხელწერის ერთგული რჩება. სხვადასხვა კრიტიკოსებმა იჩქარეს და წერის ამ მანერას ნაცნობი ტერმინები მიუსადაგეს - "მაგიური რეალიზმი", "რომანი-მითი".

სხვა ავტორებზე ხშირად მარკესის და ფოლკნერის სახელები გაისმოდა. რუსი ლიტერატორისთვის უხერხული იქნება დოსტოევსკის შემდეგ ფოლკნერით "განცვიფრება", გოგოლის ან თუნდაც ტინიანოვის, ან ბულგაკოვის შემდეგ კი - მარკესით. ქართველი ლიტერატორის ზურგსუკან მრავალსაუკუნოვანი მწერლობა დგას, დაუშრეტელი წყარო, საიდანაც შეუძლია მოიპოვოს უნივერსალური მნიშვნელობის ფორმები და იდეები. განა მხოლოდ რუსთაველის პოემა არ არის შემცველი კაცობრიობის ყველაზე მარადიული და მშვენიერი იმედებისა? განა ცურტაველის "შუშანიკის წამებაში" ჩაქსოვილი ორიგინალური, უაღრესად ქართული გაგება ერთგულების, მოვალეობის, მონანიების და სიყვარულის მარადიული თემებისა საუკუნეების წინ არ წარმოჩნდა? ყოველივე ეს ეტყობა სახარებას ეყრდნობოდა, რომელიც უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე. როგორი სითამამეა "ჯალათის" და "მსხვერპლის" საკითხების გადაწყვეტისას? და ეს სარტრამდე და კამიუმდე დიდი ხნით ადრე. მაგრამ ჩვენ გულმავიწყები ვართ და ამიტომ ძალზე იოლად გვეუფლება მოდური სახეები. დროის თვალსაზრისით, ისინი უფრო ახლოს არიან ჩვენთან. სხვათა შორის, ამ პრობლემას ეხება უშუალოდ ოთარ ჭილაძის ახალი რომანი. მაგრამ აქ უფრო ფართო და არსებითი აზრია წინ წამოწეული - გვარის მეხსიერება. გვარი აქ მხოლოდ გენეტიკური აზრით არ არის გამოყენებული. და არც ნაციონალურით. ჩვენ ჩვენშივე უნდა ვეძებოთ კაცთა მოდგმის მეხსიერება.

ამჯერად ჭილაძემ რომანი თანამედროვეობის მასალაზე დააფუძნა - აქ არის დიდი ვნებების გავარვარებული მაგმა, ეროვნული ცხოვრების ტრაგედია საქართველოს ისტორიის გარდატეხის ჟამს.

ჭილაძე ერთგულია თავისი შემოქმედების გამჭოლი თემისა (გვარის ბედი). ის კაშელის ოჯახის და მწერალ ელიზბარის ამბავში ერთმანეთს უპირისპირებს ერის ორ, ერთნაირად უპერსპექტივო გზას. ეს არის უცხო ნების და უცხო ძალის მონობა, სხვადასხვა გარემოებათა უდრტვინველი მორჩილება, ერთი მხრივ და მეორე მხრივ - ხალხის ცხოვრებისეული საყრდენების მოუმზადებელი მსხვრევის ცდა. რევოლუცია, უძრაობა, დემოკრატიულ ძალისხმევათა წინააღმდეგობანი ამ ცხოვრების გარდასაქმნელად, ომი აფხაზეთში, ეროვნული ცხოვრების საფუძვლების რღვევა (რომელიც თანდათან მატულობს) - შთამბეჭდავი ტრაგიკულობით არის გადმოცემული. ჭილაძე დაუნდობელია ეროვნული თვითკრიტიკის დროს. ის ერის ტრაგედიის დამნაშავეებს გარეთ, ქვეყნის მიღმა არ ეძებს - და ეს წარმოშობს მამულიშვილის ტანჯვას, აქ არის მწერლის ძალა. კათარზისი. ავტორი გვტოვებს ჩვენს ფიქრთან ერთად ერის შესაძლებელი (მხოლოდ შესაძლებელი და არა წინასწარგამიზნული) აღორძინების ზღურბლზე და წერტილს არ სვამს...

ოთარ ჭილაძის პროზის მეტაფორული, პოეტური ბუნება უნიკალურია. რომანი "გოდორი" ცნობიერების ნაკადის პოეტური სტიქიის მძლავრი ნაერთია. აქ ავტორის ხმა ზოგჯერ გამოჩნდება, ზოგჯერ კი შეუმჩნევლად იკარგება მისი გმირების ხმათა ჩრდილში, აღწერის მიწიერ საგნობრიობაში, მეტაფორულ მრავალმნიშვნელოვნებაში. ენობრივი პალიტრის გამდიდრებაზე ცალკე უნდა ვისაუბროთ.

"დრუჟბა ნაროდოვმა" ოთარ ჭილაძის რომანის გამოქვეყნებით, მაღლა ასწია სამყაროს მხატვრული გათავისების თამასა. ეს იოლ ცხოვრებას არ უქადის ჟურნალს. ასეთი ნაწარმოების შემდეგ ჟურნალის პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე განუზომლად იზრდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ოთარ ჭილაძე "გოდორის" პრეზენტაციაზე.*

მოკლედ

## ლებრონ ჯეიმსი მამა გახდა



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ამომავალი, თუ გნებავთ, ამოსული ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი მამა გახდა. როგორც ამერიკული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ოთხშაბათს ლებრონ ჯეიმსის მეგობარმა გოგონამ იმშობიარა და ბიჭი შეეძინა. როდესაც ეს ლებრონ ჯეიმსმა შეიტყო, საწვრთნელი ბანაკი დატოვა და შვილის სანახავად წავიდა. ჯეიმსი რამდენიმე დღეს მათთან გაატარებს. გუნდს კი, ალბათ, მომავალ სამშაბათს შეუერთდება და ახალი სეზონისთვის გააგრძელებს მზადებას.

**"ჩემი მთავარი მიზანია, ვიყო კარგი მამა, უკეთესი, ვიდრე მამაჩემი იყო ჩემთვის, -** განუცხადა ლებრონ ჯეიმსმა ჟურნალ Akron Beacon Journal-ს, **- მე არ ვიცნობდი მამაჩემს, არ ვიცოდი, რითი იყო ის დაკავებული. მე ვალდებული ვარ, ჩემს შვილს უმამობა არ ვაგრძნობინო".**

ჯერ უცნობია, თუ რა გავლენას მოახდენს ლებრონ ჯეიმსზე მამის სტატუსი. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში ჯეიმსმა "წლის ახალბედას" ტიტული მოიპოვა. სპეციალისტები თვლიან, რომ შვილის დაბადებამ კარგად უნდა იმოქმედოს ვუნდერკინდის კარიერაზე - ის უფრო მოტივირებული და ჟინიანი იქნება, ვიდრე მანამდე იყო.

## ედი გრიფინსონი მინეაპოლისში გადაბარგდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდმა "მინესოტა თიმბერვულვზმა" თავისუფალ აგენტთან ედი გრიფინსონთან კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ განაცხადა "თიმბერვულვზის" გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ სტეკმა. კონტრაქტის პირობები არ გაშუქებულა - კლუბის პოლიტიკა ასეთია.

2001 წელს, დრაფტზე, "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" გრიფინსონი მეშვიდე ნომრად აირჩია. ნიუჯერსელებმა "ჰიუსტონ როქეთსს" ისე გადასცეს გრიფინსონზე სრული უფლებები, რომ არც ერთხელ არ გამოუყენებიათ მისი შესაძლებლობები. მაგრამ გრიფინსონის სანაცვლოდ ჰიუსტონელებმა ნიუჯერსელ ბადეებს მომდევნო დრაფტზე სამი კალათბურთელის არჩევის უფლება მისცეს. გაცვლა არც ისე მომგებიანი იყო ჰიუსტონელებისთვის. 22 წლის გრიფინსონი ჰიუსტონელთა რიგებში ორი სეზონის განმავლობაში თამაშობდა. ამ ორ სეზონში მან 150 მატჩი (90 სასტარტო ხუთეულში) ჩაატარა. ის ერთ შეხვედრაში საშუალოდ 8,7 ქულას, 5,8 მოხსნას და 1,63 ბლოქ-შოტს აკეთებდა. ედიმ თავისთვის სარეკორდო 25 ქულა 2001 წლის 20 დეკემბერს, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩში გააკეთა.

გრიფინსონის "თიმბერვულვზში" გადასვლას გარნეტმაც გაუკეთა კომენტარი: "მის წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი. ჩვენ გვჭირდება ისეთი ენერგიული კალათბურთელები, როგორიც ედია. ვფიქრობ, ჩვენს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდება და, რაც მთავარია, ის ჩვენ, უკვე თავის გუნდსაც, დაეხმარება გამარჯვებების მოპოვებაში. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ძალიან ფიცხია. სწორედ ამიტომ გაწყვიტეს მასთან კონტრაქტი ჰიუსტონელებმა". რა შედეგს მოუტანს გრიფინსონი "მინესოტა თიმბერვულვზს", ძალიან მალე ვნახავთ.

## „პარიზ ბასქეთ რეისინგი" ტონი პარკერისაა

"სან-ანტონიო სფურზის" ფრანგი ლეგიონერი ტონი პარკერი პარიზული საკალათბურთო კლუბის "პარიზ ბასქეთ რეისინგის" თანამფლობელი გახდა. როგორც ტეხასური გაზეთი "სან-ანტონიო ექსფრეს ნიუზი" აცხადებს, პარკერის კომპანიონი მისივე აგენტი მარკ ფლეისერია. ტონი პარკერმა სწორედ "პარიზ ბასქეთ რეისინგის" რიგებში დაიწყო თავისი პროფესიული კარიერა, რის შედეგადაც, თქვენ თვითონაც კარგად ხედავთ, რამდენს მიაღწია. სხვათა შორის, მარკ ფლეიშერი რუსი ანდრეი კირილენკოს აგენტიც არის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პარკერს და ფლეიშერს ფრანგული კლუბის ყიდვა სულ რაღაც 250 ათასი დოლარი დაუჯდათ. ტონი პარკერი, როგორც ჩანს, სერიოზულად მოეკიდა კლუბის მომავალს და უკვე დაიწყო იმ კალათბურთელთა შერჩევა, რომლებიც "პარიზ ბასქეთ რეისინგის" ღირსებას დაიცავენ. ფრანგი ამბობს, რომ ფინანსური მხარე მას არ ეხება, ეს ფლეიშერის პრეროგატივაა. პარკერმა გუნდიდან გაუშვა კლუბის ლიდერი ლორენ სკიარა. ფრანგმა სკიარას გუნდიდან გაშვება ასე ახსნა: "სკიარა ყოველთვის გუნდის ლიდერი იყო, თუმცა, მისი შენახვა კლუბს ძალიან ძვირი უჯდებოდა. ახლა, როდესაც კლუბს მე ვხელმძღვანელობ, არ მაქვს იმის საშუალება, რომ სკიარა შევინახო. ის ძალიან კარგი კალათბურთელია და დარწმუნებული ვარ, იპოვის ისეთ კლუბს, რომელიც მას ისეთ პირობებს შესთავაზებს, როგორიც მას სურს". მართალიც არის, სკიარათი უკვე დაინტერესებულია კაუნასის "ჟალგირისი".

რაც შეეხება თავად პარკერს, ტეხასელ ჩლიქებს ჯერ კიდევ არ შეუთავაზებიათ ახალი კონტრაქტი. სატრანსფერო ფანჯარა კი 31 ოქტომბერს იწურება. ტონი პარკერის აზრით, მას, "სან-ანტონიო სფურზი" აუცილებლად შესთავაზებს წინადადებას, რომელიც მათ თანამშრომლობას კიდევ რამდენიმე წლით გაახანგრძლივებს.

## ჯამალი და „ნიქსი"

"ამ გუნდში მოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ სახლში ვარ", -განაცხადა ჯამალ კროფორდმა, რომელიც "ჩიკაგო ბულზიდან" "ნიუ იორკ ნიქსში" გადავიდა. როგორც იცით, შარშანდელი სეზონი ჩიკაგოელთათვის ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში. ჩიკაგოელმა ხარებმა ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გუნდის სახელი დაიმსახურეს. ეს კი ჯამალ კროუფორდს, ძალიან პერსპექტიულ კალათბურთელს, ხელს არ აძლევდა. 24 წლის კროუფორდმა ჟურნალისტებთან საუბარი მხოლოდ მაშინ ისურვა, როდესაც "ნიქსმა" სავარჯიშო დარბაზის კარი გააღო და თავიანთი ფიზიკური ფორმა საჯაროდ გამოამზეურა. "ნიუ-იორკ ნიქსი" უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩარლსტონის (სამხრეთ კაროლინა) კოლეჯის სპორტულ დარბაზში გადის წვრთნებს. დარბაზიდან გამოსულ კროუფორდს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ "ნიქსი" კარგად არის მომზადებული.

ჯამალ კროუფორდი დაიბადა და გაიზარდა სიეტლში, ამიტომ ლენი უილკინსი მისთვის კერპი თუ არა, ეტალონი მაინც არის. ჯერ იყო და უილკინსი "სიეტლ სუპერსონიქსში" თამაშობდა. შემდეგ ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა და 1979 წელს ის ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. "სიეტლში ის ლეგენდაა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ლეგენდა ახლა ჩემი მწვრთნელია", -ამბობს ჯამალ კროუფორდი. "ვფიქრობ, მას შეუძლია, ძალიან კარგ კალათბურთელად ჩამოყალიბდეს", - პასუხობს ჯამალის ქათინაურებს თავად ლენი უილკინსი.

შესაძლოა, ჯამალ კროუფორდმა ახალი სეზონი სასტარტო ხუთეულში დაიწყოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ალან ჰიუსტონი ("ნიქსის" გამთამაშებელი) სეზონის დაწყებამდე ფორმაში ვერ შევა. ჰიუსტონმა მუხლის ოპერაცია გადაიტანა და ჯერ კიდევ გამოჯანმრთელების სტადიაშია. ვერც ლენი უილკინსი და ვერც გუნდის გენერალური მენეჯერი აიზია ტომასი ვერ ასახელებენ ზუსტ თარიღს იმისა, თუ როდის ჩადგება ალან ჰიუსტონი მწყობრში. საწვრთნელი თვის დასრულების შემდეგ კი აიზია ტომასმა ბოლო კომენტარი გააკეთა: "ნიუ-იორკ ნიქსი" მწყობრშია და არავინ იფიქროს, რომ ისევ იგივე გუნდი დახვდება, რაც შარშან".

*მოამზადა სანდრო ნავერიანმა*

ფეხბურთი

# პაატა ბურჭალიანი: „პფლ ნაკრების ინტერესებს წინა პლანზე აყენებს"

მიხეილ აბაიშვილი

"24 საათის" 8 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში "ლოკომოტივის დინამიკური გამარჯვება" გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შედგენისას საქართველოს პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ არ გაითვალისწინა ეროვნული ნაკრების ინტერესები და ტური 7 ოქტომბერს დანიშნა. ეს კი ქვეყნის პირველ გუნდს ხელს უშლის, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩისთვის უკეთ მოემზადოს. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში დაგვიკავშირდა პფლ-ს პრესატაშე პაატა ბურჯალიანი, რომელმაც ხსენებულ საკითხზე პფლ-ს პოზიცია დააფიქსირა.

"საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მონაწილეობით შეადგინა. დამტკიცებამდე კალენდარი გასაცნობად წარედგინა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბატონ ალენ ჟირესს და მის სამწვრთნელო შტაბს. კალენდარი მხოლოდ მას შემდეგ დამტკიცდა, რაც ჟირესმა დაგვიდასტურა, რომ ასეთი კალენდარი ეროვნულ ნაკრებ გუნდს არ ზღუდავს და არც მის ინტერესებს ლახავს. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას თავის დროზე რომ არ გაეთვალისწინებინა და მოგვიანებით გადაეწყვიტა ამა თუ იმ ტურისთვის თარიღის შეცვლა, პფლ აუცილებლად ნაკრები გუნდის საჭიროების შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის პირველი გუნდის ინტერესები ყველა სხვა საფეხბურთო საკითხთან შედარებით უპირველესია. ამის დასტურად არაერთი მაგალითის მოტანა შეგვიძლია: ამა თუ იმ კალენდარული მატჩის თარიღი და დაწყების დრო ალენ ჟირესის თხოვნის შესაბამისად ისე შეგვიცვლია, რომ მას ტურის ერთბაშად რამდენიმე თამაშზე დასწრება და ნაკრების კანდიდატებზე დაკვირვება მოეხერხებინა.

პფლ-ს ასეთივე პოზიცია უჭირავს იმ კლუბებთან მიმართებაშიც, რომლებიც ევროტურნირებზე წარმოადგენენ საქართველოს. თბილისის "დინამოს" თხოვნით ჩვენ რამდენიმე მატჩის დაწყების დრო და ჩატარების ადგილი შევცვალეთ, რათა გუნდს ხელი არ შეშლოდა უეფას თასის ტურნირისთვის მზადებასა და მონაწილეობაში. პფლ მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარმა თბილისის "დინამოს" ხელი არ შეუშალოს უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობაში", - განუცხადა "24 საათს" პაატა ბურჯალიანმა.

# ის უკვე შეიყვარეს კატალონიაში

სანდრო ნავერიანი



*ჰენრიკ ლარსონი: "კატალონიაში გადასვლა ჩემი ცხოვრების ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო".*

უკანასკნელი ორი მატჩი "კამპ ნოუზე" ჰენრიკ ლარსონის მონაწილეობით იმაზე მეტყველებს, რომ კატალონიელმა გულშემატკივარმა შვედი ფეხბურთელი საკმარისზე მეტად შეიყვარა.

კვირას, "ნუმანსიის" კარში გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ, ლარსონს გულშემატკივრები გამაყრუებელი ყიჟინით შეხვდნენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მატჩში დონეცკის "შახტართან" შეცვლაზე გამოსულ ლარსონს კატალონიელი ფანები ოვაციით და "ჰენ-რიკ, ჰენ-რიკ"-ის სკანდირებით მიეგებნენ. როგორც ჩანს, უკვე შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ კატალონიის დედაქალაქში ლარსონს დიდ პატივს სცემენ.

გამანადგურებელი ანგარიშით (3:0) წაგების მიუხედავად, მირჩა ლუჩესკუს შეგირდებმა ორგანიზებული და მობილური ფეხბურთი აჩვენეს. გულშემატკივრებმა დაივიწყეს, რომ წინა მატჩში ოთხი საგოლე მომენტიდან ლარსონმა მხოლოდ ერთი გამოიყენა და მოედანზე მის გამოსვლას გულთბილად შეხვდნენ. უკანასკნელ ორ მატჩში ლარსონს შვიდჯერ შეეძლო აეღო მეტოქის კარი, თუმცა, ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხა. ეს ფაქტი თავად შვედსაც აღიზიანებს. მართალიცაა: ევროპის საუკეთესო ბომბარდირი ასეთ შანსებს ხელიდან არ უნდა უშვებდეს. ასეთი დაბალი შედეგიანობის მიუხედავად, გულშემატკივრები ლარსონს მაინც საჭირო ფეხბურთელად თვლიან - შვედი ხომ შავ სამუშაოსაც ასრულებს და არც დაცვაში თამაშს თაკილობს.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰენრიკ ლარსონი კატალონიელ გულშემატკივრებს შეჰპირდა: **"უბრალოდ, არ მიმართლებდა. ფეხბურთი ისევ მცდის და ჩემი ხასიათის სიმტკიცეს აფასებს. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ასეთ ტესტებს ყოველთვის წარმატებით გავდიოდი"**. არ ვიცი, ამ სიტყვებით ლარსონმა გულშემატკივარი დაამშვიდა თუ საკუთარი თავი, მაგრამ ფაქტია: ერთადერთი, რაც შვედ ფეხბურთელს ყოველთვის გამოსდიოდა, გოლების გატანაა. **"პრობლემა ისაა, რომ ხანდახან ასეთ ეპიზოდებზე ჩავიციკლები ხოლმე. ამისგან კი არანაირი ხეირი არ არის, - დაამატა შვედმა ფორვარდმა, - ვცდილობ, მხოლოდ იმ მომენტებზე ვიფიქრო, როდესაც ჩემი გუნდისთვის წარმატება მომიტანია. ვიხსენებ ჩემ გოლს "მალიორკას" კარში, ასევე ჩემ წვლილს "შახტარის" კარში გატანილი მესამე გოლის დროს".**

"ბარსას" მთავარმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა ფრანკ რაიკაარდმა უკვე მოასწრო ჰენრიკ ლარსონის სამ სხვადასხვა პოზიციაზე მოსინჯვა. თუმცა, "სელტიკის" ექს-სიმბოლო, ძირითადად, მატჩებს სათადარიგო სკამზე იწყებს. ამის მიუხედავად, ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი მაინც ამბობს, რომ ლარსონი ყველა დანარჩენი ფეხბურთელისთვის მაგალითად უნდა იქცეს და მოედანზე ყველამ ისევე უნდა დახარჯოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, როგორც ამას ჰენრიკ ლარსონი აკეთებს. კრუიფი ასევე ამბობს, რომ "ბარსას" მიერ უკანასკნელ წლებში შეძენილი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ჰენრიკ ლარსონი გადაყრილ ფულად არ უნდა ჩაითვალოს.

კვირას, "ნუმანსიასთან" მოგებული მატჩის შემდეგ, კატალონიური გრანდი "პრიმერა დივიზიონის" პირველ საფეხურზე ავიდა და მეორე ადგილზე მყოფ "ვალენსიას" ორი ქულით გაუსწრო. "ნუმანსიასთან" შეხვედრაში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, გადამწყვეტი გოლი შვედმა ფორვარდმა გაიტანა, რის შემდეგაც გულშემატკივრები მოედანზე მის გამოჩენას ისეთივე ოვაციით შეხვდნენ, როგორც რონალდინიოს ხვდებიან, ხოლო როდესაც ლარსონი მოედანს ტოვებს, მას ფეხზე ადგომით აცილებენ.

**"ჩვენთვის ფანების მხარდაჭერა აუცილებელია. ფაქტობრივად, მათ გარეშე თამაში შეუძლებელია. ისინი მარტო გამარჯვებებს კი არა, თითოეული ფეხბურთელის თამაშსაც ობიექტურად აფასებენ. შეიძლება ითქვას, რომ გულშემატკივარი ყველაზე ობიექტური შემფასებელია, - ამბობს ლარსონი, - ბარსელონაში ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ვფიქრობ, კატალონიაში გადასვლა ჩემი ცხოვრების ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო".**

ჰენრიკ ლარსონმა სახელი გაითქვა 1994 წლის მუნდიალზე, როდესაც შვედეთის "ოქროს ნაკრებმა" მესამე ადგილი დაიკავა. ფეხბურთის მოყვარულს ეხსომება ის მართლაც გრანდიოზული გუნდი, რომელშიც თამაშობდნენ: ტომას ბროლინი, მარტინ დალინი, კენეტ ანდერსონი, ტომას რაველი, იონას ტერნი, ჰენრიკ ლარსონი... ეს კიდევ არ არის სრული სია იმ ფეხბურთელებისა, რომლებმაც მხოლოდ მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან ბრაზილიის ნაკრებთან დათმეს მატჩი, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფში შვედებმა ბრაზილიელებთან ფრე (1:1) ითამაშეს. ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, მინდა გაგახსენოთ ლარსონის მიერ ბულგარეთის კარში გატანილი გოლი, რომელიც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი იყო. ეს იყო გოლი, რომელმაც ლარსონს დიდებისკენ გაუკვალა გზა.

# ფეხბურთელებს დაასვენებენ

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი დეკემბერში მიიღებს გადაწყვეტილებას, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მისცეს. გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ყველა ფეხბურთელს საშუალება ექნება, სამკვირანახევრით დაისვენოს.




*დეკემბერში ზეპ ბლატერი მიიღებს გადაწყვეტილებას და ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ დასვენების საშუალებას მისცემს.*

ყოველი საერთაშორისო შეჯიბრება საფეხბურთო სამყაროს ახალ ვარსკვლავს წარმოუდგენს. თუ ამ პრობლემის მიზეზს დავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ყველაფერში დამნაშავე ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც მსოფლიოში ცნობილის სტატუსი მიიღეს.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები იმართება სეზონის ბოლოს, როცა ოუენის, ფიგუსა და ტრეზეგეს მსგავს ფეხბურთელებს 60-მდე მატჩი აქვთ გამართული. ამიტომ მათ არ შეუძლიათ, გადაღლის ფონზე მთელი თავისი ოსტატობა აჩვენონ, მაშინ როცა ახალგაზრდები, რომლებიც ამ დროისთვის უფრო დასვენებულნი არიან, თავს ზემოთ ხტებიან და მსოფლიო კლასის თამაშს აჩვენებენ. მომდევნო სეზონისთვის კი ისინი ვარსკვლავებად იქცევიან და სიტუაცია მეორდება.

სეზონში ნათამაშები მეტისმეტად ბევრი მატჩი კი უფრო ნეგატიურად აისახება ფეხბურთელთა მდგომარეობაზე. ფეხბურთელთა საშუალო ასაკი საფეხბურთო კარიერის ბოლოს ყოველწლიურად მცირდება. ფეხბურთელები სპორტულ კარიერას სულ უფრო ხშირად იმის გამო ამთავრებენ, რომ დატვირთული სპორტული გრაფიკის გამო გადაღლას გრძნობენ.

ფიფას შეფმა ზეპ ბლატერმა ამ პრობლემასაც მიაქცია ყურადღება. იმისთვის, რომ ფეხბურთელებს თავის უკეთ წარმოჩენის საშუალება მისცეს, გადაწყვიტა, ისინი მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაასვენოს. ამ გადაწყვეტილების მიღება განიხილეს ასოციაციის ორდღიან სხდომაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. შედეგად, ბლატერმა ამ გადაწყვეტილების მიღება დეკემბრისთვის გადადო.

გერმანიის მსოფლიო პირველობა შეიძლება ექსპერიმენტად გამოდგეს და მსოფლიოს დაანახოს, რამდენად ეფექტურია ეს ზომა. "ბევრი საუბარი იყო იმის თაობაზე, თუ როგორ იღლებიან ფეხბურთელები და მსაჯები დიდი ტურნირების წინ, - განაცხადა ბლატერმა, - მთლიანობაში ამას ვეთანხმები". ამრიგად, 2006 წელს ყველა ჩემპიონატი და თასის გათამაშება 14 მაისისთვის დასრულდება. ამის შემდეგ ფეხბურთელებს 8-დღიანი დასვენების საშუალება ექნებათ. შემდეგ კი გუნდთან ერთად ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. თავად მსოფლიო ჩემპიონატი კი 9 ივნისს დაიწყება.

თუმცა, ასეთმა ზომამ შეიძლება უკუჩვენებაც გამოიწვიოს. ადვილი შესაძლებელია, ფეხბურთელმა დასვენების პერიოდში ფორმა დაკარგოს და მსოფლიო პირველობას ბოლომდე მომზადებული ვერ შეხვდეს. თუ ფეხბურთელები კარგად ვერ მოემზადებიან, სასტარტო მატჩები სანახაობრივი თვალსაზრისით შეიძლება მოსაწყენი გახდეს.

ფიფას სხდომაზე სხვა საკითხებიც განიხილეს. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის პრემიები გაუზარდონ. გუნდი, რომელიც ფინალურ ეტაპზე გააღწევს, 8,21 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც 38 პროცენტით მეტია კორეა-იაპონიის ჩემპიონატთან შედარებით.

ბლატერმა არც საერთო საპრიზო ფონდი დაივიწყა. ახლა ის 262,9 მილიონ დოლარს შეადგენს. ადრე კი 190 მილიონი იყო. ამასთან, ბლატერმა უკმაყოფილება გამოთქვა ინგლისის პრემიერლიგის ორი კლუბით ("ჩელსი" და "ქოვენთრი სიტი"), რომლებიც თავის ფეხბურთელებს (ადრიან მუტუსა და სტერნ ჯონს) ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლებას არ აძლევენ.

ჭადრაკი

# მოჭადრაკეები პრეზიდენტისკენ სვლას აკეთებენ

პაატა თოთაძე


იური ლობოდინის ფოტო

ქართველი მოჭადრაკეები ოლიმპიადაზე შედეგის გასაუმჯობესებ-ლად მიემგზავრებიან.

ბოლო წლებში ქართველი მოჭადრაკე ქალები მსოფლიოში ძველებურად ველარ მძლავრობენ. ეს მოსალოდნელიც იყო - სამუდამო არაფერია ამქვეყანაზე. ბოლოს და ბოლოს, სხვებსაც ხომ უნდა ჰყოლოდათ ჩემპიონები! სამაგიეროდ დიდი პროგრესი განიცადეს ვაჟებმა. ოთხი წლის წინ საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავა, შარშან კი ევროპის ჩემპიონატზე - მესამე. შარშანვე ევროპის ჩემპიონი გახდა ზურაბ აზმაიფარაშვილი.

14 ოქტომბერს ესპანეთში, კუნძულ კალვიაზე, 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადა იწყება. ქართველ ვაჟ მოჭადრაკეთა ბოლოდროინდელი წარმატებების გამო ამ ოლიმპიადაზე საპრიზო სამეულზეც კი შეგვიძლია ფიქრი. მეტიც, თუ ყველაფერი ისე იქნა, როგორც საჭიროა, დარწმუნებული ვარ, წინა ოლიმპიადის შედეგს გავაუმჯობესებთო, - გუშინ ჭადრაკის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

ესპანეთში ვაჟთა 128 და ქალთა 87 გუნდი შეიკრიბება. ქალებში საქართველოს ღირსებას დაიცავენ მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და ლელა ჯავახიშვილი. ვაჟთა შორის კი ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი და ზურაბ სტურუა ითამაშებენ. წინა წლებისგან განსხვავებით, მოჭადრაკეებს ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად პრობლემები არ შეჰქმნიათ. სპორტის დეპარტამენტმა საჭირო თანხა დროულად გამოუყო ჭადრაკის ფედერაციას. გუნდიც ლიკანში იყო შეკრებაზე 18 დღის განმავლობაში. ერთი სიტყვით, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გუნდები იმდენად კარგად არიან მომზადებული, რომ მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

"სადღეისო რეიტინგით ქართველი ქალები მსოფლიოში მეოთხეები, ხოლო ვაჟები მეთერთმეტენი არიან. ამ შემთხვევაში ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით ქართველი მოჭადრაკეები კარგად მოემზადნენ ტურნირისთვის, ასე რომ, ორივე გუნდი მხოლოდ უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებს. ესპანეთში 19-კაციანი დელეგაცია წავა", - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა კახი ჩიგოგიძემ.

"მე, როგორც საქართველოს ვაჟთა გუნდის კაპიტანი, მხოლოდ ვაჟებს შევეხები. გუნდს ჰყავს საკმაოდ ძლიერი ლიდერი, რომელზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. სწორედ ზურას კარგ თამაშზე, განწყობაზეა იქნება დამოკიდებული გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა. ღრმად მწამს, რომ ჩვენი ნაკრები წინა ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგის გაუმჯობესებას შეძლებს. ყველაფერს ფინიში გადაწყვეტს. ამიტომ ძალები ისე უნდა გადავანაწილოთ, რომ ფინიშს კარგ ფორმაში შევხვდეთ. ზურა გუნდის ლიდერია, დანარჩენი მოჭადრაკეები კი თითქმის ერთნაირი კლასის არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ რამდენიმე მოჭადრაკე არ დაიტვირთება. ეს კი ფინიშისთვის ძალებს შემოგვინახავს.

მაგრამ არის კიდევ ერთი რამ. ყველამ კარგად იცის საქართველოს პრეზიდენტის დამოკიდებულება სპორტისადმი. ჰოდა, თუ ბატონი პრეზიდენტი მოიცლის და შეგვხვდება, გუნდისთვის უდიდესი სტიმული იქნება. ეს იქნება ბოლო წვეთი წარმატების მოსაპოვებლად", - აღნიშნა თამაზ გიორგაძემ.

პრეზიდენტთან შეხვედრის თემას შეეხო ზურაბ აზმაიფარაშვილიც. როგორც გაირკვა, შარშან ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების მიუხედავად, მოჭადრაკეები დღემდე არ დაუჯილდოებიათ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული პრემიებით. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მოჭადრაკეების 40 000 ლარი მართებს და ისინიც კუთვნილს ითხოვენ. ამის გამო საგანგებო მიმართვაც მოამზადეს პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც მასთან შეხვედრას ითხოვენ. მოჭადრეკეებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს დღეებში ამ პრობლემას საბოლოოდ მოევლება. "ვნახოთ, როგორ იქნება და საბოლოო სიტყვასაც ამის შემდეგ ვიტყვით", - განაცხადა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

რა შეიძლება იყოს საბოლოო სიტყვა? პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში არის თუ არა იმის ალბათობა, რომ მოჭადრაკეებმა ოლიმპიადაზე უარი თქვან? პასუხი ამ კითხვაზე გუშინ ვერ მივიღეთ. აზმაიფარაშვილის თქმით, 11 ოქტომბრამდე ეს არ გაცხადდება, მერე კი მთელი ქვეყანა შეიტყობსო.

როგორც აზმაიფარაშვილმა თქვა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება, რომ გუნდს მწვრთნელი ჰყავს. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ოლიმპიადისთვის გუნდი კარგად არის მომზადებული და საპრიზო სამეულში შესვლის შანსი აქვს.

ეს ყველაფერი ვაჟებზე. რაც შეეხება ქალებს, ისინი პრესკონფერენციაზე არ იყვნენ იმის გამო, რომ იზმირში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე თამაშობენ და, თუ სასწაული არ მოხდა, ქართული გუნდი "ნტნ" ევროპის ჩემპიონი გახდება.

# ლეკომ კრამნიკს სეირი უჩვენა




პეტერ ლეკომ (მარცხნივ) ლამაზად მოიგო და ვლადიმირ კრამნიკთან შეხვედრაში ფავორიტად გადაიქცა.

ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს მატჩის მეოთხე ესპანურმა პარტიამ უნგრელ დიდოსტატს წარმატება მოუტანა. შავი ფიგურებით ლეკომ ულამაზესი გამარჯვება მოიპოვა და ანგარიშში - 4,5:3,5 დაწინაურდა. სკეპტიკოსებმა, რომლებიც ამბობდნენ - რა უნდა ლეკოს გამაერთიანებელი მატჩის ნახევარფინალში? - უნგრელი მოჭადრაკისგან ღირსეული პასუხი მიიღეს.

ამრიგად, ვლადიმირ კრამნიკთან მატჩის მეორე ნახევარი ლეკომ დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო. თანაც, შავი ფიგურებით. მორიგი ესპანური პარტია, უკვე რიგით მეოთხე, კრამნიკისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. არადა, კრამნიკმა ასეთი პარტია მატჩის განმავლობაში სამჯერ უკვე ითამაშა და არც ერთი მათგანი მისთვის ასე სავალალოდ არ დასრულებულა.

სპეციალისტების აზრით, კრამნიკმა მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად ყველა შეცდომა მიტელშპილში დაუშვა. თუ ამ შემთხვევაში შეცდომებზე გვექნება საუბარი, უნდა ითქვას, რომ ისინი უაღრესად სერიოზული იყო. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს შეცდომები კრამნიკს ლეკომ დააშვებინა, რომელმაც აგრესიული თამაში გადაწყვიტა.

უნგრელმა ჯერ სერიოზულად "გადაუარა" კუს, რომელიც თავისი გულუბრყვილობით მხედარს e6-ზე დაემუქრა. ორმა პაიკმა კუ პოზიციიდან გააძევა და b3-მდე სდია. შემდეგ კრამნიკმა თავისთვის მეტისმეტად უხერხული გაცვლა განახორციელა. მეტოქეებმა მხედრები გაცვალეს, რამაც ლეკოს საშუალება მისცა, ეტლს დამუქრებოდა. ამ შეტაკების შემდგომი პერსპექტივა ის იყო, რომ უნგრელმა მოჭადრაკემ მარჯვენა ფრთაზე თავისი უპირატესობა გაამყარა.

მართალია, ვიზუალურად ყველა მოქმედებას თეთრებით მოთამაშე კრამნიკი იწყებდა, მაგრამ რეალურად მთელი ინიციატივა ლეკოს ხელში აღმოჩნდა. ხოლო როცა 22-ე სვლაზე კრამნიკმა მეტოქის აშკარა განზრახვას ყურადღება არ მიაქცია და მარცხენა ფრთაზე შეტევა განახორციელა, საპასუხოდ მან e-ს ხაზზე უაღრესად სახიფათო იერიში მიიღო, რომელსაც იმ მომენტისთვის მთლიანად ლეკო აკონტროლებდა.

კუს შეტევამ d3-ზე პრაქტიკულად განაჩენი გამოუტანა მეტოქის დედოფალს. თუმცა, ამ დროს ლეკომ ეტლი დაკარგა. შემდეგ კი საერთოდ წარმოუდგენელი რამ მოხდა. ლეკომ, რომელსაც სათამაშოდ მცირე დრო ჰქონდა დარჩენილი, კრამნიკი, რომელსაც კიდევ 45 წუთი ჰქონდა რეზერვში, აიძულა, შეცდომა დაეშვა. მისცა რა მეტოქეს კუ და მხედარი, ლეკომ შესძლო, მისთვის ეტლი აერთვა. ამ დროს უნგრელის უპირატესობა აშკარა გახდა და კრამნიკი მეტოქეს დანებდა.

ამ მარცხის შემდეგ ბუკმეკერებთან კრამნიკის კოეფიციენტმა ერთბაშად ხუთი პუნქტით აიწია, ხოლო ლეკოს - 1,4 აქვს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ ლეკოს უნარს, ჩაკეტოს პოზიცია, მეტოქე პრესინგის მარწუხებში მოაქციოს და შეინარჩუნოს ყაიმი, ის მატჩის ფავორიტად შეიძლება მივიჩნიოთ. ყველაფერი, რაც ლეკოს სჭირდება, ის არის, რომ დარჩენილი 6 პარტია არ წააგოს. იმის გათვალისწინებით, რომ მატჩში ხუთი ყაიმი უკვე დაფიქსირდა, მოვლენების ასეთი განვითარება სავსებით რეალურია.

ფეხბურთი

# უტოპიური, მაგრამ... პერსპექტიული

პარადოქსია, მაგრამ ერაყმა იორდანიასთან ერთად გადაწყვიტა, 2014 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლოს. ამ საკითხის ირგვლივ პირველი მოლაპარაკებები უკვე გაიმართა.

მართალია, სულ ახლახან ერაყში აქტიური საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ხოლო ამჟამად სამოქალაქო ომია, მაგრამ ერაყის ეროვნულმა ნაკრებმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. მისგან სპეციალისტები ჯგუფიდან გასვლასაც კი არ ელოდნენ, ერაყელებმა კი ნახევარფინალამდე მიაღწიეს და გზად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი პორტუგალიის ნაკრები დაამარცხეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობაა, ერაყელებს ფეხბურთი ძალიან უყვართ და მოუთმენლად ელოდებიან იმ მომენტს, როცა მათი ქვეყანა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, მათთვის ძალიან ძნელი იქნება ისეთი საფეხბურთო ფორუმის ორგანიზება, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია. კაცმა რომ თქვას, ერაყს ამის უფლებასაც არავინ მისცემს. ამიტომ ერაყმა გადაწყვიტა, იორდანიას შეუწყვილდეს და თუმცა უტოპიური, მაგრამ საკრალური ოცნება მაინც აისრულოს.

"გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში იორდანიის პრინცმა ფეისალ ალ-ჰუსეინმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი მოლაპარაკებები უკვე გაიმართა. მისი ვარაუდით, ყველაფერი რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. ბუნებრივია, ამჟამად ერაყისა და იორდანიის კანდიდატურა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის რანგში არც განიხილება, მაგრამ სამი-ოთხი წლის შემდეგ აზიის ამ ქვეყნებში ასეთი ტურნირის გამართვა შეიძლება რეალური გახდეს, - მიიჩნევს იორდანიის პრინცი.

არადა, ერაყის თემა ახლა სპორტის სფეროშიც კი აქტუალურია. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელსაც ნოემბერში კვლავ მოუწევს საარჩევნო ციებ-ცხელების გავლა, ცდილობს, ათენის ოლიმპიური თამაშები თავისი პიარის განსახორციელებლად გამოიყენოს. თეთრი სახლის შეფის გეგმებში შედიოდა ერაყის ნაკრების მონაწილეობით საფეხბურთო მატჩის ხილვაც, მაგრამ უარყოფითი საზოგადო რეზონანსის გამო ჯორჯ ბუშმა ვიზიტი გადადო.

კერძოდ, 9-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მძლეოსნობაში, ამერიკელმა კარლ ლუისმა აშშ-ის პრეზიდენტი ათენის ოლიმპიური თამაშების საკუთარი რეკლამისთვის გამოყენებაში დაადანაშაულა. ლუისის თქმით, ბუშის სატელევიზიო სარეკლამო რგოლებში გამოიყენებიან ერაყისა და ავღანეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები, მაშინ როცა ამერიკელი სამხედროები ერაყის დაბომბვას აგრძელებენ.

"ეს თვალთმაქცობაა. ჩვენ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს იმიტომ გამოვუცხადეთ ბოიკოტი, რომ ავღანეთში საბჭოთა ჯარები შევიდნენ. ახლა კი ავღანეთს თვითონ ვბომბავთ, - ლუისის სიტყვებს ბეჭდავს გაზეთი "გარდიანი". - ახლა კი ერაყშიც შევიჭრით და მისი ოკუპაცია მოვახდინეთ. მე ძალიან კარგად მესმის ერაყელი სპორტსმენების მდგომარეობა, რომლებიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. სპორტსმენების ან ქვეყნის მხარდაჭერა კარგია, მაგრამ არა პოლიტიკური რეკლამის მიზნით". საბერძნეთში მძლავრი პროტესტის გამო, რაც ერაყში ამერიკის მოქმედებას უკავშირდება, ელადის მიწაზე თავისი ვიზიტი გადადო აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა. თუმცა, ვიზიტის გადადების ოფიციალურ ვერსიად მან დაძაბული სამუშაო გრაფიკი დაასახელა.

მოკლედ

# ინგლისელებს „ახალი პელე" ჰყავთ




ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდამ კარლოს ალბერტომ უეინ რუნის "ინგლისელი პელე" უწოდა და მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. "პელეს შემდეგ მოედანზე საუკეთესო ფეხბურთელები გამოჩნდნენ, მაგალითად, რონალდო, მაგრამ რუნი განსაკუთრებულია, მას დიდი მომავალი ელოდება. კარგად რომ ითამაშო, აუცილებელი არაა, მაინცდამაინც ბრაზილიელი იყო. მე მიყვარს ფეხბურთელები, რომლებსაც ოსტატურად გააქვთ კარში გოლი. სწორედ ასეთი გახლავთ უეინ რუნი," – განაცხადა მან.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელის ნიჭი თვით ლეგენდარულმა პელემაც დაინახა და აღიარა. "რუნი შეუდარებელია. ერთი სიამოვნებაა მისი თამაშის ყურება. საოცარია, როცა ხედავ, რომ ასეთი ახალგაზრდა ასეთ წარმატებას აღწევს," – აღნიშნა ფეხბურთის მეფემ.

# რიკარდო მაიორგას ციხე ემუქრება

მსოფლიო ჩემპიონს კრივში რიკარდო მაიორგას 20 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი. მოკრივის ცუდი საქციელის გამო საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ზოგი ამართლებს მას, ზოგი კი, პირიქით, მის გასამართლებას მოითხოვს. რაც შეეხება თავად ბრალდებულს, იგი თავს დამნაშავედ არ თვლის, თუმცა, აღიარებს, რომ ამ გოგონასთან სექსი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ მის გაუპატიურებას კატეგორიულად უარყოფს.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა, საქმის განხილვის დასრულებამდე მაიორგა ციხეში ჩაესვათ. მან მოკრივეს შინაპატიმრობა მიუსაჯა.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებამ ცოტათი დააშოშმინა სპორტსმენის გულშემატკივრები, სამაგიეროდ გაალიაზიანა მისი მოწინააღმდეგეები. ორგანიზაცია "ქალები ძალადობის წინააღმდეგ" წარმომადგენელმა აღშფოთება გამოხატა ბრალდებულის მხარდამჭერი ახალგაზრდების მიმართ. "გულს მტკენს ის ფაქტი, რომ ამდენი ახალგაზრდა ხელს აფარებს და ამართლებს მოძალადეს," – განაცხადა მან.

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე საბოლოოდ. აღმოჩნდება თუ არა ცნობილი მოკრივე გისოსებს მიღმა, ამას დრო გვიჩვენებს.

# „არსენალის" თავდამსხმელს ესპანელმა მწვრთნელმა შეურაცხყოფა მიაყენა

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი რასიზმში დაადანაშაულეს. ბელგიის წინააღმდეგ მატჩის წინ ესპანეთის ნაკრების ვარჯიშისას მწვრთნელმა უდიერად მოიხსენია ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი ტიერი ანრი მის თანაგუნდელ ხოსე ანტონიო რეიესთან საუბარში. ესპანური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, მწვრთნელმა აუგად მოიხსენია ფეხბურთელის კანის ფერი.

რეიესის განცხადებით, არაგონესის მიერ ტიერი ანრის მისამართით წარმოთქმული ყოველი სიტყვა ხუმრობა იყო. თავად მწვრთნელიც უარყოფს ბრალდებას: "ზოგიერთი ჩემი საუკეთესო მეგობარი შავკანიანია. მე არა ვარ რასისტი." არაგონესის რასისტობას ასევე უარყოფს ესპანური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვილარი.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის შეურაცხმყოფელი სიტყვები ადგილობრივმა ტელეარხმა "ანტენა 3"-მა გადასცა, მოგვიანებით კი პოპულარულ სპორტულ ვებგვერდებზეც გამოჩნდა.

არაგონესი, ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი, სპორტის სამყაროში ფეთქებადი ხასიათითაა ცნობილი. თუ თვალს გადავავლებთ მის სპორტულ კარიერას, აღმოვაჩენთ, რომ ფეხბურთელებთან ხმაურიანი ჩხუბის გამო იგი ბევრჯერ მოხვდა პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

## შაბათი. 9 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "INDIANA PACERS" - "NEW JERSEY NETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. პსჟ – "ჩელსი"
14:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ბაიერი" – "რეალი"
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:50 "ფიფას ასწლეული". მეოთხე ნაწილი
17:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ინგლისი – უელსი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. შვედეთი - უნგრეთი
21:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. არგენტინა – ურუგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 თავისუფალი დარტყმა
00:05 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი – ლატვია
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "CONNECTICUT SUN" - "SEATTLE STORM". პირველი მატჩი
05:30 NBA TV – NBA შიგნიდან

**НТВ+СПОРТ**

09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 13:00, 17:45, 20:00 პრესცენტრი
10:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იაპონიაში. ფინალი
12:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
13:15 "ჰოკეი-პლუს"
13:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი იაპონიაში. ნახევარფინალები
18:00 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "CONNECTICUT SUN" - "SEATTLE STORM". პირველი მატჩი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "დიდი რინგი". გატი – დორინი
22:30 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი – პ. ლეკო
23:00 როდეოს ფესტივალი კალგარიში. მე-2 ნაწილი
23:45 აფროსნობა. ამერიკის თასი
00:15 ახალი ამბები
00:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
01:00 01:00-დან 04:55-მდე შესვენება
04:55 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ვენესუელა – ბრაზილია. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

09:15 მოტორბოლები. მალაიზიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:15 ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი
12:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
14:00 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. ნახევარფინალი
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. საფრანგეთი - ირლანდია
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. სპეციალური მიმოხილვა
02:30 ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი
03:00 ახალი ამბები
03:15 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. ნახევარფინალი



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ბათუმელ მაყურებელს თვალზე ცრემლი რატომ არ დაუშრა? რატომ?!.









იმიტომ, რომ ბათუმის თეატრი ასეთი გადაჭედილი, როგორც ოქტომბრის დასაწყისში, რუსთაველის თეატრის გასტროლებზე იყო, დიდი ხანია, არავის უნახავს. ამდენი მაყურებელი ერთად თეატრს წლების განმავლობაში არ ჰყოლია. დარბაზის კიბეებზე არასდროს არავის სვამდნენ. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. დღეს კი კიბეებიც, გასასვლელებიც, ბალკონებიც და "გალიორკაც" ჩამომჯდარი, ჩაცუცქული, მიყუდებული, ფეხზე მდგომი მაყურებლით იყო სავსე.

იმიტომ, რომ რუსთაველის თეატრი წლების განმავლობაში ბათუმში გასტროლებზე არ ჩადიოდა. წელს კი, თხუთმეტწლიანი ინტერვალის შემდეგ, ჩავიდა. ზოგიერთ პოლიტიკოსს, ხელისუფალს თეატრი არ უყვარდა. თეატრის ესთეტიკა არ ესმოდათ. პიესის ორაზროვან, მარადიულ სიღრმეებსა და ფრაზებს საკუთარ თავთან, მმართველობასთან აიგივებდნენ და სცენიდან ნათქვამი, ყველას გასაგონი სიმართლის ეშინოდათ. ზოგიერთ შემოქმედს კი საკუთარი ზნეობრივი პრინციპები გააჩნდა და მათ ბათუმის მონატრების ფასადაც კი არ ღალატობდა.

იმიტომ, რომ "კავკასიური ცარცის წრის" წარმოდგენაზე ბილეთების შოვნა მთელი ბათუმისთვის სანატრელ და, სამწუხაროდ, ბევრისთვის აუხდენელ ოცნებად იქცა. დარბაზი კი უფრო იმ თაობის წარმომადგენლებით იყო სავსე, რომლებიც სპექტაკლზე ბევრად უმცროსები არიან. მაყურებელთა ერთი, ახალგაზრდა ნაწილი, ამ სპექტაკლს პირველად უყურებდა. მეორე, უფროსმა ნაწილმა კი, ცნობილი, ხალხის მიერ გათავისებული ფრაზები ზეპირად იცოდა. დარბაზის სულგანაბულობა, ემოციებისგან შეუკავებელი ტაში, გულწრფელი აღფრთოვანება და ნოსტალგია აშკარად იგრძნობოდა. სტურუას მიერ ამ საგულდაგულოდ, ზუსტად შერჩეულ მსახიობთა მთელი დასი თითქოს განსაკუთრებულად იხარჯებოდა და თხუთმეტი წლის დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობდა. ნებისმიერი როლის შემსრულებელი მსახიობის თვალები გულწრფელობით, სიყვარულითა და მონატრებით იყო სავსე. გურამ საღარაძე, კარლო საკანდელიძე, თათული დოლიძე, ჟანრი ლოლაშვილი და ბევრი სხვა, ყველასათვის ასეთი საამაყო, საყვარელი, ბათუმელებისთვის კი პლუს მონატრებული მსახიობები არიან. რამაზ ჩხიკვაძის "აზდაკი" მსახიობური გენიის სიმბოლოდ არის ქცეული. თუმცა, ისევე როგორც ნოემბრის რევოლუციის დაძაბულ, რთულ, გამოსაცდელ დღეებში, მოქალაქე რამაზ ჩხიკვაძე - სინდისის, მორალის და პრინციპის სიმბოლოდ.

იმიტომ, რომ ყველაფერი ჭეშმარიტად გენიალური მარადიული და მუდამ დროულია. "კავკასიური ცარცის წრის" თითოეული ფრაზა დღესაც მწარე, ბასრი და სამართლიანია. სტურუასეული ბრეხტი ოცდაათი წელიწადია, არ ბერდება. გოგი ალექსი-მესხიშვილის სცენოგრაფია და კოსტიუმები დღესაც ისეთივე ნოვატორულია, როგორც ათეული წლების წინ. გია ყანჩელის მუსიკას დღესაც ნებისმიერი ქართველი წაგილიღინებთ. "კავკასიური ცარცის წრე" დღესაც ახალგაზრდა სპექტაკლია.

იმიტომ, რომ წარმოდგენის ბოლოს მსახიობების სამადლობელი გამოსვლა, ბათუმელი მაყურებლის წინაშე თავის დახრა ფორმალური არ ყოფილა. სცენა ოფიციალური ყვავილების უზარმაზარი კალათებით, დიდი თაიგულებით და თითო, მაგრამ მთელი გულით მორთმეული ყვავილებით გაივსო. გადაჭედილი დარბაზი ნახევარი საათის განმავლობაში, ფეხზე ამდგარი, სპექტაკლის საერთო რიტმში აპლოდირებდა. რამაზ ჩხიკვაძე კი ხან გულზე ხელს იკიდებდა და ხან ჩუმად პირჯვარს იწერდა. ყოველ ჯერზე, როგორც პირველად.

იმიტომ, რომ რობერტ სტურუას მიერ ოცდაათი წლის წინ დადგმული ბერტოლდ ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრე" გულგრილს ვერავის დატოვებს და ნებისმიერი ქვეყნის, თეატრის ნებისმიერ მაყურებელს სამუდამოდ აღაფრთოვანებს. წარმოდგენის შემხედვარე ამაყი, ამაღლებული და ბედნიერი ხარ, რომ თეატრალური ხელოვნების ამ შედევრის თანამედროვეობა გერგო ჯილდოდ.

იმიტომ, რომ "კავკასიური" - უკვდავია.

სტურუა-ყანჩელი-ალექსი-მესხიშვილის ერთობლიობა განუმეორებელია.

რამაზ ჩხიკვაძე მსახიობური გენიის ეტალონია.

თათული დოლიძის გრუშე სუფთაა. თავად თათული დოლიძე კი სცენაზე წარმოუდგენლად ლამაზი, ამაღლებული.

ჟანრი ლოლაშვილის "იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე"... მთელმა საქართველომ ზეპირად იცის, რითმულ ტექსტს ყველა იმეორებს.

გურამ საღარაძე რასაც აკეთებს, ყველაფერს მართლაც ლაზათიანად აკეთებს.

მარინა კახიანი ლამაზი და მედიდურია.

ლეილა ძიგრაშვილის, კარლო საკანდელიძის, ჯემალ ღაღანიძის, რამაზ პაპუაშვილისა და ყველა დანარჩენი მსახიობის მიერ შექმნილი სახეები დაუვიწყარია. მათ პროფესიონალიზმს კი ფასი არ აქვს. ვინ, როდის და რაზე თქვა, რომ სტურუას მსახიობი არ უყვარსო? არ უყვარს კი არა, იმდენად უყვარს და ისე იცის მათი ფასი, რომ ყოველი მათგანი ჩვენც სამუდამოდ შეგვაყვარა.

იმიტომ, რომ ბათუმელებმა ყველაფერი ჭეშმარიტად ღირებულის ფასი შესანიშნავად იციან და იაფფასიანით არ მოტყუვდებიან. ახალგაზრდა გოგოები და ბიჭები თეატრის გასასვლელთან მსახიობებს ელოდნენ, რომ ავტოგრაფი გამოერთმიათ, მათთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაეღოთ.

რატომ აქვთ ჩვენ კაცებს ძარღვებში სისხლი,

ჩვენ ქალებს ცრემლი რატომ არ დაუშრათ?

რატომ? აი, ამიტომაც, ბათუმელ მაყურებელს თვალებზე ცრემლი მოერია!

**P.S.** აი, რატომ არ ეყო ლევან ვარშალომიძეს დრო თუ ნებისყოფა და მეორე აქტიდან დარბაზი რატომ დატოვა, ეს კი ველარ გავიგე და ველარ ავხსენი.









# КГБ კადრების შერჩევაში გაიჭედა

რუსეთის ტელევიზიის წამყვან არხზე წინა კვირას გასულმა სპეციალურმა გადაცემამ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის "მხილებას" ემსახურებოდა, ჩემში თავიდან ღიმილის მეტი არანაირი ემოცია არ გამოიწვია. მსგავსი უსუსური, უბადრუკი, არაფრის ან, თუ გნებავთ, "ყოვლისმთქმელი" გადაცემის წარმოდგენაც კი ძნელია. ასე მეგონა, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში ქართული საზოგადოების ურთიერთსაპირისპირო, გულშემატკივრულმა, აღშფოთებულმა ან სკეპტიკურმა მღელვარებამ საბოლოოდ ნერვები ამიშალა და გაუთავებელი მითქმა-მოთქმის საპასუხოდ საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი და სითამამე გამიჩინა. სადაც არ მიხვიდოდი, ვისაც არ შეხვდებოდი, გამოელაპარაკებოდი, სხვადასხვა ინტონაციითა და დატვირთვით ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა - მიშაზე გადაცემა ნახეთ?

დიახ, ვნახეთ და რა?

თუ ამგვარი სპეციალური, მნიშვნელოვანი, იდეოლოგიურად დატვირთული გადაცემის მოსამზადებლად НТВ-სნაირმა პროფესიონალურმა ტელეარხმა ვერც საქართველოში და ვერც ამხელა რუსეთში უფრო კომპეტენტური, დამაჯერებელი, საპატივცემულო, ავტორიტეტიანი და ნაკლებად დისკრედიტებული ვერც ერთი გამომსვლელი ვერ მოიძია, ე.ი. არც ისე ცუდად ყოფილა საქართველოს და მისი პრეზიდენტის საქმე. გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე ხალისით დათანხმებულ, საგულდაგულოდ გამოწყობილ, კომპოზიციებშერჩეულ და რუსულში გავარჯიშებულ ქართველ "პოლიტიკოსებზე" ლაპარაკიც კი დასაზარია. უბრალოდ, მაინტერესებს, სუკის სტაჟიანი, ვარსკვლავებიანი თანამშრომელი იგორ გიორგაძე ტერმინების წარმომავლობის შემსწავლელი მეცნიერებით როდიდან დაინტერესდა? დღეს, როდესაც КГБ-ს ამდენი პრობლემა აქვს კისერზე აკიდებული, მის წამყვან თანამშრომელს მეტი საქმე არა აქვს? ან ნეტავი რა იცის ჩეკისტური რუსულით მოსაუბრე, ჩეკისტურად მოაზროვნე და ჩეკისტურად მზირალმა გიორგაძემ "ვარდების რევოლუციის" ტერმინის არაქართულობის შესახებ. თუმცა, არაქართულობის შესახებ წესით ყველაფერი უნდა იცოდეს. უმაღლეს კურსებზე უნდა ესწავლა. რასაც ვერ ვიტყვით ქართველობაზე. აქ მართლა არაფერი გაეგება. მას ხომ ყველაზე საამაყო ქართველი სტალინი ჰგონია. ცხოვრების იდეალად და მისაბაძ მაგალითად კი ძერჟინსკი ჰყავს მიჩნეული. ამიტომ, მე მგონი, ჩვენი დიდი ბედნიერებაა, რომ მიშა სააკაშვილი მის გემოვნებას არ შეესაბამება. პირიქით რომ ყოფილიყო, დავიღუპებოდით და ეგაა!

გამაგებინეთ, ბორის კაკუბავა ვინ არის? ნათელაშვილი რომ კარგად არ არის, ეს ყველამ ვიცით. გიორგაძეც ძალიან მარტივად გასაგებია. აი, კაკუბავას ამბავი კი ვერა და ვერ გავიგე! ან ვის ებრძვის, ან ვინ ებრძვის, ან რისი "ლიდერია", ან რას ქადაგებს. ან ამ ხნის თეთრწვერიანი კაცი რისთვის წვალობს, თავს ისაწყლებს თუ მართლა ცოდოა? ან ვინ ხალხის სად შეკრებას აპირებს? ან რუსული ტელეკომპანიის გადაღებისთვის აღელვებულს პერანგის ფერს ვინ ურჩევს, ან ვინ უხამებს და უუთოვებს? არა, არა, ეს კაკუბავა ნერვებსაც არ მიშლის, მეცოდება. ალბათ, ისევე, როგორც სააკაშვილს.

ნათელაშვილმა ველარ გაიგო, რომ გავიცინეთ და საკმარისია. რამდენი თვე შეიძლება ერთი და იგივე კლოუნადის ყურება. რამე ახალი მოიგონოს, თუ შეუძლია. აი, ერთი პერიოდი თითქოს ჰაგიოგრაფიაზე გადაერთო, პოლიტიკას თავი დაანება და ვიფიქრე, გვეშველა. არა! ეგება შალვა რამიშვილმა გულისხმიერება გამოიჩინოს და ტელეეთერში შეყვარებული სეხნია კოტეს დუბლიორად 202-ის არხზე მოაწყოს. კოტეზე უარესი ხომ არ იქნება. ჩვენ კი ქე მაინც გვეცოდინება, სად მუშაობს და რა უნდა. თორემ თვითონაც დაბნეულია, ჩვენც დაგვაბნია და თავი მოგვაბეზრა.

საქართველოს ისტორია მოღალატეების სიუხვით გამოირჩევა და ქართველ ერს მათი სახელები დღესაც ახსოვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი უბედურება ის არის, რომ ჩვენს გმირებს საკუთარი ხალხის, ქვეყნის, რწმენისა და მომავლის ღალატი გულით უნდათ, მაგრამ ესეც არ გამოსდით. არავინ მათ სერიოზულად არ აღიქვამს. ღალატსაც ძალა უნდა. ისინი ღალატშიც კი ისეთი უსუსურები არიან, რომ, მერწმუნეთ, საქართველოს ისტორიაში კი არა, НТВ-ს გადამღები ჯგუფის მეხსიერებაშიც არ დარჩებიან. მათი ბიოგრაფიებისა და მოღვაწეობის შემნახველი ერთადერთი სავარაუდო ადგილი КГБ-ს არქივებია. ეგება იქ მაინც დააფასონ მათი ნამოღვაწარი და რომელიმე ზედა თაროზე შემოდონ.

ძალიან ხშირად ისე ხდება, რომ ერთის გაკეთება გინდა და რადიკალურად საწინააღმდეგო გამოგდის. გინდოდა კარგი, გამოგივიდა ცუდი. НТВ-ს ცუდი უნდოდა და კარგი გამოუვიდა. საქართველოს პრეზიდენტის კომპრომეტირება უნდოდა და საკუთარი უსუსური პოზიციისა და მისი მხარდამჭერების მხილება გამოუვიდა. როგორც რუსული საზოგადოების არც ერთი ნორმალური წარმომადგენელი ჟირინოვსკის სერიოზულად არ აღიქვამს და როგორც ამორალურ ავანტიურისტსა და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანს უყურებს, როგორც როგოზინი პოლიტიკური ნაძირლობისა და უზნეობის სიმბოლოდ არის აღიარებული, ისევე მარტივი, ელემენტარული და არასაინტერესოა კომიკურ-ტრაგიკული ქართველების გარჩევაც. ან ვის აინტერესებს, რისი შეშურდა სააკაშვილის არასრულყოფილ, დაკომპლექსებულ კურსელს. ეგეთი კურსელი, კლასელი ან ბაღელი ყველას გვყოლია. ისევე როგორც, ალბათ, ნებისმიერ ქვეყანას თავისი როგოზინი, ჟირინოვსკი, ნათელაშვილი თუ კაკუბავა ჰყავს. აი, იგორ გიორგაძის მსგავსი სიმდიდრით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები თუ დაიკვეხნიან. თუმცა, ისევე, როგორც НТВ-სნაირი ანგაჟირებული ტელევიზიით.

ოპოზიციურ-სკეპტიკურად განწყობილი ქართული საზოგადოების მცირე ნაწილს კი მეგობრულად ვურჩევდი, რომ ამგვარ და რუსული ტელეკომპანიების სხვა გადაცემებსაც ხშირად უყურონ, ოღონდ დაფიქრებულად და შეძლებისდაგვარად გააანალიზონ. მაშინ აშკარად დაინახავენ, ვინ ვინ არის, ვინ ვის და რას ემსახურება. ვინ რითი და როგორ გაწირა ჩვენი ქვეყანა ბოლო 70-80 წელიწადი და მათი სკეპტიციზმი და ურწმუნოება ვისი ნახელავია.

# When I’m sixty-four

## 9 ოქტომბერი: სტარტი, ფინიში

“ეს არ გახლავთ რაიმე მრგვალი თარიღი – არც ნულზე მთავრდება საიუბილეო რიცხვი და არც ხუთზე, მაგრამ შაბათს ჯონ ლენონი 64 წლის გახდებოდა. და თუ ლენონ-მაკარტნის კატალოგიდან ერთ ძველ, 1920-იანი წლების სტილში შექმნილ სიმღერას When I’m sixty-four-ს ("როცა 64 წლის გავხდები") გავიხსენებთ, აბსოლუტურად ლოგიკურად მოგვეჩვენება იოკო ონოს სურვილი, რომ მეუღლის დაბადების დღე სახალხოდ აღენიშნა”, - გვამცნობს “ნიუ იორკ ტაიმსის” ჟურნალისტი ალენ კოზინი და გულისხმობს გამოფენას, რომელიც ნიუ იორკის სოჰოში, პრინსისა და სპრინგ სტრიტების გადაკვეთაზე გაიხსნა და კვირამდე გასტანს.

მაშ ასე - When I’m sixty-four ლენონის ჩანახატებით, კარიკატურებითა და სკეჩებით სავსე უზარმაზარი ექსპოზიციაა, რომელიც ხვალ დაიხურება.

“არა მგონია, ხალხი კარგად იცნობდეს ჯონის ნამუშევრებს”, - განუცხადა “ნიუ იორკ ტაიმსს” იოკო ონომ სატელეფონო ინტერვიუში, - “უმრავლესობამ იცის მისი მუსიკა, მაგრამ, რა ვქნა, ასე მგონია, რომ მაინც უცნაურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მათ უყვართ კლიშეები – “ის მუსიკოსია”, ამბობენ, მაგრამ არ ესმით, რომ იყო მუსიკოსი, ნიშნავს, ზოგადად ხელოვანიც იყო”.

თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ იოკო ონო აზვიადებს. ხალხმა მშვენივრად იცის, რომ ლენონი ლივერპულის ხელოვნების კოლეჯში სწავლობდა, სანამ მუსიკაზე გადაერთვებოდა. მით უფრო, ეს იციან “ბითლზის” თაყვანისმცემლებმა, რომლებიც აუცილებლად გადააწყდებოდნენ ლენონის სასაცილო პერსონაჟებით სავსე ჩანახატების წიგნაკს ოდესმე, 60-იან წლებში მაინც. ან გაგონილი მაინც ექნებათ, რომ 1970 წელს ლონდონის ერთ-ერთ გალერეაში მოწყობილი ლენონის ლითოგრაფიების გამოფენა დახურეს ეროტიკულობის მოტივით.

გარდა ამისა, საზოგადოებას ლენონის ნახატების დავიწყების უფლებას არც მისი ქვრივი აძლევდა. 1980 წლიდან მოყოლებული მან ჯონის სკეჩებით სავსე რამდენიმე წიგნი გამოსცა, მის ნახატებს ბეჭდავდა ღია ბარათებზე, აბრეშუმის ჰალსტუხებზე და კომპაქტდისკებზეც კი; მაგალითად, ლენონის ნახატი ამშვენებდა ბიოგრაფიული ფილმის Imagine: John Lennon-ის თანხმლებ მუსიკალურ ალბომსაც და კომპლიაციას “ლენონის ანთოლოგია”.

ახლა კი სოჰოში ლენონის ნახატების თითქმის სრული კოლექციაა გამოფენილი. აქვეა სიმღერების ტექსტები – ხელნაწერი, ზოგი დასრულებული, ზოგი ჯერაც შავი ვარიანტის სახით. ექსპოზიცია ნიუ იორკში შეჩერებამდე შტატებში მოგზაურობდა. თუმცა, ონო აცხადებს, რომ ყოველ ჯერზე ის გამოფენას რაღაც ახალ დეტალს უმატებდა და ახლაც, ნიუ იორკული ექსპოზიციისთვის დღემდე უცნობი ექსპონატები მოამზადა.









ლენონის სკეჩები.

“ჯონის ნახატებს სად აღარ ვაწყდებოდი ხოლმე, მაგალითად წიგნებში, რომელთაც კითხულობდა. არც კი ვიცი, სულ რამდენი ჩანახატია, კატალოგი არასდროს შემიდგენია. ხატვა ჯონს უსაფრთხოების განცდას ანიჭებდა. გიტარაც. ყოველთვის რაღაც აკორდებს აწყობდა, თუ არადა ხატავდა. მოკლედ, ან გიტარა იყო, ან ფანქარი”, - აცხადებს იოკო ონო.

მართალია, იოკოს არ დაუთვლია, მაგრამ სამაგიეროდ გაუფერადებია ჯონის ნახატები – ბაზრის კონსულტანტებმა ასე მოითხოვეს მისგან, რადგან დაასკვნეს, რომ უბრალო შავი ფანქრით მოხაზული კონტურები არ გაიყიდებოდა. მართლაც, რამდენიმე ჩანახატი იოკო ონომ თავისი გემოვნებით შეაფერადა და კარგადაც მოიქცა – საზოგადოების ყურადღება ერთი-ორად გაიზარდა.

იოკო ონო იმასაც უხსნის მკითხველს, თუ როგორ იცვლებოდა ლენონის ხატვის მანერა და საერთოდ, რატომ დაიწყო ხატვა მან:

“თავიდან ის დიდი ზომის ფიგურებს ხატავდა, მონსტრის მსგავს ადამიანებს. ეს ნახატები იმ პერიოდს მიეკუთვნება, როცა დეიდამისი მიმი ჯერაც მის საქმეებში ჰყოფდა ცხვირს. თვითონ ჯონი ამბობდა, რომ სწორედ მიმის გამო აღმოაჩინა სიურეალიზმი. დღიურის წერისას, როცა არ სურდა, რაღაც მიმისაც გაეგო, აუცილებლად ამ საიდუმლო განცდას თუ ფიქრს ნახატით გადმოსცემდა ხოლმე და ასე იძირებოდა თავის გამოგონილ, ილუზორულ სამყაროში.

მერე, როცა მე გამიცნო, მიხვდა, რომ რეალობა არც ისე საშიში ყოფილა და უკვე ჩემი და თავისი თავის ხატვა დაიწყო. პარალელურად ის იაპონურს სწავლობდა, და ამანაც მის ნახატებზე გარკვეული გავლენა მოახდინა. შემდეგ ახალი პერიოდი დადგა – შონი გაჩნდა და ბავშვისთვის ცხოველებსა და სხვა სასაცილო პერსონაჟებს ხატავდა”.

ერთი სიტყვით, გამოფენა When I’m sixty-four ჯონ ლენონს ნაკლებად ცნობილ ამპლუაში წარმოგვიდგენს – ლენონი, როგორც მხატვარი. მის დაბადების დღემდე ორიოდე დღით ადრე კი, მკვლელი მარკ ჩეპმენი უკვე მესამე ცდაზე არ შეიწყალეს. 6 ოქტომბერს სპეციალურმა სააპელაციო საბჭომ რიგით მესამე აპელაცია არ გაითვალისწინა და ჩეპმენი არ შეიწყალა.

თავისებურად აღნიშნეს ლენონის დაბადების დღე მეცნიერებმაც. სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა უახლეს ტექნიკაზე დაყრდნობით შექმნეს დაბერებული ლენონის კომპიუტერული იმიჯი – ანუ, ფოტო, თუ როგორი იქნებოდა მუსიკოსი 64 წლის ასაკში. მეცნიერებმა აიღეს ლენონის ფოტო, რომელიც 1982 წელს გამოშვებული ალბომის “ჯონ ლენონის კოლექციას” ამშვენებდა და სწორედ ამ ფოტოდან “დააბერეს” ის. აღსანიშნავია, რომ ლენონამდე მათ მერილინ მონროს, ჯეიმს დინისა და ელვის პრესლის სიბერეც “შექმნეს” კომპიუტერულად.

### მისი სიცოცხლის დღეები




**ჯონ ლენონი**

დაიბადა: 1940 წლის 9 ოქტომბერს, ლივერპულში.

- 1956: აყალიბებს ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს "ქუორიმენს".
- 1957: გაიცნობს პოლ მაკარტნის და აბარებს ლივერპულის ხელოვნების კოლეჯში, სადაც შეხვდება თავის პირველ მეუღლეს სინთია პაუელს.
- 1960: შედგება "სილვერ ბითლზის" დებიუტი. უკვე "ბითლზად" სახელგადაკეთებული ჯგუფი გამოდის ჰამბურგში.
- 1962: პირველი სინგლი, Love Me Do
- 1963: მსოფლიოს "ბითლომანია" იპყრობს.
- 1966: ლენონი აცხადებს, რომ "ბითლზი" უფრო პოპულარულია, ვიდრე იესო".
- 1967: გამოდის ალბომი Sergeant Pepper.
- 1968: სინთია იღებს გაყრის მოწმობას.
- 1970: "ბითლზი" იშლება. ლენონი იწერს Imagine-ს. ჯონი და იოკო ნიუ იორკში გადადიან.
- 1975: დაიბადა შონ ონო ლენონი.
- 1980 წლის 9 დეკემბერი: ჯონ ლენონს ნიუ იორკში კლავენ.
- და კიდევ ერთი ფაქტი: ჯონ ლენონის მეორე სახელი იყო უინსტონი - ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად.
- შედგენილია მარკ ქითის მიერ

© GRAPHIC NEWS

## სკანვორდი



## TV პროგრამა

9 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.30** "ფოქს კიდსი" **11.00** "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ტერმინატორი: განკითხვის დღე" **15.20** მხ. ფილმი "პრინცესა და მეომარი" **17.00** სერიალი "ენტერპრაიზი" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **18.50** მხ. ფილმი "პრინცესა და მეომარი" **22.00** "ფსიქო"- "სიჩუმის ბავშვები". რეჟ. რენდა ხეიზი (18). **01.30** მხ. ფილმი "დაქირავებული მკვლელები". მთ. რ-ში: რობერტ დავი, ჯოი დე პინტო (18).

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (გ) **09.55** ფორმულა-1 **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **15.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **18.00** ვესტნიკი **18.45** "იმღერე რამე" **19.15** ტელეზღაპარი **19.25** "დრო და ადამიანები" - ს. დალი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** ფორტუნა **21.15** პოლიტუკური მკვლელობები - რ. კალვე **22.05** "საღამოს საუბარი" **22.50** სპექტაკლი "ღია შუშაბანდი" **00.15** მხ. ფილმი "ცარიელი სივრცე" (გ)

### 202

**11.00** კონცერტი **13.00,19.00** ტვ-შოპი **19.00** კონცერტი **21.00** ტვ-შოპი **22.00** 202-ის ვიდეო არტები შაბათი მე7 **18.00** ანონსი **18.05** მელოდია **18.40** ვიდეოკამერები **19.00** "აჩიკუდა **19.25** მელოდია **19.50** მობილურები **20.05** "ღამის კაპრიზი" **21.05** პრინტერები **21.20** მელოდია **21.50** მულინექსი **22.05** მელოდია **22.35** ტელევიზორები **22.45** მელოდია **23.15** კომპიუტერული ტექნიკა **23.45** მელოდია

### კავკასია

**15.00** ქართული მუსიკა **17.00** მხ. ფილმი "გაქცევა" (გ) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "ფიორინა" (გ) **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "მოუხელთებელი მოწმე" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "კარაბინერები" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "არლეტი" (15) (კრისტოფერ ლამბერტი)

**18.00** მინისერიალი "პედიატრები" მე-3ს. **20.00** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

### მეორე არხი

**19.00** "მრავალჟამიერ"-რატომ ცეკვა აჭარული **19.30** "იმღერე რამე" **20.00** ასე ვცხოვრობთ **20.30** მუს. ოქტაგონი - "პანჩო" **21.20** ქიმერიონი - მ. ამირანაშვილი **22.00** მხ. ფილმი "ლაქა" (გ)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "ვილჰელმ ტელის თავგადასავალი" 1-26. **10.00** მხ. ფილმი "წითელქუდას ამბავი" (გ) **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 03.30** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.20** ქრონიკა **13.30** მხ. ფილმი "მშვიდობით მაიმუნო" (გ) (ჟ. დეპარდიე) **15.15** უცნობი საქართველო **15.40** "წუთისოფელში" - "თეძმისპირი" მე-3 გადაცემა **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "ნიკიტა" (გ) (ან პარიო) **22.50** მხ. ფილმი "არსად აფრიკაში" (მ. ნინიძე) (გ) **01.10** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **02.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **04.00** იმედის მელოდიები

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Одинокий полет цапли". **06.40** Эрик Айдл в фильме **"ВЕТЕР В ИВАХ"**. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Смак" **10.30** "Любовные истории". Валерий Гаркалин. **11.10** Спецрасследование. "Выжившие в авиакатастрофах". **12.10** "История с географией". "Прирожденные охотники". **13.00** Наталья Гундарева в фильме **"ОДНАЖДЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ"**. **14.30** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **15.10** "Поколение победителей. Великая тройка". **16.10** Джон Гудман в комедии **"ФЛИННСТОУНЫ" 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** "Ералаш". **18.30** Криминальная Россия. "Бриллианты для мафии". **1**-я серия. **19.05** Футбол. Отборочный матч Чемпионата мира. **Сборная Люксембурга - сборная России**. **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Брэд Питт в фильме **"СЕМЬ ЛЕТ В ТИБЕТЕ" 02.25** Джерри О'Коннелл в комедии **"МАРТОВСКИЕ КОТЫ" 04.20** Клод Брассер в триллере **"ВОЙНА ПОЛИЦИЙ"**.

### НТВ

**06.05** Боевик **"ОГНЕННЫЙ ДОЖДЬ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильмы "Крокодил Гена", "Чебурашка". **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.25** "Особо опасен!" "Ликвидаторы". Часть 2-я. **14.00** Владимир Длоуги в детективе **"БАБОЧКИ" 16.20** "Женский взгляд". Анастасия Мыскина. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"АДВОКАТ: ЛОНГЛАЙФ"**. **1**-я с. **19.40** Профессия - репортер. **20.10 "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ЗАБЫТЬ ВСЕ"**. Ч. 1-я. **21.20** Арнольд Шварценеггер в детективе **"ВОЗМЕЩЕНИЕ УЩЕРБА" 23.45** Костя Цзю. Лучшие бои. Костя Цзю - Октай Уркал. **00.25** "SOStрадание". Памяти жертв теракта в Беслане.

# საქართველო მზადაა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად

## რეფორმები კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში გრძელდება

ვერა ნეფარიძე

*საქართველო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოსახვედრად ნომინანტთა სიას ზრდის. დმანისის არქეოლოგიურ პარკთან ერთად, მნიშვნელოვან ძეგლებად მიჩნეულია შატილი, მთა-თუშეთი, ვარძია-ხერთვისი და თბილისის ისტორიული ნაწილი. სანომინაციოდ განკუთვნილ ობიექტთა სია, სავარაუდოდ, ოცდახუთამდე გაიზრდება.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ირაკლი მეტრეველი და ნიკა ვაჩეიშვილი.*

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ჯერჯერობით სამი ქართული ძეგლია შეყვანილი: მცხეთა, ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (ერთ ძეგლად) და ზემო სვანეთი. მართალია, საქართველო 1992 წლიდან არის მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ არსებული კონვენციის წევრი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის წევრობა აქამდე მხოლოდ წერილობითი დოკუმენტაციით შემოიფარგლებოდა. "დღეს საქართველო მზადაა ხსენებული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების რეალურად შესრულებისა და მისი გაფართოებისთვის", - აცხადებენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში. საამისოდ, სამინისტროში შეიქმნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ევროპული თანამშრომლობის სამმართველო. სწორედ ეს სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს თანამშრომლობას იუნესკოსთან, ევროპის ქვეყნებთან და ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის დარგში. ახლახანს სამმართველოს ხელმძღვანელი ირაკლი მეტრეველი დაბრუნდა პარიზიდან, სადაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და შეხვედრები საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ.

სამმართველოში არ მალავენ, რომ პირველი ხუთი თვის შედეგებით კმაყოფილები არიან. "უხერხულია საკუთარ საქმიანობაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, ის, რაც ვერ გაკეთდა ათი წლის განმავლობაში, თურმე შესაძლებელი ყოფილა ხუთ თვეში გაკეთებულიყო, ამისთვის, უბრალოდ, მეტი მუშაობა ყოფილა საჭირო", - ამბობს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ევროპული თანამშრომლობის სამმართველოს ხელმძღვანელი ირაკლი მეტრეველი. სამსახურის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის ახლებური სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად შეიქმნა საექსპერტო და ანალიტიკური ბაზა. იუნესკოსთან ერთად უნდა მომზადდეს ჩვენი ძეგლების ნუსხა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ განიხილავს სხვადასხვა ძეგლების შეყვანის საკითხს. 2001 წელს საქართველო გამოვიდა ინიციატივით, ამ სიაში მოხვედრილიყო ვარძია-ხერთვისი და ძველი თბილისი, მაგრამ იმის გამო, რომ მაშინ არ არსებობდა შესაბამისი მართვის სისტემა, განხილვა გადაიდო.

როდის გადაწყდება საქართველოში შედგენილი განახლებული ნუსხიდან იუნესკოს მიერ ძეგლების ამორჩევა, ზუსტად თარიღის თქმა ძნელია. "შესადგენი დოკუმენტი საკმაოდ სქელტანიანია. ამ დოკუმენტში საქართველოს მთავრობამ აბსოლუტურად რეალური არგუმენტაცია უნდა ჩამოაყალიბოს, რატომ მიიჩნევს ამა თუ იმ ძეგლს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად. რაც შეეხება პროცედურას, ესეც საკმაოდ ხანგრძლივია. მინიმუმ ერთი წელიწადი მაინც დასჭირდება", - ამბობს ირაკლი მეტრეველი.

ამჟამად მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდმა საქართველოსთვის გამოყო სუბსიდია ძეგლთა წინასწარი სიის განახლებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დმანისის არქეოლოგიური პარკის ნომინირებისთვის. "დმანისის არქეოლოგიური პარკი განსაკუთრებული ძეგლია ჩვენთვის არა მარტო სამეცნიერო თვალსაზრისით, პროექტს ტურიზმის განვითარებაში ექნება გარკვეული წვლილი. ეს ეროვნული პროექტია; დმანისის არქეოლოგიური პარკი საქართველოს სამარკო ნიშანი უნდა გახდეს და ის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსთვის", - მიაჩნიათ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში. დმანისთან დაკავშირებით ეს მოსაზრება უკანასკნელად 30 სექტემბერს კიდევ უფრო გამყარდა, როდესაც პროექტისთვის ქართველ მეცნიერს "როლექსის" ჯილდო ერგო. რაც შეეხება დაწყებულ რეფორმებს - უახლოეს მომავალში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ერთ-ერთი პროექტის – ძველი თბილისის რეაბილიტაციის, დაწყებას აღნიშნავს.

# კოლექციონერების გასაგონად

ის, ვინც ინტერნეტში შესვლისას საწყის ფურცლად Yahoo-ს იღებს, ორიოდე დღის წინ ემინემის ახალ რეკლამასაც მოჰკრავდა თვალს. განცხადება გვაუწყებდა, რომ თითის ერთი დაჭერა საკმარისი იყო იმისთვის, რომ რეპერის ახალი, ჯერაც გამოუსვლელი ალბომიდან სინგლის Just Loose It ვიდეო გვენახა. ბევრი ასეც მოიქცა. და ხელში შერჩა ემინემის ჩვეული ირონია, ამჯერად მაიკლ ჯექსონისა და სანტა კლაუსისკენ მიმართული.

სიმღერის Just Loose It მოსმენა და მისი ვიდეოს ნახვა ემინემის ოფიციალურ ვებ-საიტზეც შეიძლება. "ბილბორდის" ცხელ ასეულში კი ის წინა კვირას მე-17 ადგილზეც მოხვდა. ეს ჟურნალისტებმა წლის უდიდეს მიღწევად მონათლეს და გაიხსენეს ის დრო, როცა ემინემის ორმა სხვა სინგლმა შეძლო



იგივეს გაკეთება – 2002 წელს სიმღერა Lose Yourself გამოჩენისთანავე 43-ე ადგილზე გავიდა, Without Me კი – 44-ეზე.

რაც შეეხება 17 ნოემბრისთვის საპრეზენტაციოდ გამზადებულ ალბომს, მის შესახებ კიდევ ერთი ახალი ცნობა ვრცელდება. ჟურნალ "ბილბორდის" ინფორმაციით, გაყიდვაში ჩაეშვება შეზღუდული რაოდენობით დამზადებული, ე.წ. "კოლექციონერის დამატებაც". ამ დამატებაში შევა 25 ფოტო, სიმღერების ტექსტების სრული კრებული და ზარი მობილური ტელეფონისთვის. გარდა ამისა, იქნება ბონუსი სიმღერებიც, რომელთაც ალბომის ოფიციალურ გამოსვლამდე ინტერნეტში "გამოჟონეს". ასე რომ, ცხადია, ემინემის ფანები უკვე ემზადებიან მათი კუთვნილი დამატების შესაძენად.







საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.